ივლისი
1996 წ. 25-26

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 127-128 (421-422) ფასი 40 თეთრი

„კავკასიონმა“ ერთგვარი კომპოზიციური ცვლილება განიცადა. დღეიდან რუბრიკით — „მხოლოდ ფაქტები“ — მოწოდებული იქნება მაქსიმალურად შეჯერებული ინფორმაცია ყოველგვარი კომენტარის გარეშე. მკითხველს თვად შეეძლება მოვლენათა გაანალიზება და შეფასება.

შემოვიღეთ რუბრიკა „ჩემი აზრით“, სადაც ჟურნალისტებს მიეცემათ პრობლემის საკუთარი ხედვით წარმოჩენის საშუალება. ვფიქრობთ, ეს ხელს შეუწყობს ჟურნალისტის შემოქმედებით თავისუფლებას და ამასთან პასუხისმგებლობის ამაღლებას — იგი თვითონვე იქნება თავისი სვეტების ავტორიც და რედაქტორიც.

რედაქციის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი, შეგიძლიათ გაეცნოთ მე-8, მე-9 გვერდებზე — რუბრიკით „პოზიცია“.

ამავე გვერდებზე ოთხი სვეტი დაეთმობა მკითხველთა წერილებს (რუბრიკა „სიტყვა ყველას“), რომლებიც მრავლად დაგროვდა რედაქციაში. ცხადია, უპირატესობა მიენიჭებათ იმ წერილებს, რომლებიც საზოგადოებისთვის რაიმე კუთხით მაინც იქნება საინტერესო, ამასთან რედაქცია უფლებას იტოვებს შეამოკლოს წერილი და დაბეჭდოს ყველაზე მთავარი. შესაძლებელი იქნება ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი აზრის გამოთქმა, ეს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეების უფლებაა. თავს შევიკავებთ მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო წერილების გამოქვეყნებისგან. ვფიქრობთ, ეს დაეხმარება საზოგადოებას, უკეთ დაინახოს მის წინაშე მდგარი პრობლემები. მკითხველთა წერილებში ჰონორარები არ გაიცემა.

• პოლიტიკურ პარტიებს, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაუბრკოლებრივ გამოაქვეყნონ ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია, წერილი, მიმართვა თუ წესდება, მათ მიერ შეძენილი ფართობის ფარგლებში. საქართველოს საპატრიარქოს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჭიროების შემთხვევაში უფასოდ დაეთმობათ გაზეთის ერთ გვერდამდე.

საბოლოოდ, გაზეთის კომპოზიცია ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს — ფაქტი, ჟურნალისტის პოზიცია, მკითხველის პოზიცია, ექსპერტის პოზიცია, გაზეთის პოზიცია.

„კავკასიონი“




## დამოუკიდებლობის და დემოკრატიის დისკრედიტაციის გზაზე

### გულგატეხილი და რწმენაშერყეული ადამიანები სახელმწიფოს ვერააშენებენ!

ძველი რომაელები ამბობდნენ: ქვეყანა რომ მართო და ხალხი კმაყოფილი გყავდეს, პური და სანახაობა არ უნდა მოაკლოო. ქართველები რა სანახაობებითაც ვართ განებივრებულები, კარგად მოგეხსენებათ, პურს რაც შეეხება, ეს მერამდენე წელია, საფურაჟე ხორბლისას გვაჭმევენ.

იხილეთ მე—8 გვერდი

პრესკონფერენცია

## საქართველო — ირანის ეკონომიკურ ინტერესთა სფეროში

- ირანში ხელი მოეწერა მემორანდუმს „საქართველო-ირანის კომისიების იუნესკოსთან თანამშრომლობის შესახებ“.
- ირანის პრეზიდენტი დაინტერესებულია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებით.
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დადებითად აფასებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს.
- საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ...ას ტრანსევროპულ სატრანსპორტო პროექტებში.

მნიშვნელოვან საკითხებს მიეძღვნა გუშინ საგარეო ... სამინისტროში გამართული პრესკონფერენცია. საგარეო ... მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ისაუბრა 20-21 ... ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ... ვიზიტის მიზანი გახლდათ რეგიონული ურთიერ- ... ფართო სპექტრის განხილვა. შეხვედრები გაიმართა ... საგარეო საქმეთა მინისტრთან ველაიათისთან — ... -ირანის ეკონომიკური კავშირის თანათავმჯდომა- ... ვიზიტის შედეგები შეაფასა ირანის ისლამური ... ის პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ.

დაწვრილებით მე-7 გვერდზე

## იურისტები იწვიან... და ზეიმობენ

რეპორტაჟი მე—3 გვ.



## საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა

„...თან ყველა სასიკეთო მოვლენა ხანძრით ...“ — ამ სიტყვებით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 24 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალზე. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მოგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება კიდევ ერთი პრაქტიკული ნაბიჯია ... მომავლისკენ სვლისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნისა და არჩევის სამართლებრივი მექანიზმი ისეთია, რომ პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო თანაბრად მონაწილეობენ მის ფორმირებაში. სამართლებრივი სახელმწიფოს, ქმედითუნარიანი დემოკრატიული ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი ქვეყანაში მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება გახლდათ. კანონის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას“, — აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე დასძინა, რომ „პირველად საქართველოს ისტორიაში დადგენილი წესით შერჩეულია და მალე თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განხორციელებას შეუდგება საკონსტიტუციო კონტროლის ქართული ორგანო — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ეს უპასუხისმგებლობისა და განუკითხაობის პერიოდის დასრულების და ახალი საზოგადოების მშენებლობის დიდი გზის დასაწყისის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რაც ყოველი ჩვენთაგანის, მთელი საზოგადოების და მთლიანად ქვეყნის გამარჯვებაა“. მანვე დიდი მადლობა უთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

იხილეთ მე—3 გვ.

## დაგვიბრუნეთ ჩვენი შვილი!

### „პატარა“ სენსაცია „დიდ“ სასამართლოში

გუშინ, ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურის და მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესზე თავდაპირველად ნალენჯიხელები წარდგნენ. მოწმე ალექსანდრე კვარაცხელიამ 1992 წლის შემოდგომაზე რაიონში შექმნილ კრიმინალურ დაძაბულობაზე ისაუბრა. შენუხებულ გამგეობის ხელმძღვანელობას, რომელთა რიგებში კვარაცხელიაც იმყოფებოდა, დასახმარებლად ქობალიასთვის მიუმართავს. ქობალია ორი დღის განმავლობაში თავადაც სტუმრებია რაიონს და, მოწმის ჩვენების თანახმად, წესრიგიც დაუმყარებია, მაგრამ რაიონიდან გასვლის შემდეგ ქაოსი კვლავ დაწყებულა. კვარაცხელიას ჩვენებით, დამნაშავე შეიარაღებული ფორმირებების წევრები ქობალიას „ხალხად“ ასაღებდნენ თავს, მაგრამ მას არ ემორჩილებოდნენ. ამ შეუსაბამობით დაინტერესებულ მოსამართლეს მოწმის განმარტება

იხილეთ მე—2 გვ.

# არასამთავრობო სექტორი დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილია

- ვისზე ვრცელდება კანონი „გრანტების შესახებ?“
- რა მიმართებაშია „გრანტების შესახებ“ კანონი სხვა კანონებთან?
- როგორ განიმარტება კონკრეტულ კანონში შეტანილი საგადასახადო საკითხები?
- როგორ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ რეფორმებს არასამთავრობო სექტორის მიმართ არსებული პოლიტიკა?

ეს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს გუშინ ამერიკული ორგანიზაცია ISAR-ის საქართველოს წარმომადგენლებმა, „გრანტების შესახებ“ კანონის თანაავტორებმა — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებმა, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და იურიდიული კომიტეტების თავმჯდომარეებმა.

ISAR-ის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას.

როგორც ISAR-ის წარმომადგენელმა მაიკლ კლეიტონმა აღნიშნა, მთელ მსოფლიოში არასამთავრობო სექტორი ქმნის ღია და თავისუფალი დემოკრატიის საფუძველს. იგი ის არხია, რომლის დახმარებითაც მთავრობა ღებულობს ღირებულ ინფორმაციას და ხელს უწყობს მას საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში. კლეიტონის თქმით, იენისში მიღებულ იქნა კანონები გრანტის სამართლებრივი და საგადასახადო რეჟიმის შესახებ, რაც ერთი მცირე დეტალია გადასაწყვეტ პრობლემათა შორის.

„გრანტების შესახებ“ კანონი განმარტა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა დავით უსუფაშვილმა: ვინ შეიძლება გასცეს გრანტი; ვინ შეიძლება მიიღოს გრანტი; რა სახის საქმიანობა შეიძლება დაფინანსდეს გრანტით; რას შეიძლება შეიცავდეს ხელშეკრულება გრანტის გამცემსა და მიმღებს შორის; როგორია მხარეთა პასუხისმგებლობა. ამ კანონით განისაზღვრა განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი იმ ფულადი და მატერიალური სახსრებისთვის, რომლებიც გადაცემულია გრანტის სახით. საჩუქრების გაცემა და მიღება შეუძლია ყველას, თუ ეს საჩუქარი თავსდება გრანტისთვის დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოებში. მაშინ მისი გამცემიც და მიმღებიც ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით.

არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობას მიიღებს საგადასახადო კოდექსის შემუშავებაში და განხილვაში. ამ პროცესებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა და მათდამი პარლამენტის კეთილგანწყობა, გარკვეულწილად, სამომავლო საქმიანობის საწინდარიც გახდება.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ნებისმიერი რეფორმა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების გარეშე წარუმატებელი და მარცხისთვის განწირულია, არასამთავრობო ორგანიზაციების არარსებობა სუსტი დემოკრატიული განვითარების ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. პარლამენტი ითანამშრომლებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ილვაწებს მათი გაძლიერებისთვის. თავის მხრივ, ISAR-ი თანხებს იქ დააბანდებს, სადაც ეს მისთვის ხელსაყრელი იქნება, ამ მხრივ საქართველო ISAR-ის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს და მისი ხელმძღვანელობა შემდგომი საქმიანობის ფართო სპექტრს გეგმავს.

**ბესიკ ოქროცვარიძე**

სასამართლო

# გაქცევის მანერა

გუშინ დიდუბის რაიონის სასამართლოში გამართული კიტოვანი-სურგულაძე-ფესიუნის სასამართლო პროცესი კავშირგაბმულობის მინისტრის ფრიდონ ინჯიას ჩვენებას უნდა დათმობოდა, მაგრამ ბატონი ფრიდონი თბილისში არ იმყოფება და მოსამართლემ სხდომა ორშაბათს 11 საათამდე გადადო.

მანამდე კი ვალერი ფესიუნმა იმ პირადი ნივთების დაბრუნება მოითხოვა, რომლებიც დაკავებისას ჩამოართვეს და გამოძიებას ნივთმტკიცებად არ უცვნია. „რაც მაცვია, ისიც სხვისია“, — თქვა განსასჯელმა. მოსამართლე სოსო ხურციძემ მას წერილობითი განცხადების გაკეთება ურჩია.

ფესიუნს კიდევ ჰქონდა რამდენიმე მოთხოვნა, მაგრამ მოსამართლემ აღარ მოუსმინა და დარბაზიდან გავიდა, რაზეც განსასჯელმა მიაძახა: „Что за манера у вас убегать"-ო.

**სოსო ბარნაბიშვილი**

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 16-18 ივლისის (№ 121-122) ნომერში, წერილში „პროკურატურაში უფლება რომ ჰქონდეთ, თვითონვე დახვრეტენ სიკვდილმისჯილებს“, გაიპარა უზუსტობა: ნაცვლად „დომუხოვსკი —გელბახიანის საქმისა“ უნდა იკითხებოდეს „დოკვაძე-გელბახიანის საქმე“.

# დაგვიბრუნეთ ჩვენი შვილი!

## „პატარა“ სენსაცია „დიდ“ სასამართლოში

პირველი გვერდიდან

დასჭირდა, რომელმაც დაუმორჩილებლობის მიზეზად აღნიშნული შეიარაღებული ფორმირებების არაორგანიზებულობა დაასახელა. შემდეგ მოწმე რაიონში მხედრიონის შემოსვლას შეეხო. ამ მოვლენას, ძარცვა-ყაჩაღობის გარდა, სახლების გადაწვაც მოჰყოლია. მოწმემ გადამწვარი სახლების რიცხვიც კი დაასახელა — 9, მაგრამ სახლების მფლობელების ვინაობაზე არაფერი უთქვამს. სხვა მოწმეების ჩვენებებიც (კაჭარავა, ზარქუა) აღნიშნულ ფაქტებს ეხებოდა.

ზუგდიდელმა ექიმმა რამინ სურმავამ სასამართლოს შემდეგი მოახსენა: „1993 წლის ოქტომბრის ბოლოს მორიგე ვიყავი საავადმყოფოში. საღამოს 6-7 საათზე ჩემთან 3 ავტომატიანი პირი მოვიდა. ერთი ქართულად მელაპარაკებოდა. დანარჩენი ორი ვინ იყო, არ ვიცი. ერთმა მითხრა, ამ საღამოს სტუმრები უნდა მივიღოთო. დაათვალიერეს საავადმყოფო. კარდიოლოგიური განყოფილება მოეწონათ. ავადმყოფები სხვაგან გადაიყვანეს. ერთი თუ ორი ავტობუსით (კარგად არ მახსოვს) შეიარაღებული ხალხი მოვიდა. ვინ იყვნენ, არ ვიცი, ისინი შორს იდგნენ და მათი ლაპარაკი არ მომისმენია. ღამე გაათიეს და დილით წავიდნენ“. მოსამართლე და პროკურორები კითხვებით შეეცადნენ, შეიარაღებული პირების ვინაობა დაედგინათ, მაგრამ მოწმეს თითქმის აღარაფერი ახსოვდა. მაშინ მოსამართლემ სურმავას მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება გამოაქვეყნა. იმ ჩვენებაში სამი შეიარაღებული პირიდან ორი ცნობილია. ერთი, თურმე, ქართულად კი არა, რუსულად ლაპარაკობდა. ავტობუსით ჩრდილოკავკასიელები მოსულან. პირველად მოსულ პირებს კარდიოლოგიური განყოფილებიდან ავადმყოფები კი არ გაუყვანიათ, გაუძევებიათ.

ამის შემდეგ რაციით დაკავშირებიან ქობალიას და მოუხსენებიათ, სტუმრების მისაღებად ყველაფერი მზად არისო. მოსამართლემ განმარტება მოითხოვა, მაგრამ მოწმე ვერაფერს ამბობდა. მაშინ მოსამართლეს და მოწმეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

მოს.: „თქვენ თვითონ დაწერეთ ჩვენება?“

მოწ.: „არა. გამომძიებელმა დაწერა და ხელი მომაწერინა“.

მოს.: „მობრძანდით, ნახეთ, ვისი ხელია“.

მოწ.: „ჩემი ხელია. ახლა გამახსენდა. გამომძიებელი მკარნახობდა და მე ვწერდი“.

მოს.: „რატომ არ უთხარით გამომძიებელს, რომ უცხო ენაზე ლაპარაკი არ გაგიგონიათ?“

მოწ.: „რა ვიცი, არ მიმიქცევია ყურადღება“.

დიალოგში პროკურორი ლალიაშვილი ჩაერთო: „დაგაძალათ ვინმემ ჩვენების დაწერა?“

მოწ.: „არა“.

პროკ.: „აბა, რატომ დაწერეთ ეს, გაუგებარია“.

მოწ.: „???“

ადვოკატ ფანქველაშვილის ჯერიც დადგა:

„რა იცით, რომ რაციით ქობალიას ელაპარაკებოდნენ?“

მოწ.: „არ ვიცი. რაცია ჰქონდათ თუ არა, არც კი მახსოვს“.

**ზუგდიდელი მოწმის შემდეგ სადგურ ინგირის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებს ჩამოართვა სასამართლომ ჩვენება. ისინი, ძირითადად, რკინიგზაზე ტვირთების დატაცების შესახებ საუბრობდნენ. პოლიციის უფროსის ანზორ გაბელიას განცხადებით, ტვირთების დატაცების 47 ფაქტია დაფიქსირებული და თითოეულ მათგანზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.**

**პოლიციის უფროსს ქობალიასთვის მოუხსენებია ტვირთების დატაცების ფაქტები, რის შემდეგაც, მოწმის თქმით, ქობალია გაბრაზებულა და ზომების მიღებას დაპირებია. განსასჯელებისა და მოწმის კითხვა-პასუხიდან გაირკვა შემდეგი: ინგირის პოლიციას არ დაუფიქსირებია, მაგრამ, გაბელიას ჩვენებით, აფხაზეთში მიმავალი ვაგონებიდან ზოგიერთი საბუთების მიხედვით — დატვირთული, სინამდვილეში კი ცარიელი იყო. იქიდან მომავალი, პირიქით, საბუთებით — ცარიელი, სინამდვილეში კი — დატვირთული იყო. ზვიად ძიძიგურს მოწმემ ისიც დაუდასტურა, რომ სამთავრობო ჯარებს ამ ვაგონებით ნაალაფარი მოჰქონდათ. ქობალიამ განცხადება გააკეთა: „აფხაზეთში მომავალი ტვირთი არ გამიჩერებია და არც სამრად წასული ხალხი შემიფერხებია. იქიდან წამოსული დეზერტირები კი განვაიარაღე“.**

**სხდომის ბოლოს ქობალიას ადვოკატმა ოთარ ფანქველაშვილმა ხობელი გელა ნოდარის ძე ქაცარავას მშობლების განცხადება წაიკითხა. ისინი პოლიციელების და გამომძიებლის თვითნებობაზე ჩივიან და მოსამართლეს შველას სთხოვენ. განცხადებაში ნათქვამია, რომ გელა ქაცარავა 1993 წლის ნოემბერში 12 დღით დააპატიმრეს და ქობალიას საწინააღმდეგო ჩვენება დააწერინეს. 1996 წელს გამომძიებელმა ფაჩულიამ იგი თბილისში უზენაეს სასამართლოზე ძალით წაიყვანა. გელა სასამართლოს შესასვლელთან დაუტოვებიათ, საიდანაც იგი გაიქცა. მშ[illegible] უთხრა, [illegible] არ მომასვენებენო და მიიმალა. „ბატონო მოსამართლევ, ჩვენს შვილს სთხოვენ, ქობალია 6 ადამიანის მკვლელობაში დაადანაშაულოს (ცნობისთვის, ამ რამდენიმე თვის წინ ხობიდან ამავე ბრალდებით ჩამოვიდა მოწმე კუტალია. ვინც ჩვენს პუბლიკაციებს თვალს ადევნებდა, ეცოდინება, სრულიად საპირისპირო ჩვენებების მიცემისთვის როგორ „გაამავეს“ იგი სასამართლოში. —ზ.ფ.), მას ამის გაკეთება არ შეუძლია და ამიტომ სახლიდან წავიდა. მას შემდეგ 5-ჯერ გაგვჩხრიკეს — წერენ ქაცარავები — ბატონო მოსამართლევ, გთხოვთ, ჩემი შვილის ჩვენებებს მტკიცებად ნუ მიიღებთ, რადგან იგი მუქარის ქვეშ არის დაწერილი. დაგვიცავით პოლიციელებისგან და დაგვიბრუნეთ ჩვენი უდანაშაულო შვილი“.**

**დარბაზი სულგანაბული დაელოდა მოსამართლის რეაქციას, რომელმაც არ დააყოვნა: „თქვენთან როგორ მოხვდა ეს განცხადება?“ — მიმართა მან ადვოკატს. „მე მგონი, თქვენ ამაზე მეტად სიმართლე უნდა გაინტერესებდეთ და აგრეთვე ის, თუ როგორი მოწმეები მოდიან აქ. ეს თუ ჩემი დაკითხვაა, მითხარით, თუ არადა, მაგ კითხვაზე პასუხს არ გაგცემთ“, — უპასუხა ფანქველაშვილმა.**

**მოსამართლეს სხდომა აღარ გაუგრძელებია.**

\+ + +

**სამშაბათს მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან ქობალიას და გააძევა. მისი განრისხება ჩხოროწყუს პოლიციის რაიგანყოფილების რიგითის — ჩიტაიას ჩვენებამ გამოიწვია, რომლის თანახმად, გამომძიებელმა ათი კაცი ოთახში დასვა და მიუხედავად იმისა, რომ ჩიტაიამ არც კი იცოდა, რა ელაპარაკა, საქმე მაინც გამოვიდა — გამომძიებელმა ჩვენება დაწერა, მოწმეებს ხელი მოაწერინა და გამოუშვა. ამ ჩვენების შემდეგ, ქობალიას დის დარბაზიდან გაძევებას აჟიოტაჟი მოჰყვა. ქობალიამ დის დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ ამაოდ. ამ ინციდენტს სხდომათა დარბაზში შეშვების გამკაცრება მოჰყვა. ფეხზე დგომის უფლება აღარავის აქვს. მცირე დარბაზი კი პროცესზე დასწრების მსურველებს ვერ იტევს. დაძაბული სამშაბათი დღე ამით არ დამთავრებულა — ქობალიას საზოგადოებრივი დამცველი თამაზ ლომიშვილი, რომელიც დარბაზიდან გაძევების გამო 12 დღე შიმშილობდა, ცუდად გახდა და საავადმყოფოში გააქანეს.**

**ზაზა ფარჩუაშვილი**

# გუშინ გაიმართა მთავრობის სხდომა

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა მთავრობის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებისა და სტრუქტურის შესახებ; კანონპროექტი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს ინფორმაციები საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს დაუსაქმებელ მოქალაქეთა აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებებს; საქართველოს სამართლებრივი ინფორმატიზაციის შესახებ; აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს შესახებ; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს განეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება პრეზიდენტის ბრძანებულება 1991-95 წლებში მინისტრთა კაბინეტის აქტების კანონიერების შემოწმების შესახებ.

P.S. სამწუხაროდ, ჟურნალისტების დასწრება გუშინდელ სხდომაზე შეზღუდული იყო. იმედია, დღეს გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ აბაშიძე ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის მასმედიის წარმომადგენლებს და ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ მთავრობის სხდომის უფრო ვრცელ ანგარიშს.


**თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწავლო წლისთვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:**

1. იურიდიული ფაკულტეტი: სამართალმცოდნეობა.
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
3. ჟურნალისტიკა.
4. უცხო ენების ფაკულტეტი:
   - ინგლისური ენა და ლიტერატურა;
   - გერმანული ენა და ლიტერატურა;
   - ფრანგული ენა და ლიტერატურა.

**ინსტიტუტში სწავლის საფასური მინიმალურია და არ იცვლება სასწავლო წლების განმავლობაში.**

**მისამართი:**
თბილისი, პეტრიაშვილის ქ.№ 7 (თბილისის VI გიმნაზიის შენობაში). უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან.
ტელ.: 23-40-67; 31-55-86; 31-53-90; 39-17-24.

# საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა

კირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მისასალმებელი სიტყვის შემდეგ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განუმტკიცებს ადამიანებს იმის რწმენას, რომ ჩვენი სახელმწიფო სამართლიანობას ემყარება და მისთვის უზენაესია პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

„სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლოს სახით კიდევ ერთი პირმშო შეეძინა", — აღნიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ და იქვე გამოთქვა რწმენა იმისა, რომ ახლად შექმნილი ორგანო აუცილებლად სამართლიანი, კომპეტენტური და მიუკერძოებელი იქნებაო.

რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ზემსკიმ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ სწრაფად ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო სასამართლო, რაც, მისი აზრით, ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების შეუქცევადობაზე მეტყველებს.

„ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, კეთილსინდისიერად აღვასრულო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოვალეობა და მისი აღსრულებისას ვემორჩილო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა!" — საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრმა — ავთანდილ აბაშიძემ, ოთარ ბენიძემ, ავთანდილ დემეტრაშვილმა, გია მეფარიშვილმა, იაკობ ფუტკარაძემ, ნიკოლოზ შაშკინმა, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა, ლამარა ჩორგოლაშვილმა და ზაურ ჯინჯოლავამ — ამ სიტყვებით ბიბლიაზე დაიფიცა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

საზეიმო ფიცის შემდეგ პრეზიდენტმა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, პარლამენტის თავმჯდომარემ და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებმა ფარული კენჭისყრით იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ავთანდილ დემეტრაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ამრიგად მუშაობას შეუდგა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც, ავთანდილ დემეტრაშვილის განცხადებით, აქვს სოლიდური ფინანსური ბაზა და არავის გავლენის ქვეშ არ მოექცევა. სასამართლოს წევრის ხელფასი 220 ლარი იქნება, თავმჯდომარის კი — 240 ლარი. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია სახსრების გამოყოფა სპეციალურად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის.

ბესიკ კურტანიძე

# იურისტები იწვიან... და ზეიმობენ

კონსტიტუციის მიღებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი თბილისში აფეთქებით აღინიშნა, ხანძარი დაერთო თან საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნასაც, რაზეც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნახევრად ხუმრობით აღნიშნა: „ჩვენში ყველა სასიკეთო მოვლენა ხანძრით აღინიშნებაო". საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისადმი მიძღვნილი ცერემონიალის პარალელურად მეხანძრეები იუსტიციის სამინისტროში გაჩენილ ხანძარს ებრძოდნენ.

იუსტიციის სამინისტროსთან ახლომდებარე სახლების მობინადრეთა თქმით, ცეცხლის ალი დილის 8.30 წუთისთვის უკვე მოდებული იყო სამინისტროს სახურავზე. შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში 9.44 წუთზე, ადგილზე აღმოჩნდა თბილისის სხვადასხვა რაიონების 12 სახანძრო მანქანა, სასწრაფოდ გადაიკეტა ხანძრის კერის მიმდებარე ქუჩები.

მეხანძრეთა თავგანწირული და პროფესიული მოქმედების შედეგად ხანძარი საათნახევარში იქნა ლიკვიდირებული. შსს-ს პრესცენტრის ცნობით, დაშავებულია 4 მეხანძრე, მათგან ორის ვინაობა ჩვენთვისაც ცნობილია, მძიმედ დაშავდა სამგორის სახანძრო დაცვის უფროსის მოადგილე გიორგი ლომიძე, სხეულის დაზიანება მიიღო ქ.თბილისის სახანძრო სამორიგეო ნაწილის ინსპექტორმა კაპიტანმა ლევან გოგიტაშვილმა.

ხანძრის შედეგად დაიწვა შენობის სახურავის ნაწილი, სააქტო დარბაზი და 12 სამუშაო კაბინეტი. იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებიდან და სხვა მოქალაქეებიდან არავინ დაშავებულა.

შსს პრესცენტრის ცნობით, ხანძარი შესაძლოა გამოეწვია ცეცხლის გაჩენას სანაგვე ბუნკერში, ნაპერწკალი კი გაჩნდა სხვენში გამავალი ელექტროსადენების მოკლე ჩართვის შედეგად. იუსტიციის მინისტრის ბატონ თედო ნინიძის განცხადებით, ზარალი დიდია, გარდა იმისა, რომ სერიოზულად დაზიანდა შენობა, ამასთანავე, განადგურდა საარქივო მასალები და სხვა დოკუმენტები. როგორც ცნობილია, სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის დაწვის დროსაც იურიდიული ფაკულტეტის კუთვნილი დოკუმენტები განადგურდა. სავარაუდოა, რომ ხანძარს იუსტიციის სამინისტროში დოკუმენტების განადგურება ედოს საფუძვლად, ამის გარკვევა შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციაა.

ბესიკ კურტანიძე

P.S. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას „ობიექტურობით" არაერთხელ „გამოუჩენიათ თავი". ასე მოხდა გუშინაც — პროგრამა „ვესტის" ცნობით, იუსტიციის სამინისტროში მომხდარი ხანძრის გამო არ შედგა კონსტიტუციური სასამართლოს წევრთა ფიცის დადების ცერემონიალი. ალბათ, მკითხველს ბევრი განსჯა არ უნდა დაჭირდეს იმის გასარკვევად, ეს უნებლიე შეცდომაა, გაუგებრობა თუ მიზანმიმართული დეზინფორმაცია, რადგან როდესაც ეთერში ეს სიუჟეტი გადიოდა, პარალელურად, ყოფილი პარლამენტის შენობაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცესი მიმდინარეობდა.

მართალია, სამი საათის შემდეგ, კოკა ყანდიაშვილმა თავისი რეპორტაჟით აცნობა ტელეაუდიტორიას, რომ ფიცის დადების ცერემონიალი მაინც შედგა, მაგრამ პროგრამის წამყვანებს თავი აღარ შეუწუხებიათ საკუთარი არაპროფესიონალიზმის გამო ბოდიშის მოხდით...

მკუდრო ნავთსაყუდელი

# „ჩვენ ღვთის მსახურნი ვართ და მის ნებას ვასრულებთ"

მსოფლიოს ულამაზეს ქვეყნებში მრავალი წმინდა სავანეა მიმობნეული. ესპანეთში განსაკუთრებით გამოირჩევა წმინდა კლერის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც რვა საუკუნის წინ, 1212 წელს ააშენა მდიდარი ვაჭრის ქალიშვილმა კლერმა. ამ მონასტერს მდიდარი და ლამაზი ტრადიციები



აქვს. რომანული სტილით ნაგები შენობა საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა ღმერთსა და ხალხს. ბევრ მიუსაფარსა და გაჭირვებულს მიუღია აქ მოწყალება და უპოვია თავშესაფარი. ამჟამად მონასტერი თვითდაფინანსებაზეა. მანუფაქტურული წარმოება საშუალებას აძლევს მონაზვნებს, თავად მოამარაგონ მცირე ეკლესიები, რომელიც მათი ტრადიციული შემოსავლის წყაროა. დედათა შორის ის, ვინც ქსოვენ, ჯიქვების მკაცრადაა გადანაწილებული: ზოგი მათგანი მონასტრის მახლობლად გაშენებულ ბაღჩასა და ბოსტანში საქმიანობს, ისინი კი, ვინც კულინარული მონაცემებით გამოირჩევიან, სამზარეულოში ტრიალებენ და სრულიად მარტივი რეცეპტებით უგემრიელეს კერძებს ამზადებენ. მონასტრის საცხობი იქვე მდებარე საფუნთუშეს ამარაგებს, სადაც, გარდა იმისა, რომ ნაწარმი იყიდება, საქველმოქმედო განყოფილებაც არსებობს, რომელიც მრავალ უქონელსა და მშიერს აპურებს.

მონასტერში ამჟამად 94 მონაზონია. მათი რიცხვი თავდაპირველად, ანუ მე-13 საუკუნის დასაწყისში, სულ ოცს შეადგენდა. მონასტერს დედა მარია ხავიერი განაგებს. ტაძრის შინაგანაწესი საკმაოდ მკაცრია, თუმცა, გასულ საუკუნეებთან შედარებით, მრავალი შეზღუდვაა მოხსნილი.

ესპანეთის კიდევ ერთი, წმინდა იზაბელის სახელობის მონასტერი ბასკეთის ერთ-ერთ მთიან კუთხეს ამშვენებს. იგი შუა საუკუნეებშია აშენებული და ამჟამად დედა ოლიატსი ხელმძღვანელობს. ისევე, როგორც წმინდა კლერის მონასტერს, ამ ტაძარსაც თავად უხდება თავის რჩენა. ამ მონასტრის სასადილოში კერძების არცთუ ისე ფართო არჩევანია წარმოდგენილი. ხანდახან დედებს მხოლოდ წვნიანისა და პურის შემოთავაზება შეუძლიათ. თუმცა, სასადილოს საფირმო კერძს წარმოადგენს პუდინგი, რომლის მომზადება სულ ცოტა დროს მოითხოვს, მაგრამ გემოთი ევროპის არც ერთ მდიდრულ რესტორანში მომზადებულ პუდინგს არ ჩამოუვარდება. მონასტერთან არსებობს სასულიერო აკადემიაც, სადაც 400-მდე აღსაზრდელია. გარდა ამისა, აქვეა მცირეწლოვან უდედმამო ბავშვთა სახლიც, სადაც მონაზვნები მზრუნველობას არ აკლებენ მშობლების სითბოს მოკლებულ პატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც მონასტრების წმინდა დედები — მარია ხავიერი და ოლიატსი — ამბობენ, მართალია, აქ პრობლემაც ბევრია, მაგრამ ტაძრები ყოველთვის მზად არიან კარი გაუღონ და ყველანაირად დაეხმარონ ყველა მიუსაფარსა და ღარიბს. ამის ტრადიცია კი არსებობს — საუკუნეების განმავლობაში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მათი ქველმოქმედების წყალობით ხომ არაერთი გაჭირვებული ადამიანი გამხნევებულა.

„ჩვენ ღვთის მსახურნი ვართ და მის ნებას ვასრულებთ", — ამბობენ ამ ორი წმინდა სავანის ბინადარნი.

ნინო ვიბლიანი


საუკეთესო სახლები!
საუკეთესო უბანში!
შეძლებული ხალხის შესაფერისი!



ქალაქის ცენტრში, ვაკეში, შენდება "უბანი", რომელიც
იყოფა 4 საცხოვრებელ კვარტლად, ყოველი კვარტალი
შედგება 8 ინდივიდუალური სახლისგან

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ წილობრივი
მონაწილეობა მშენებლობაში, რაც მათ საშუალებას
მისცემს, სასურველი სახლი გაცილებით იაფად შეიძინონ.

იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ!

მსურველები დაგვიკავშირდით
1 სექტემბრამდე:
ჩვენი ტელეფონებია: 98-78-93; 98-78-37; 22-05-15; 22-02-14:

ქალაქში

# ნავთლუღის ბაზარს გაკოტრება ემუქრება!





ნავთლუღის ბაზარი თბილისის მოსახლეობისთვის ადვილად მისაწვდომი და შედარებით იაფი იყო წლების წინ.

დღეს, ძალიანაც რომ მოინდომოთ, მარტო ამ ბაზრით ვერ დააკმაყოფილებთ თქვენს მოთხოვნას, რადგან თვალშისაცემი გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრეთა სიმცირე, რასაც, ბაზრის დირექციის აზრით, თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს.

ბაზარში მოვაჭრის დადგომა 2 ლარი ღირს. ამ თანხაში შედის ყოველგვარი მომსახურება, სასწორისა და ლაბორატორიული მომსახურების ჩათვლით.

ბაზრის შიდა ტერიტორია, სანიტარული თვალსაზრისით, წინა პერიოდთან შედარებით დამაკმაყოფილებლად გამოიყურება, თუმცა, შესასვლელში მაინც ნახავთ შებოლილი თევზით თუ ქათმის ბარკლებით მოვაჭრეებს, რომლებსაც პირდაპირ ღია ცის ქვეშ, პაპანაქება სიცხეში გამოუტანიათ თავიანთი პროდუქტი და ვაჭრობის ყოველგვარი წესების დაუცველად სთავაზობენ მომხმარებელს.

როგორც ნავთლუღის ბაზრის დაცვის უფროსმა, ბატონმა ბესო ბერუაშვილმა გვითხრა, მიუხედავად უამრავი მცდელობისა, ამ პროდუქტით მოვაჭრეებს ვერაფერი მოუხერხეს, რადგან ისინი ხან მალულად, ხანაც დიდი დავიდარაბის შემდეგ შემოდიან ბაზრის ტერიტორიაზე სავაჭროდ.

დახლებზე ნახავთ დამდნარ კარაქს, რომელსაც ბუზები ეხვევა, ქათმის ბარკლებს, რომელსაც სასაქონლო პროდუქციის სახე თითქმის აღარ აქვს შენარჩუნებული, ძეხვს, რომელიც ასევე სჰვაჭრო წესების დარღვევით იყიდება...

როგორც აგვიხსნეს, ეს პროდუქცია ეკუთვნით ბაზრის ტერიტორიაზე არსებულ კომერციულ მაღაზიებსა და ჯიხურებს და მოვაჭრეები თავს იმით იმართლებენ, რომ მათ მაცივრები აქვთ დახლიდან სულ ორი მეტრის დაშორებით, მაღაზიებში.

თავში აღვნიშნეთ, რომ ნავთლუღის ბაზარს მალე გაკოტრება ემუქრება, რადგან, დირექტორის მოადგილის თქმით, გლეხები ბაზარში აღარ შედიან. ამის მიზეზად დაასახელეს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის ნავთლუღის ბაზრის დირექციას მუშაობაში.

— ბაზარში 50 შტატიანი თანამშრომელია. ამას ემატება კიდევ 50 ხელშეკრულებით მომუშავე პირი, რომელთა შენახვასაც მალე ველარ შევძლებთ, რადგან დღევანდელ დღეს გლეხები აღარ აფასოებენ პროდუქციას. ჩამოაქვთ მანქანებით და პირდაპირ ძარებიდან ყიდიან. ჩვენ მანქანის დასადგომი ადგილი ბაზრის ტერიტორიაზე არ გვაქვს, ამიტომ ისინი გარეთ, ქუჩაში ყიდიან პროდუქტს. ვისაც მანქანა არ ჰყავს, ისიც ქუჩაში დგას, რადგან იქ უფრო მალე ეყიდება საქონელი. ეს კი დაღს ასვამს ჩვენს მუშაობას — შემოსავალი ნაკლებია და მყიდველიც აღარ შემოდის. ასე თუ გაგრძელდა, გაკოტრების საშიშროების წინაშე დავდგებით. — განგვიცხადა ბაზრის დირექტორის მოადგილემ მახარე მამუკაშვილმა.







ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე, როგორც სხვა ბაზრებში, ღამით, ყოველგვარი სანიტარული და ლაბორატორიული შემოწმების გარეშე იყიდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რაც მომსახურე პერსონალს სიძნელეებს უქმნის.

* * *

ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უფრო დიდი მასშტაბის ბაზრობაა გამართული, ვიდრე შიგნით. თუ ბაზრის ლაბორატორიაც და დირექციაც საკმაო სიფრთხილით ეკიდება შემოსულ პროდუქტს, აქ სრული განუკითხაობაა. იყიდება ყველაფერი, რაც კი შეიძლება იყიდოს კაცმა. იყიდება ნაგავში, მტვერში, საშინელ სუნსა და რია-რიაში. აქაურობა წვეთი წყალივით ჰგავს დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას, რაც ფეხით მოსიარულესაც და მანქანებსაც ხელს უშლის მოძრაობაში.

გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ აქ არავინ არაფერს იხდის, უბრალოდ, დგას და ვაჭრობს. ბაზარში კი იმიტომ არ შედიან, რომ ხშირად ნავაჭრიდან შემოსავალი არ იძლევა გადასახადი თანხის — 2 ლარის გადახდის საშუალებას.

მანქანებით მოვაჭრეებს კი საკუთარი პავილიონები მოუწყვიათ, რომლებიც პირდაპირ ქუჩის ცენტრში ჩაუდგამთ.

გასაუბრებით აღმოჩნდა, რომ ნავთლუღის მიმდებარე ტერიტორიის ქუჩა და ტროტუარი იჯარით შეუსყიდია №-ს, რომლის გვარსაც ჯერჯერობით არ ვასახელებთ იმ იმედით, რომ თვითონ გამოგვეხმაურება და უფრო კარგად გაგვარკვევს სიტუაციაში.

**მაია ტორაძე**

თემის გაგრძელება
იხილეთ ... გვერდზე

1997 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გათამაშდება ამერიკაში ოჯახთან ერთად კანონიერი ცხოვრების უფლების ანკეტების ლატარია.
გათამაშებაში გამარჯვებულებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაემგზავრონ შეერთებულ შტატებში და მიიღონ სახელმწიფო დახმარება.
მათ, ვინც 1 სექტემბრამდე წარადგენს მოთხოვნას, შესავსებად გაეგზავნებათ ანკეტები და გარანტირებული ექნებათ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა.
ლატარიის ფასია 18 აშშ დოლარი.
ჩვენი მისამართია: P.O.BOX 4309. PANORAMA CITY
CA 91412, USA. ფაქსი: 1-818-505-9291.

1 აგვისტოდან ქობულეთში იხსნება ახალი კეთილმოწყობილი პანსიონატი.
კვება სამჯერადია. ოთახები 1-2-3-4 ადგილიანები. ყოველ ოთახში არის სანიტარული კვანძი. პანსიონატს აქვს პლაჟი, კინო-საკონცერტო დარბაზი, კაფე-ბარი. ერთი საგზურის ღირებულება დღე-ღამეში 18 ლარი.
ტელ.: 63-73-63, 60-52-00.

## მოსკოვში ქართულ ენაზე აღავლენენ წირვას...

მალე მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიაზე მდებარე წმინდა გიორგის ტაძარში, ქართულ ენაზე დაიწყება ღვთისმსახურება. სამი წლის წინ, რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორისა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის შემწეობით, ტაძარი მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა და მოსკოვში ქართული სათვისტომოს სახსრებით კაპიტალურად შეკეთდა.

მართალია, ინტერიერის რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ღვთისმსახურება, ჯერჯერობით რუსი მღვდლების მიერ, უკვე სრულდება, იტყობინება გაზეთი „იზვესტია“.

## კახეთს შველა სჭირდება

„კახეთი სტიქიური უბედურების ზონაა“, — განაცხადა მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემების მოწესრიგებისა და „რთველი-96“-ის ორგანიზებულად ჩატარების სახელმწიფო კომისიის მორიგ სხდომაზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ. ხანგრძლივი გვალვისა და ძლიერი სიცხისგან რეგიონში სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის დიდი ნაწილი დაიღუპა.

მინისტრის თქმით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი თეთრი წყაროსა და საგარეჯოს რაიონებში. საქართველოს ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა დახმარება გაუწიონ კახეთის მოსახლეობას საშემოდგომო კულტურების თესვის ჩატარებაში.

BGI

აფხაზეთი

## „ახალი აგრესიის“ ეშინიათ

რუსეთში აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „უახლოეს მომავალში შედგება აფხაზეთის პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელიც ყოფნის ვადას გაუგრძელებს აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ჯარებს.

განცხადებაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ „ჯარების გაყვანა შეუძლებელია, ვინაიდან ეს გამოიწვევს საქართველოს მხრიდან ახალ აგრესიას აფხაზეთის მიმართ“.

იბერია

## აფხაზები იმედს არ კარგავენ

მოსკოვში გრძელდება ოთხმხრივი მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე. დგინდება რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის საკითხი, რასაც აფხაზური მხარის თქმით, მოკლე ხანში უმაღლეს დონეზე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება უნდა მოჰყვეს.

ალიონი

## გენერალ იაკუშევის განცხადება

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა იაკუშევმა განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით მოხდება, აფხაზეთის ტერიტორიიდან კი — ორივე მხარის, ანუ საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლების თანხმობით. გარდა ამისა, იაკუშევის თქმით, აფხაზეთის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანას ტექნიკური მიზეზების გამო ექვსი თვე მაინც დასჭირდება.

იბერია

P.S. რუსეთმა თავისი ჯ... მაოდ მრავალრიცხოვანი კონტიგენტი გერმანიიდან და ბალტიის ქვეყნებიდან ... ბით მჭიდრო ვადებში გაიყვანა, ვიდრე ანალოგიური პროცედურისთვის გენერალი იაკუშევი მოითხოვს.

კავკასიონი

## სეპარატისტები ზეიმისთვის ემზადებიან

აფხაზი სეპარატისტები აქტიურად ემზადებიან 27 სექტემბრის თარიღის აღსანიშნავად. როგორც სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა, გალის რაიონის მოსახლეობა აფხაზმა სეპარატისტებმა გააფრთხილეს, შეაგროვონ გარკვეული თანხა იმისთვის, რათა 27 სექტემბერს „ქალაქ სოხუმში ქართველებზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად დადგმული იქნას დაღუპული აფხაზი გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი“.

იბერია

# მხოლოდ ფაქტები

# „მესამე ტურის“ ფავორიტები

[...] აგვისტოს მოსკოვში ბორის ელცინის რუსეთის პრეზიდენტად [...] ცერემონიალი გაიმართება. ასე რომ, ელცინს წინ [...]ზიდენტო მმართველობის კიდევ ოთხი წელი ელოდება, თუმცა, [...]ებში უკვე ალაპარაკდნენ „პრინცობის“ სათუო კანდიდატე[...] ერთი სიტყვით, ინაუგურაციის დროს რუსეთის პოლიტიკური [...] ბევრს თუ არა, რამდენიმე წარმომადგენელს მაინც [...]ინისკენ მიმართული მზერა გაეყინება და შვიდფეროვან ბურუსში [...] მის ადგილას წარმოიდგენს...

## [...]ისტორია

[...] რაც არ უნდა პარადოქსუ[...] მოგვეჩვენოს, მეორე ტუ[...] ბორის ელცინის გამარ[...] პირველ ეტაპზევე და[...]ცხებული ყველა კანდიდა[...] მათ შორის ჟირინოვსკის, [...]რესებში შედიოდა. მიზეზი: [...] დემოკრატი ელცინის [...]ზიდენტობის პირობებში შე[...] მათ, ეფიქრათ რაიმე [...]ალზე, თუმცა, ელცინის [...]უმფალური სვლის მიზეზი, [...]კვირველია, მხოლოდ ეს არ [...]ლა. აქ გადამწყვეტი როლი [...]რულა თუნდაც ტელერეკლა[...] აგრეთვე ადგილობრივი ხე[...]უფლების წარმომადგენელთა [...]ნებულმა მოქმედებამ, სა[...] რწმენამ იმის შესახებ, [...] პრეზიდენტი, ფლობდა რა [...]სუფლების სადავეებს, ბოლომდე გამოიყენებდა თავის უპირატესობას და უკვე ერთხელ მოპოვებულ სავარძელს არახდიდებით დათმობდა.

## კომუნისტები

რაც შეეხება კომუნისტებს. წლევანდელი საპრეზიდენტო მარათონი მათ ჯერ კიდევ 1995 წლის დეკემბერში წააგეს. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მიღწეულმა თავბრუდამხვევმა წარმატებამ „წითლებს“ დაუკარგა რეალობის გრძნობა და მათ ლიდერებს, განსაკუთრებით კი რეგიონალურ „ბელადებს“, თავიანთი შანსების რაციონალურად შეფასების საშუალება არ მისცა. ეიფორიაში მყოფ რუსეთის „პირველ ამხანაგს“, უბრალოდ, არ შეეძლო უარი ეთქვა ბორის ელცინისთვის თეთრი ხელთათმანის სროლის პატივზე, მაგრამ სახალხო—პატრიოტული ბლოკის შექმნის პერსპექტიული იდეაც ჩანასახშივე განადგურდა.

გენადი ზიუგანოვის საარჩევნო კამპანიას დათვური სამსახური გაუწია კომუნისტური სათათბიროს მიერ ბელოვეჟის ხელშეკრულების დენონსაციამ. ასეთი უაზრო, სუსტი და არაგონივრული სვლის შემდეგ კომუნისტების მოწინააღმდეგეებს, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, შეეძლოთ ელაპარაკათ მათზე, როგორც რევანშისტულ ძალაზე, რომელიც მხოლოდ წარსულის ნოსტალგიით ცხოვრობს.

ზიუგანოვის გამარჯვების შემთხვევაში, მსოფლიო პოლიტიკური სამყარო, მტრულ განწყობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რუსეთის მიმართ არასასიამოვნო, ფრთხილ პოზიციას დაიჭერდა. საერთაშორისო აზრის შემობრუნება კი ვლადიმერ ლენინს კიდევ — პო, მაგრამ გენადი ზიუგანოვს ნამდვილად არ შეეძლო.

გაგრძელება მე—6 გვ

# უხარისხო პური — დამნაშავე?..

[...] თბილისის ზოგიერთ მაღაზიაში უხარისხო [...]რის შეტანის მიზეზად პურის ქარხნის დირე[...]ორებმა წისქვილკომბინატებიდან შემოტანილი [...]ილის ხარისხის და ფასის შეუსაბამობა [...]სახელეს. აქედან გამომდინარე, მივმართეთ [...]დუბის წისქვილის ქარხნის დირექტორს მერაბ [...]რბერაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ [...]ხანაში ფირმა „აგროინვესტის“ მიერ შემო[...]ნილი ხორბალი გადამუშავდა, საწარმოს სა[...]არი პროდუქცია არ დაუმუშავებია, სხვისი [...]როდუქციის ხარისხზე და ფასზე კი იგი პასუხს [...] აგებს. ფქვილის სარეალიზაციო ფასები,




[...]ბს“ ხორბლის ხარისხის მაჩვენებლის [...] ქონდა დადგენილი, ქარხანა ვალდე[...] შეესრულებინა ფირმის მიერ განსა[...] ფასები და მის უფლებამოსილებაში [...]ა ხარისხის, ფასის შეცვლა. რადგან [...]იდველი უშუალოდ „აგროინვესტთან“ [...]ანგარიშსწორებას, საწარმო პასუხი[...] არ არის შემდგომ გართულებებზე. [...] წისქვილის ქარხანა დღეში 300 [...] ხორბალს ამუშავებს. ფქვილის პირველი [...]ეალიზაციიდან ამოღება ვერ ან არ [...] ხორბლის გადამუშავება მხოლოდ [...] დასკვნების შემდეგ შეჩერდა.

ქარხნის ელევატორში და საწყობებში ჯერ კიდევ ინახება „კუ ბალღინჯოთი“ დაავადებული უმაღლეს ხარისხად გაფორმებული ხორბალი. ეს დაავადება ამდაბლებს ხორბლის ხარისხს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მის თვისებრივ მაჩვენებელზე. თუმცა, ასეთი ხორბლისგან გამომცხვარი პური საკვებად მავნე არ არის, მაგრამ მაღალ ფასად გაყიდული უვარგისი პური უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ისედაც მწირ ფინანსურ შესაძლებლობებზე.

რა ბედი ეწევა ამ ხორბალს, სად წავა და როგორ გამოიყენება, ჯერჯერობით, უცნობია. ადვილი შესაძლებელია, რომ ახლად შემოტანილ ხორბალს უვარგისი შეერიოს და მაინც გასაღდეს. სამწუხაროდ, ეს ვარიანტი სადღეისოდ რეალობასთან ყველაზე უფრო მიახლოებულია.

ნუთუ არ არსებობს გამოსავალი გარდა იმისა, რომ სხვისი დანაშაულის თუ შეცდომის შედეგები მხოლოდ მომხმარებელმა ზღოს. ნუთუ აუცილებელია, რომ ყველაზე გაჭირვებულმა ადამიანმა ყველა შემთხვევაში უხარისხო პური უნდა ჭამოს, რომელიც ხშირად ბევრისთვის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთადერთი პროდუქტია.

დიდუბის წისქვილის ქარხანა იჯარა-გამოსყიდვის წესით არის პრივატიზებული (10 წლის ვადით). როგორც სხვა დანარჩენი, ეს საწარმოც წარმოების ციკლის უწყვეტობაზე ვალდებული თავადაა. მერაბ ბერბერაშვილის თქმით, საწარმოს განკერძოება ძალზე მცირე საბრუნავი სახსრებით მოხდა. საწარმომ, რომ არ გაჩერებულიყო, „აგროინვესტთან“ გააფორმა ხელშეკრულება. სხვა დიდი პარტიით ხორბლის შემომტანი არც არავინ ყოფილა და ამიტომ შეიზღუდა არჩევანში.

გასაყიდი პურის ფასის და ხარისხის შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზის გამოძიებამ სხვა დანარჩენ პრობლემასთან ერთად ერთი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოაჩინა, სანამ დამრღვევს ფაქტზე არ წაასწრებენ, მანამდე მისი გამომჟღავნება არავის სურს, შემდეგ კი იწყება პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალების მარათონი და პრაქტიკულად გაურკვეველი რჩება, ვინ არის დამნაშავე, ვინ აგებს პასუხს მომხმარებლის წინაშე.

ნუცა რუხაძე

[...]ფს «კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია» იწვევს სამუშაოდ
ფინანსურ მენეჯერს.
აუცილებელია: ინგლისური ენის ცოდნა. მუშაობის გამოცდილება. სამუშაოდ მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქეები. მსურველებმა მიაკითხეთ
წერეთლის გამზ. № 114
(შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ქარხანა)

# ჩემი აზრით



თეიმურაზ ქორიძე

# თავისუფალი პრესა ახალი რევოლუციის მოლოდინში

კითხვა, — თავისუფალია თუ არა პრესა საქართველოში? — მოქალაქეთა უმრავლესობას, ალბათ, გულუბრყვილოდ და რიტორიკულად მოეჩვენება. ამისთვის საკმაოდ სერიოზული საფუძველიც არსებობს: დაუბრკოლებლად გამოდის ყველა შესაძლო ჟანრისა და მიმართულების გაზეთი; იწერება ყველაფერი, რაც ავტორის გულსა და გონებას ეამება; პრესის მიმართ, ფაქტობრივად, არ მოქმედებს არანაირი კანონი — არც პრესისა, არც სისხლის სამართლის, არც სამოქალაქო, არც საგადასახადო. ხშირად — არც ზნეობისა და მორალის უმარტივესი მოთხოვნები.

იმ ადამიანებს, ვინც ძირითადად ქმნის დღევანდელ პრესას, სწორედ ეს ჰგონია თავისუფლება და არამარტო სარგებლობს, ნეტარებს კიდეც ბოძებული სიკეთით.

რად ღირს თუნდაც გაზეთების უმრავლესობაზე წამძღვარებული დევიზი: „გაზეთი პასუხს არ აგებს ავტორების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.“ ეს ნიშნავს, რომ გაზეთში შეიძლება გამოქვეყნდეს ყველაფერი — ფაშისტური მოწოდებებიც, აშკარად ცილისმწამებლური სტატიებიც, დაუსაბუთებელი კრიტიკაც, პორნოგრაფიული ლიტერატურაც — და გაზეთი ამაზე რატომღაც არავითარ პასუხისმგებლობას არ იგრძნობს.

ასეც ხდება. არსებობისთვის უსასტიკესი ბრძოლის ორომტრიალში ჩაბმული ჩვენი სანაქებო და საამაყო თავისუფალი პრესა თვალსა და ხელს შუა „ყვითლდება“ და „შავდება“ (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება უკლებლივ ყველა გაზეთს). პრესა თვრება უკიდეგანო და უძირო თავისუფლებით. გამოკიძებელი კი, ჯერჯერობით, არ ჩანს. მოდით, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რას ნიშნავს პრესის თავისუფლება: ეს არის არჩევანის თავისუფლება, მოქმედების თავისუფლება, ინფორმაციის მოპოვების თავისუფლება, ხელშეუხებლობის გარანტია, კანონიერი უფლებების გამოყენების შესაძლებლობა. რაც მთავარია, ყველაფერი ეს უნდა „ჯდებოდეს“ მოქმედი კანონმდებლობის საზღვრებში.

დემოკრატიული საზოგადოებისკენ მტკიცე ნაბიჯით მიმავალ საქართველოში, სამწუხაროდ, არ მოქმედებს კანონი პრესის შესახებ. იმიტომ კი არა, რომ იგი არა გვაქვს. გვაქვს, მაგრამ არ ვიყენებთ.

ამგვარი ვითარება, ერთი შეხედვით, ეგრეთ წოდებული პრესის დიქტატურის არსებობაზე მიუთითებს. როცა დაუსჯელობის სინდრომით დაავადებული პრესა არ ცნობს კანონებს და მოქმედებს პრინციპით, „ვაკეთებ რაც მინდა!“

კომუნისტური რეჟიმის დროს, ლაგამამოდებული პრესა მტკიცე ხელში ეპყრა და იქით მიაჯირითებდა, საითაც მოეპრიანებოდა. ამჯერად, რადიკალურად განსხვავებული ვითარება — ლაგამგადაგდებული და თავაშვებული პრესა იქით მიაჯირითებს, საითაც თვითონ მოეპრიანება. ასეა ერთი შეხედვით. სინამდვილეში ვითარება გაცილებით რთული და საშიში, შეიძლება ითქვას, თავისუფალი პრესისთვის დამღუპველია. ხელისუფლებამ მთლიანად კი არ „აუშვა და გაუშვა“ იგი, უბრალოდ, გრძელი ჯაჭვით დააბა და დაუკრეფავში გადასვლის საშუალება მისცა. ამით მან პრესის დადანაშაულებისა და დასჯის მექანიზმი დაიტოვა. ის უკიდეგანო თავისუფლებაც მოჩვენებითია: აბა სცადეთ, დაუბრკოლებლად შეხვიდეთ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში (პარლამენტში, შს სამინისტროში, რესპუბლიკის პროკურატურაში, ეროვნულ ბანკში, პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში...), სცადეთ, შეხვიდეთ საპატიმრო ადგილებში, ეგრეთ წოდებულ „ცხელ წერტილებში“ და თავად დარწმუნდებით, რომ პრესის თავისუფლების წმიდათაწმიდა მოთხოვნები არჩევანის, მოქმედების, ინფორმაციის მოპოვების თავისუფლების შესახებ ცარიელი ლაყბობაა და მეტი არაფერი. დემოკრატიის მშენებელი ქართველი ჩინოვნიკები პრესას საკუთარი პრესცენტრების საშუალებით ობიექტური ინფორმაციის ნაცვლად ხშირად თავხედურ სიცრუეს სთავაზობენ. პრესა საკუთარი ძალებით ცდილობს ობიექტური ჭეშმარიტების ძიებას და გაზეთებში ჩნდება „სანდო წყაროებზე“ დაფუძნებული ფანტასტიური ჭორები და პიროვნების ღირსების შემლახველი, შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური ინფორმაციები. ჩნდება უამრავი გულუბრყვილო შეცდომა და დაუსაბუთებელი თეორია.

ხელისუფლება, მისი მაკონტროლებელ-დამსჯელი აპარატი, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხედავს. იგი ყველაფერს აღნუსხავს და ხვალ იმ ჯაჭვის დამოკლებას დაიწყებს, ყელზე რომ გვაბია და დღეს მის სიმძიმეს ვერ ვგრძნობთ.

ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ თითქმის ყველა გაზეთი სრული ბანკროტობის თავიდან ასაცილებლად, იძულებულია თავისი მცირე შემოსავლები დაუმალოს საგადასახადო ინსპექციას. ანუ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს. ხელისუფლება გადასახადებისგან კი არ ათავისუფლებს პრესას, სუბსიდიებს კი არ აძლევს (როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებში ხდება), არამედ თვალს ხუჭავს დანაშაულზე, რათა ხვალ, მხილებულ პრესას ლაგამი ამოსდოს და იქით გააჭენოს, საითაც მოეპრიანება.

ჩვენი ეროვნული, სასახელო სუკი ინტენსიურად აგროვებს გაზეთების იდეოლოგიური და ფინანსური მოღვაწეობის ამსახველ ინფორმაციებს. იგი, ჯერჯერობით, არ მიმართავს რაიმე სანქციებს. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდება, რომ სამართლიანობისთვის მებრძოლი თავისუფალი პრესა თვითონ არის გაბმული ათასგვარ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში და იგი მწარედ დაისჯება.

ზღვა თავისუფლებით გაბრუებული და ლუკმაპურისთვის ბრძოლით გართული თავისუფალი ქართული პრესა, სურს თუ არ სურს, ქვეყანაში ეგრეთ წოდებული ოპოზიციის არსებობასაც ეგუება. უფრო ზუსტად, იგი საშიშ მეტოქედ არ მიაჩნია. მსოფლიოს არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლება საკუთარ თავს არ მისცემს (და არც აძლევს) საკუთარი გაზეთის გამოცემის უფლებას. ჩვენთან ასეთი გაზეთი რამდენიმეა. უფრო კონკრეტულად, ახლანდელმა დემოკრატიულმა ხელისუფლებამ კომუნისტებისგან მემკვიდრეობად ირგუნა ზოგიერთი მაშინდელი რესპუბლიკური გაზეთი და მათ ახალებიც დაუმატა. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას თავისუფალი პრესა საერთოდ არ სჭირდება, თავისიც ეყოფა. როცა მოუნდება, იგი სწორედ თავის გაზეთებს გამოაცხადებს „თავისუფალ პრესად“. სხვა ყველა დანარჩენს ადვილად დახურავს. როგორც მოგახსენეთ, საბაბის მოსაძებნად შორს წასვლა არ დასჭირდება.

თანამედროვე ქართული თავისუფალი პრესა თავადაც უხვად იძლევა ერთობ მდიდარ მასალას საკუთარი თავის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ითქმის „შეურიგებელ ოპოზიციურ პრესაზე“, რომლის უგუნურებაში გადაზრდილი თავხედური „სიმამაცე“ უახლოეს მომავალში უეჭველად გამოიღებს ძალიან მწარე ნაყოფს მთლიანად ქართული პრესისთვის.

როცა პრესის შესახებ უნაკლო კანონს მივიღებთ, დადგება ის სახოებით ნანატრი დღეც, როცა, საზოგადოდ, კანონიერების საზღვრებში ვიცხოვრებთ, მაშინ თანამედროვე ქართული თავისუფალი პრესა ან მართლაც იცვლის ფერსა და სახეს, ან არენიდან წავა და თავის ადგილს ოფიციოზს დაუთმობს.

ეს კი უთუოდ გახდება ახალი რევოლუციაზე ფიქრის საბაბი.



## ჩემი აზრით

ია ანთაძე

ძვირფასო მკითხველო! მე ვარ ია ანთაძე და ძალიან მინდა, ჩვენი შეხვედრები სიხარულის მომტანი იყოს „კავკასიონის" გულშემატკივრებისთვის. შევეცდები, ამ შეხვედრებისას გიამბოთ ჩემთვის ყველაზე ძვირფასზე — ადამიანებზე. ვიმედოვნებ, ისინი (ნაცნობებიც და უცნობებიც) თქვენთვის საინტერესონი იქნებიან.

ვიწყებ ადამიანით, რომელიც მიყვარს და მენატრება. ამიტომ, მისით დაწყება ბუნებრივიცაა, სწორიც და ადვილიც.

# მიხეილ მუსხელიშვილი



ჩვენ ცხრა წელიწადია, ერთმანეთს ვიცნობთ. ერთად მივედით სკოლაში: ის — მეორე კლასის მოსწავლე, მე — ახალბედა მასწავლებელი.

რამდენიმე წლის შემდეგ (YI კლასში) მიშიკომ ერთ-ერთ თხზულებაში ასე გაიხსენა ის დღე: „პირველ დღეს, როცა სკოლაში მოვედი, ის დამამახსოვრდა, რომ თქვენ, ია მას, რაღაც გვათამაშეთ, მგონი, იაპონური სიტყვები უნდა გამოგვეცნო. ჰოდა, თამაშის აზარტში შესული, რატომღაც ხულ ვაგებდი. ჩემს გვერდით მჯდომი ნიკა კაპანაძე სულ იგებდა და ღრიალებდა. ბოლოს ველარ მოვითმინე და ჩანთა მთელი ძალით თავში ვცრუზე. არა მგონია, ნიკას იმ დღეს კიდევ ხმა ამოეღო".

არ ვიცი, იმ დღეს რატომ აგებდა მიშიკო, მაგრამ ჩვენ (ბავშვები და მე) მიჩვეული ვართ, რომ მიშიკო ყოველთვის იგებს, რადგან ნიჭი, ჭკუა და იუმორი მოზღვავებული კი არა, მოოკეანებული აქვს. ისიც ხდება, რომ ზოგჯერ გამაოგნებლად სერიოზულია. ძირითადად კი, გაკვეთილზე ფეიერვერკებს გვიწყობს. მაგალითად, 1991 წელს თხზულებაში — „ერთი უცნაური კაცი" — წერს: „მე ვიცნობ ერთ უცნაურ კაცს, რომელსაც ჯკანშერი ჰქვია, მაგრამ ჯკვებს ჭედახი. საერთოდ კი, ფერისტოკლეს, ფერისტოპლეს ან კალისტრაპეს ეძახიან. უყვარს ფქვილში ჩადებული „ჩებურეკი" და ჩიბურაშკას მულტიპლიკაციურ ფილმში კრაკადილ გენას გულშემატკივრობს. ცხოვრობს მეფე ნიკოლოზის დროინდელ გვირაბში და შეიარაღებულია ჯაყვით, დანით, კომბლით, დაშნით, ხანჯლით, ხმლით, მშვილდ-ისრით, ნაჯახით, პისტოლეტით, თოფით, ზარბაზნით, დინამიტით, ყუმბარით, ჯავშანტრანსპორტიორით, ავტომატითა და ტანკით. აქვს ატომური ბომბი და ბირთვული იარაღის დამამზადებელი ქარხანა".

ზოგიერთი ბავშვის მსგავსად (და ზოგიერთი ბავშვისგან განსხვავებით) მიშიკოს სახლში თუ სკოლაში მუდამ სიყვარულის კალთა ეფარა. და არ გაგვჩენია იმის შიში, რომ „თავში არ აუვარდეს". ეს იყო უნიჭიერესი და უმხიარულესი ბავშვი, ვინც კი ოდესმე მინახავს.

მაგრამ შემდეგ მიშიკოს ოჯახში თავზარდამცემი უბედურება დატრიალდა — ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა უფროსი ვაჟი.

და მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ რისკის უფლება აღარ აქვთ: მთელი ოჯახი — დედა, მამა და მიშიკო — ამერიკაში გადასახლდა.

ასე რომ, ჩვენი ნასიყვარულებ-ნალოლიავებ-ნაფერებ-ნასათუთევი ბაბუხალიმ ჯოდო (კარგა ხანია, თითქმის მხოლოდ ამგვარად იხსენიებს მიშიკო საკუთარ თავს) არკანზასის დედაქალაქის, ლითლ როკის მკვიდრი გახდა. სხვათა შორის, იქაურ მასწავლებლებს ბევრი ქების სიტყვა უთქვამთ ჩვენს სკოლაზე და მიშიკოც პირველსავე წელს ამერიკელი თანატოლების იმ 5 პროცენტში მოხვდა, რომელთა წარმატებები სწავლაში ყოველწლიურ სპეციალურ კრებულში ფიქსირდება.

სამი წელი გავიდა, რაც მუსხელიშვილების ოჯახი ამერიკაში ცხოვრობს და მიშიკოს თავისი უმთავრესი საქმე — სწავლა — შესანიშნავად აქვს მოგვარებული. მაგრამ მის წერილებში ხალისსა და იუმორს სულ უფრო მეტად ეძალება სერიოზულობა და ნაღვლი: „აქ ძალიან მშვიდი ცხოვრებაა. ყველა დაწყნარებულია, ყველა კარგადაა, ყველა მიღიმის. ყველა რასაც უნდა, იმას აკეთებს. ამათ გაჭირვება არ უნახავთ. მართლა უცნაურია, ყველა ყოველთვის როგორ შეიძლება გიღიმოდეს". „აქ ძმაკაცობა რა



არის, საერთოდ არ იციან. ერთმანეთს არც ურეკავენ, არც არაფერი. ისე, აქ სულ სხვა ცხოვრების წესებია. ტეხავს." „ია მას, თქვენს ტელეფონს რა ჭირს? ჩემი ტელეფონი მოკვდა თქვენთან რეკვით და მაინც ვერ დარეკა. რა ხდება, აზრზე არა ვარ".

მადლობა ღმერთს, მიშიკო იმასაც იწერება, რომ საუკეთესო სკოლაში სწავლობს, საკალათბურთო კლუბში ვარჯიშობს, უკვე საკუთარი მანქანა ჰყავს და რომ 1994 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე მამამ სპეციალურად ჩაიყვანა დალასში ბრაზილიის და ჰოლანდიის ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრებად.

სხვათა შორის, ლითლ როკის საუკეთესო სკოლას ჩვენი ბაბუხალიმ ჯოდო ბოლო წერილში ასე ახასიათებს: „მე ისევ იმ სადისტურ კათოლიკურ სკოლაში დავდივარ. ერთ დალაპარაკებაზე დირექტორის კაბინეტში გაგზავნიან (მთელი დღე იქ ვზივარ) და ორსაათიან ლექციებს გიკითხავენ ყოფაქცევისა და დისციპლინის მნიშვნელობაზე. მოკლედ, ლაპარაკით დეპრესიაში გაგდებენ...

ცხადია, ბაბუხალიმ ჯოდო აჭარბებს — ეს მისი იუმორის თავისებურებაა. და, საბედნიეროდ, იუმორით თუ ჰიპერბოლით გაჯერებულია ყველა უსტარი. არც ისაა სადავო, რომ „სადისტურ კათოლიკურ სკოლაში" მიშიკომ გაცილებით მეტი ისწავლა, ვიდრე თბილისის მე-6 საშუალო საავტორო (ე.წ. გერმანულ) სკოლაში ისწავლიდა. თუნდაც, მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მის აღზრდაზე, სწორი ორიენტირების ჩამოყალიბებაზე ზრუნავდნენ და როცა „წაუზარმაცებდა", ტკბილად უხსნიდნენ, რომ მის შესაძლებლობებს ეს არ ეკადრება. მე მარტო საკუთარ თავს არ ვგულისხმობ და არც მხოლოდ მიშიკოს. ამგვარი დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამკვიდრებულია ჩვენს სკოლაში და, უეჭველია, განათლების ხარისხს ძალიანაც ვნებს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ვინ დაადგინა, რომ განათლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანური ურთიერთობა? ვინ იტყვის დარწმუნებით, რომელ ნიადაგში უკეთ იხარებს მიშიკოს ნიჭი და უნარი — მშობლიურში თუ უცხოში? ვინ დაიჩემებს, რომ მიშიკოს „ამერიკული" პრობლემები კერძო თავსატეხია და არა ზოგადი ტენდენცია?

სხვათა შორის, ამერიკიდან გამოგზავნილი ბოლო წერილი ასეთი „სახუმარო" სიტყვებით იწყება — „წერილი მუსხელასი, ამერიკასა შიგან ტყვეობაში მყოფი, მისის ქუჟუნიდან გახიზნულობისა თანა მუნ".

ხოლო ამერიკიდან გამოგზავნილი პირველი წერილი მთავრდება სიტყვებით, რომლებშიც ჩვენი ურთიერთობის ცხრა წლის განმავლობაში მიშიკომ ერთადერთხელ მისცა საკუთარ თავს უფლება, „შენობითი" ფორმით მოემართა ჩემთვის: „ფიცს ვდებ, გპირდები, სიტყვას გაძლევ, რომ როგორც კი ტელეფონს დავიდგამ, მაშინვე დაგირეკავ. მომენატრე. ვიხსენებ შენს სიტყვებს, რომ ოკეანის გადაღმა ვიქნები თუ სად, ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით. და მართლა გეუბნები, ჩვენ ერთად ვართ. მიშკა".

## მხოლოდ ფაქტები

# „მესამე ტურის" ფავორიტები

მე—5 გვერდიდან

მიუხედავად ამისა, კომუნისტებს კულისებში გაუჩინარება, მაინც არ ელოდებათ. ისინი ძირითად ოპოზიციურ ძალად დარჩებიან. მათ მოუწევთ ბერლინგუერისა და მარშეს დროინდელი იტალიელი და ფრანგი კომუნისტების ხვედრის გაზიარება — იყვნენ უმაღლესი ეშელონების გვერდით, შესაძლოა, ითანამშრომლონ კიდეც ხელისუფლებასთან, მაგრამ ვერასდროს იქცნენ მმართველ პარტიად.

### ოლიმპზე

ამჟამად ბორის ელცინს, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, ცოცხლებს შორის, პრაქტიკულად აღარა ჰყავს. მისი პრეზიდენტობის მეორე ვადა, შინაარსობრივად, ბევრად უნდა განსხვავდებოდეს პირველისგან: ელცინი ახლა მხოლოდ ისტორიას ებრძვის. მას აღარ ჭირდება შელახული რეპუტაციის ხელზე მოსამსახურეები. ბოლოს და ბოლოს, შეუძლია ხელისუფლებაში უფრო პატიოსანი, პროფესიონალი ხალხი მოიწვიოს. არც ისაა აუცილებელი, ისინი მაინც და მაინც მეგობართა წრიდან შეარჩიოს.

შეძლებს კი ამას ელცინი? ადამიანს, რომელიც ამდენი ხანი მიდიოდა ხელისუფლებისკენ და მისი შენარჩუნება საკმაოდ ძვირიც დაუჯდა, თითქმის აღარ შეუძლია გარდაიქმნას მოხუცებულობის ასაკში. აქამდე პრეზიდენტი თავად უპირისპირებდა ერთმანეთს მოკავშირეებსა და მოწინააღმდეგეებს, რითაც საგრძნობლად დაასუსტა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. ამით მან თავისი პოზიციების ერთგვარი ბალანსირებაც მოახდინა და ძალაუფლებაც განიმტკიცა. თუ ელცინი ძველებურ სტილში გააგრძელებს პრეზიდენტობას, იგი დიდი ხნით გაანონასწორებს ილიუშინს-ჩუბაისით, ჩერნომირდინს-იავლინსკით, ლებედს-კონკურენტუნარიანი ძალოვანი მინისტრებით. თუ არადა, იგი თავის მემკვიდრეს დაუტოვებს ნერილი საფანტივით გაბნეული რუსეთის გამთლიანების მიზერულ შესაძლებლობას. ეს არის კიდეც არჩევნების გადამწყვეტი მესამე ტური, რომელიც ქვეყანამ თავის პრეზიდენტთან ერთად უნდა გაიაროს.

### „მესამე ტური"

### ლებედი

ჩვენ უკვე ვიცით სხვა გამარჯვებულთა ვინაობაც. პირველი ტურის შემდეგ — ლებედი და ლუჟკოვი; მეორე ტურის შემდეგ — ჩერნომირდინი. ის, თუ ვინ გახდება პრეზიდენტის მემკვიდრე, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენ ხანს გაგრძელდება მესამე ეტაპი.

ელცინს გამარჯვება 16 ივნისს რომ მოეპოვებინა, უეჭველია, მემკვიდრეობის ყველაზე მეტი შანსი ალექსანდრე ლებედს ჰქონდა. ლებედი, რომ იტყვიან, შეეხიდა ელცინს — თავიდან მოიშორა გრაჩოვი; მისი მკაცრი ხელი იგრძნეს აგრეთვე ნედლეულის მონოპოლისტებმა, მორმონებმა, ვიზიტიორებმა ახლო და შორეული საზღვარგარეთიდან. მართალია, გენერალს პირდაპირი კავშირი არ ჰქონია კრემლის „სამი მუშკეტერის" „განიარაღებასთან", მაგრამ ბარსუკოვის, კორჟაკოვისა და სოსკოვეცის თანამდებობიდან გათავისუფლება, მაინც მის სახელს დაუკავშირეს.

გენერალი ლებედი შორსმჭვრეტელურად მოიქცა, როცა თავის მომხრეებს მოუწოდა, მეორე ტურში ელცინისთვის მიეცათ ხმა. იგი მართალი იყო, როცა არმიაშიც და ხალხშიც ავტორიტეტდაკარგული გრაჩოვის გადაყენება მოითხოვა. მაგრამ ცოტა გაუგებრად გამოიყურება ლებედის თანხმობა საკმაოდ გაურკვეველი ფუნქციის მქონე უშიშროების საბჭოს მდივნობაზე (უკეთეს შემთხვევაში, უშიშროების საბჭო სხვა არაფერია, თუ არა მრგვალი მაგიდა, რომელსაც მნიშვნელობას პრეზიდენტის მონაწილეობა ანიჭებს. პრეზიდენტის გარეშე იგი ადვილად შეიძლება, დეკორაციად იქცეს). ამან კიდევ უფრო გაამძაფრა კითხვა — ვინ არის ლებედი? იგი რუცკოი ნამდვილად არ არის, ის უფრო ელცინია „პაგონებში" და ხელისუფლების ამჟამინდელ სისტემაში იგივე მდგომარეობა უჭირავს, რაც ადრე სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მოუსვენარ პირველ მდივანს. ბუნებრივია, ლებედის პოლიტიკური პერსპექტივა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა დაუმტკიცოს თავის ამომრჩევლებს, რომ უშიშროების საბჭოს მდივნობაზე თანხმობა, მისი მხრიდან, გამართლებული იყო. არსებულ პირობებში, ეს „მკაცრი გენერლისგან" მოითხოვს, დაძლიოს შინა ინტრიგები, თავისი გუნდი დააკომპლექტოს არა მხოლოდ ახლობელი, არამედ მცოდნე ადამიანებისგან და ისინი საკვანძო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფლანგებზე განალაგოს. მაგრამ თუ ლებედი ვერააწყობს ურთიერთობებს პარტნიორებთან, იგი, ალბათ, ნებაყოფლობით დატოვებს კრემლს ამ სიტყვებით: „მე მოვედი კორუფციასთან საბრძოლველად, მაგრამ ვერ შევძელი".

ზოგიერთის აზრით, ლებედმა დაიმსახურა ერთადერთი, მაგრამ გარანტირებული პრივილეგია — გაიჯახუნოს კარი იმ მომენტში, როცა ამას ჩათვლის საჭიროდ. ასეთმა წასვლამ კი 2000 წლისთვის საარჩევნო კამპანიის დროს, შეიძლება მის წისქვილზეც დაასხას წყალი.

ბითაც მარჯვედ მანიპულირ... და პრეზიდენტი წინასაარჩევ... პერიოდში. ამიტომ არაა გა... რიცხული, რომ ჩერნომირდ... ზამთარში შეეჯახება სახელ... წიფო სათათბიროს „ელიტ... რასაც „გრძელი როქი" მო... ბა — ჯერ დაითხოვენ სათა... ბიროს, შემდეგ — მთავრობ... ან პირიქით. ვიქტორ ჩერ... მირდინი კარგი შესაძლებლ... ბების პიროვნებაა, თუმცა, ... სი სულების გათვლა ხელის... ფლებისთვის მებრძოლ ... კონკურენტებს ადვილად შ... ძლიათ. ამის მიუხედავად, ... მავალ საპრეზიდენტო არჩევ... ბში მისი დამარცხება მა... დიდ რისკთანაა დაკავშირე... ლი. აგვისტო-სექტემბერში ... ვე ნათელი გახდება, შეუძ... თუ არა პრემიერს გაამყარ... საკუთარი პოზიციები, გა... მაშოს თავისი კოზირი ... გამოიყენოს პირადი კონტ... ტები დასავლეთთან და რუ... თის ავადმყოფი ეკონომიკ... ვის ინვესტიციები მოიზიდ...

ჩერნომირდინი, მას ... დევ, რაც პირველ ვიცეპრ... ერ ოლეგ სოსკოვეცს დაალ... თავი, ბუნებრივია, შეეცდ... კრემლის „ბოსტანში" აღარ ... უშვას თავისი კონკურენტ... იქნება ეს ლებედი, იავლინ... თუ...

### მერი

„ელცინის ერის" დამთავ... ბის შემდეგ, რუსეთის პრეზი... ნტის მემკვიდრეობაზე, ალ... პრეტენზიას განაცხადებს მ... კოვის მერი იური ლუჟკო... მოსკოვი დღეს რუსეთის დ... ძლიერი და ელიტარული ნ... ლია. თანაც, გამოუცნობი ... ჯის მქონე პოლიტიკოსის მ... ლა ქვეყნის სათავეში, მოსკ... ლებისთვის ასევე გამოუც... შედეგებს მოიტანს. ამჟამად, ... სკოვის მერი სარგებლობს ყვ... იმ უპირატესობით, რომლი... ველოსიპედისტი, რომელიც ... ლში მიჰყვება მეტოქეს. ... ფიგურირებს ყველგან და ... ლაფერში — აშენებს საავ... ყოფოს ბუდიონოვსკში, დაწ... ულ სკოლას თბილისში, აფ... ნსებს შავი ზღვის ფლო... ფლაგმანის ამოქმედებას, აფ... თოებს კონტაქტებს უშიშრო... საბჭოს წევრებთან.



### ეპილოგი

ჩვენ კი, ისღა დაგვრჩ... დაველოდოთ რა მოხდება, ... როგორ შეასრულებს ფუნ... ქებს და, შესაბამისად, ბედ... ხელდასმულიც გახდება. ა... ვის ლებედი დამნაშავეთა ... ყაროს უნდა გაუსწორდეს, ... რნომირდინმა ინვესტიც... უნდა მოიზიდოს, ლუჟ... მოსკოვი კეთილმოაწყოს. ... პროცესი მთელ რუსეთზე ... გავრცელდეს და კიდევ ... ბორის ელცინმა მათ თავ... საქმის კეთებაში ხელი არ ... შეუშალოს...

### პრემიერი

რომ არა ალექსანდრე ლებედის საკმაოდ მოულოდნელი „გამობრწყინება", ელცინის მემკვიდრეობის ერთადერთი და აშკარა ფავორიტი რუსეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი იქნებოდა. თუმცა, ერთი „საავდრო ღრუბელი" აბნელებს პრემიერის ჰორიზონტს: ძველი რუსული ტრადიციის მიხედვით, ვიღაცა აუცილებლად მოიკითხავს პენსიების, ხელფასების ბედს, რომლის მოგვარე-

ირინე დეკანო...

# მხოლოდ ფაქტები

## ...ესპანელები ტაშს უკრავენ ფრანგ პოლიციელებს

...საფრანგეთში ბოლო დღეების განმავლობაში ჩატარდა ...ერთომასშტაბიანი საფრანგეთ-ესპანეთის ერთობლივი ...ოპერაცია. პოლიციამ დააკავა ბასკთა სეპარატისტული ...დაჯგუფება ეტა-ს რამდენიმე წევრი. მათ შორისაა ეტა-ს ...ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც დიდი ხანია იძებნებოდა ესპანეთის ხელისუფალთა მიერ არაერთი აფეთქებისა და მკვლელობის ბრალდებით. იგი საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ ქალაქში საკუთარ აგარაკზე დააკავეს, სადაც პოლიციამ დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები და სხვადასხვა სახის იარაღი აღმოაჩინა.


...იმე მარია ორეხა

ამავე ოპერაციის შედეგად, რომელიც თავისი მასშტაბით ეტა-ს წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათაგან მას შემდეგ, ...ხელისუფლებაში პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მოვიდა, ...ზის ცენტრში ეტა-ს კიდევ ხუთი წარმომადგენელი ...კავეს.

...ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაიმე მარია ...ხამ ფრანგ კოლეგებს აქტიურობა და ოპერატიულობა ...ნონა, თუმცა, აღნიშნა, რომ ეტა-ს წარმომადგენლები ...კიდევ მძლავრობენ საფრანგეთში და მათ წინააღმდეგ ...უფრო მკაცრი ბრძოლაა საჭირო.

## მეიჯორი — ბეწვის ხიდზე

ბრიტანეთის საყოველთაო არჩევნებამდე ცხრა თვე დარჩა. პრემიერმინისტრი ჯონ მეიჯორი წინასაარჩევნო სამზადისს უკვე კარგა ხანია შეუდგა, თუმცა, ბრძოლა არცთუ ისე ადვილი იქნება, ვინაიდან მას ღირსეული მოწინააღმდეგეები ჰყავს.



გუშინ პრემიერმინისტრმა სახელმწიფო ხაზინის მინისტრის პოსტზე ახალი პიროვნება დანიშნა. ძველის მოხსნის მიზეზად კი მან „შერისხულის" მიერ არასწორი საგარეო პოლიტიკის წარმოება დაასახელა. კერძოდ — ევროვალუტისადმი დამოკიდებულების მცდარი კურსი. მეიჯორი საკმაოდ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაშია და შესაძლოა, ბევრი შეცდომა დაუშვას, რაც მის კონსერვატიულ პარტიას შემდგომში ზიანს მიაყენებს.

# ჩემი აზრით



ხათუნა რეხვიაშვილი

## პური ჩვენი არსობისა

სადღეისოდ პურის ფასების ლიბერალიზაცია ყველაზე აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური საკითხია. ამ პროცესს ქვეყნის ეკონომიკისთვის საეტაპო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მისი მოსამზადებელი პერიოდიც საკმაოდ ხანგრძლივი და მწვავე იყო. თითქოს გათვლილი და გაანგარიშებული იქნა ყველა დეტალი. 15 ივნისიდან თითქმის ერთი თვე ფასების ლიბერალიზაციის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაღაზიებში პურის გასაყიდი ფასი ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის, არც გამომცხვარი პურის ხარისხს უჩიოდა ვინმე. მინი საცხობებში და კომერციულ ჯიხურებში შედარებით ძვირად ღირებული პური კი ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა პროცესის მიმდინარეობაზე. მომხმარებელი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი იყო. გამოიკვეთა, რომ პროცესი მოსახლეობის სოციალური ინტერესების, მდგომარეობის გათვალისწინებით დაიწყო. მაგრამ თვის ბოლოსთვის თავი იჩინა აბსოლუტურად გაუთვალისწინებელმა ფაქტმა. მაღაზიებში გამომცხვარი პურის ხარისხი და ფასი არ შეესაბამებოდა ერთმანეთს.

**რა მოხდა?** — ამ კითხვაზე პასუხის მოძიებისას ასეთი პოზიცია გამოიკვეთა — პურის ფასების ლიბერალიზაციის მსვლელობის კოორდინატორებმა, ფასების შესაძლო კატასტროფული ზრდის აღმოფხვრის უმარტივეს ხერხს მიმართეს, მეწარმეებს „ურჩიეს", რომ 1 კგ. უმაღლესი ხარისხის პური არაუმეტეს 62 თეთრად დაეფასებინათ. ნებსით თუ უნებლიედ, მოხდა ფასების ფიქსირება, მეწარმეები მოქმედებაში შეიზღუდნენ. ზემდგომი ორგანოების „რეკომენდაციები", ქვემდგომებმა სიტყვიერ ბრძანებად იქციეს. გამოდის, რომ პურის ფასები ფიქტიურად გათავისუფლდა?! მავანნი შეეცადნენ პასუხისმგებლობის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან მეწარმის დონემდე დადაბლებას. სანამ მომხმარებელი პრობლემის იერარქიულობას გამოიკვლევდა, პირველ რიგში, მეწარმეს მოსთხოვდა პასუხს და ლიბერალიზაციის პროცესის მსვლელობაზე პასუხისმგებელი პირები „სუფთები" დარჩებოდნენ. ვისთვის იყო უცნობი, რომ ყოფილი პურის ქარხნების და წისქვილკომბინატების უმრავლესობა დაბალი საბრუნავი სახსრებით განკერძოვდნენ და სადღეისოდ ისინი ფინანსურად სუსტები არიან.

ხომ იმთავითვე ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ათპროცენტიანი რენტაბელობით და ფასწარმოქმნებში შეზღუდული მეწარმეები, რომლებიც პასუხს აგებენ საწარმოს უწყვეტობაზე, რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ, შედეგად კი მომხმარებელი დაზარალდებოდა. აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა საკითხის მანიპულირების, ლავირების არასწორი გზა გაკვალა და მეწარმეთა უმრავლესობაც ამ გზას გაჰყვა. რადგან პასუხისმგებლობის ერთიანი ჯაჭვი სათავეშივე ჩაწყდა, მას რეაქციაც ჯაჭვური მოჰყვა.

გამოდის, რომ თავისუფალი პურის ფასების გათავისუფლების აუცილებლობას მხოლოდ მომხმარებელი შეხვდა მაქსიმალური გაგებით — ყველა სხვა დანარჩენმა კი, საკუთარი კეთილდღეობის გადასარჩენად, გამოსავლის არცთუ მისაღები გზების ძიება დაიწყო?! როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კრიტიკულ სიტუაციაში გამოჩნდა „მხსნელი", საკმაოდ სოლიდური და ეკონომიკურად ძლიერი კერძო ფირმა, რომელმაც შიდა ბაზარზე დიდი პარტიით შედარებით იაფად შემოიტანა ხორბალი და შედარებით იაფად გაყიდა მისგან გადამუშავებული ფქვილი. პროდუქციის უხარისხობაზე კი თვალი დახუჭა შემომტანმაც და მწარმოებელმაც — იმის იმედით, რომ მომხმარებელთა საკმაოდ ფართო ფენას, სოციალური სიდუხჭირის გამო არჩევანი არ აქვს და პროდუქცია მაინც გასაღდებოდა.

როგორც კი პრეტენზიები გაჩნდა და გახმაურდა, უხარისხო ხორბლის ქვეყანაში შემოტანის მიზეზის ძიება დაიწყეს. დამნაშავეც მოიძებნა — რუმინეთმა მოგვატყუა, უმაღლესი ხარისხის ნაცვლად — დაავადებული, დაბალი ხარისხის ხორბალი შემოგვაპარა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ხორბლის ბიზნესში კომპეტენტურმა პირებმა, ალბათ, ყველაზე კარგად უნდა უწყოდნენ, რომ საერთაშორისო ბაზარზე იაფად ხარისხიან პროდუქტს არავინ გაყიდის. არც რუმინეთიდან შემოსულა პირველად ცუდი ხორბალი, გარდა ამისა, არსებობს ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ხორბლის, ფქვილის ხარისხს, ჯგუფს, კატეგორიას, წებოგვარობას და ა.შ. სანამ პროდუქტი ქვეყანაში შემოვიდოდა, სარეალიზაციოდ სავაჭრო ქსელში გავიდოდა და განგაში ატყდებოდა, ნუთუ ხორბლის დამტვირთველი და მიმღები პორტიდან მოყოლებული პურის მაღაზიამდე დამთავრებული არსად არ მოხერხდა დარღვევების გამორკვევა და დროული რეაგირება?!

მაგრამ, ეტყობა, სოციალისტური ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების და ბიუროკრატიულ-მბრძანებლური მუშაობის ტრადიცია ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია ჩვენში, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ხორბლის შემომტანის და მის მფარველთა თვითმიზანი დიდი მოცულობით იაფფასიანი უხარისხო პროდუქციის გასაღება, ამით განსაკუთრებით დიდი მოგების მიღება და არა ქვეყნის სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება — ყველასთვის სარგებლიანი ეკონომიკური ოპერაციის განხორციელება იყო. პასუხისმგებლობა, საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა კვლავ მეორე პლანზე გადავიდა. შედეგად დაზარალდა მომხმარებელი, მეწარმე, მიმდინარე რეფორმის განვითარებას კი, მრავალი ორაზროვანი — ზოგჯერ არცთუ სასურველი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ყოველივე ეს ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის არაკეთილსინდისიერებაზე მიგვანიშნებს და არა პურის ფასების ლიბერალიზაციის პროცესის კატასტროფაზე, მაგრამ თუ უმოკლეს ვადაში არ აღმოიფხვრა ამგვარი მაქინაციების ჩატარების საშუალება, შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მივიღოთ.

### პრესკონფერენცია

## საქართველო — ირანის ეკონომიკურ ინტერესთა სფეროში

...ირველი გვერდიდან

...ირანის საგარეო საქმეთა ...მინისტრთან შეხვედრისას საუ...ის ძირითად თემას წარმოა...დგენდა როგორც საქართველო-...ირანის ორმხრივი ურთიერთო...ბები, ისე ირანის დამოკიდებუ...ლება კავკასიის რეგიონში მიმ...დინარე პოლიტიკურ-ეკონომი...კური პროცესებისადმი. ვილაი...თიმ სრული მხარდაჭერა გა...მოთქვა მშვიდობიანი კავკასიი...სადმი. იგი იმედოვნებს, რომ ...საქართველო, პოლიტიკური ...გზით, შესძლებს ტერიტორიუ...ლი მთლიანობის აღდგენას.

...ირანის ეკონომიკისა და ფი...ნანსთა სამინისტროებში იმსჯე...ლეს ირანის მიერ მონოდებული ...სესხის ვალის (12 მილიონი დო...ლარი) გადავადების შესახებ. ...ირაკლი მენაღარიშვილის აზ...რით, უახლოეს ხანებში ვალების ...რესტრუქტურიზაციის საკითხი ...დადებითად გადაწყდება.

...ვიზიტისას საუბარი შეეხო ...ენგურჰესის რეაბილიტაციის ...პროექტის, ირან-სომხეთ-საქარ...თველოს ელექტროგადამცემი ...ხაზის აღდგენის საკითხებს. ამ...ჟამად მიმდინარეობს ამ ხაზის ...აღდგენითი სამუშაოები.

...აღსანიშნავია, რომ ირანი ...დაინტერესებულია საქართვე...ლოს გავლით, რუსეთისა და ...ევროპის მიმართულებით, ტვი...რთების გადაზიდვით. საქართვე...ლოს ხელისუფლება მხარს და...უჭერს ქვეყნისთვის სასარგებ...ლო ყველა ეკონომიკურ პრო...ექტს. თუმცა, ირანის წინადა...დება სარკინიგზო გადაზიდვე...ბის შესახებ ვერ განხორციელ...დება მანამ, ვიდრე არ მოწეს...რიგდება ყარაბაღის და აფხაზე...თის კონფლიქტები.

...გადაწყდა კუნძულ ქიშზე ...(სპარსეთის ყურე) საქართველო-...ირანის თავისუფალი ეკონომიკუ...რი ზონის გამოყოფის საკი...თხი. ჩვენს ქვეყანას მიეცემა ...შესაძლებლობა, მონაწილეობა ...მიიღოს მის ჩამოყალიბებასა და ...განვითარებაში.

...საგულისხმოა, რომ ირანის ...პრეზიდენტმა დიდი დაინტერესე...ბა გამოხატა აფხაზეთის საკი...თხისადმი. რაფსანჯანის აზრით, ...ირან-საქართველოს ეკონომიკურ ...ურთიერთობებში ჯერ კიდევ გა...მოუყენებელია დიდი პოტენცია...ლი, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე უნდა იქნეს რეალიზებული.

ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს „საქართველო-ირანის კომისიების იუნესკოსთან თანამშრომლობის შესახებ" მემორანდუმს, რაც სამომავლოდ ამ სახელმწიფოებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

### საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება

ცნობილია, რომ 26 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს აღნიშნულ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა. 18 ივლისს ჟენევაში მსო-ს გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა მიხეილ უკლებამ გააკეთა ოფიციალური განცხადება მსო-ს სრულუფლებიან წევრად გახდომის შესახებ. გენერალური საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. საქართველოს წინადადების რეალიზაციის მიზნით შეიქმნა მუშა ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა და თავმჯდომარე ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნებთან კონსულტაციებისა და საქართველოს მხარესთან შეთანხმების საფუძველზე შეირჩევა.

მსო-ში განევრიანების საქმართველოს მრჩეველთან — ფრანკოსთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მსო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სრულუფლებიან წევრად ჩართვას ამ ორგანიზაციის საქმიანობაში და მას ამ მიმართულებით სათანადო ტექნიკურ დახმარებას გაუწევს.

### საქართველო ტრანსევროპული სატრანსპორტო პროექტების განხორციელებაში ჩაერთო

17 ივლისს ჟენევაში გაეროს ევროპისთვის ეკონომიკური კომისიის შტაბბინაში საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტრანსევროპული (ჩრდილო-სამხრეთული) სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების პროექტებში ჩართვას. პროექტების განხორციელება მიზნად ისახავს ძირითადი სატრანსპორტო არტერიების სრულყოფას, სატრანსპორტო მოწყობილობის მოდერნიზაციას, რაც ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიცირებას.

### ირაკლი მენაღარიშვილი მიიჩნევს:

საქართველო მრავალი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროშია. ამდენად, სულაც არაა გამორიცხული, რომ ირანის სპეცაგენტურა ჩვენს ქვეყანაშიც მუშაობდეს. საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთი ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობებს უშიშროების სამინისტროს. მინისტრის თქმით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური, ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელიც კავკასიის რეგიონში არსებული ქვეყნის სპეცსამსახურებს მოეთხოვებათ.

აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, მოსკოვში მიმდინარეობს მოლაპარაკებები. სამშვიდობო ძალებმა ან უნდა უზრუნველყონ ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება და კონფლიქტის დარეგულირება ან დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია. მხოლოდ მოწინააღმდეგე ძალთა დაშორიშორების მიზნით სამშვიდობო ჯარების ენგურზე განლაგებას აზრი არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო მანდატის ვადის გაგრძელებაზე ხელს არ მოაწერს.

დიანა ბაბროშვილი

# სიტყვა-ყველას

ჩვენ ვაზისუბნის მესამე მ/რ-ის მეორე კვარტლის მეათე კორპუსის მეორე სადარბაზოში ვცხოვრობთ. ლიფტი დაახლოებით 2 წელია, რაც არ მუშაობს. რამდენჯერმე ვცადეთ ხელოსნის მოყვანა, მაგრამ ის ხან დაკავებულია, ხან მთვრალია და ხან ავად არის. კოლექტიური წერილითაც მივმართეთ ისნის რაიონის გამგებელს, დაგვხმარებოდა და შესაბამისი სამსახურისთვის დაევალებინა ჩვენთვის არცთუ უმნიშვნელო პრობლემის გადაჭრა, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ვის შეიძლება კიდევ მივმართოთ? არსებობს თუ არა სხვა რაიმე სამსახური?

სადარბაზოს მცხოვრებლები

+ + +

„ვარ პენსიონერი, ვცხოვრობ ვაზისუბანში. ერთადერთი, რისი საკუთარი პენსიით ყიდვაც შემიძლია — პურია, ისც კი ჩვენს №5 პურის საცხობ ქარხანაში „ოქროს თავთავი" ძალიან უხარისხო ცხვება. დილით რომ ვყიდულობ, საღამოთი უკვე დაძველებულია და უგემური, ხშირად — მჟავე. ლაპარაკი მაქვს ე.წ. „ძირის პურზე", „ქართული პური" კი მასზე წონით ნაკლებია და მისი ყიდვა პატარა პენსიის გამო არ შემიძლია".

ოთარ ადამია

+ + +

„...ბენზინის გაძვირებამ ავტოტრანსპორტით მგზავრობის ფასების გაძვირებაც გამოიწვია. ახლა კი, როცა ბენზინის ფასი 35 თეთრამდე ჩამოვიდა, ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის საფასური იგივე დარჩა. იქნებ ვინმემ მიაქციოს ამას ყურადღება".

ლია მანაგაძე

+ + +

„...ვაზისუბანში მომრავლდნენ მაწანწალა ძაღლები, დამშეულები ხალხსაც კბენენ. ვინ მიაქცევს ყურადღებას?"

შოთა გიორგაძე

## წელიწადის რა დროა მახათას მთაზე?

მეტრო „გურამიშვილის გამზირის" ახლომახლო მიდამოების ბინადარნი, შეღამდება თუ არა, დენის გამორთვას ველით. როცა ისეთი ბედნიერი ღამეა, რომ დაძინების წინ სინათლის ჩაქრობა გვიხდება, ზუსტად ვიცით, რომ დილით ჩაის ადუღება დიდ პრობლემად გვექცევა. არადა, ჩვენი ახლობლები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა უბანში ცხოვრობენ, უდენობას თითქმის არ უჩივიან. ეს ბუნებრივიცაა, საკმაოდ წყალუხვი გაზაფხულის შემდეგ, ვიმედოვნებდით, რომ ზამთრის უსაშველო პრობლემებიდან ცოტა ხნით მაინც თავს დავიხსნიდით.

მაგრამ, ეტყობა, ისე დაზამთრდება, რომ მახათაზე განლაგებული ჩვენი ქვესადგური გაზაფხულს, ზაფხულს და, ალბათ, შემოდგომასაც, ურცხვად გამოტოვებს.

ლია კიკნაძე

+ + +

რა ემართება ტრამვაის ხაზს ავჭალაში?

ზამთარზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ გაგანია ზაფხულშიც ძალიან ხშირად არ მუშაობს ტრამვაის მარშრუტი № 11 და № 12, რომლებიც ავჭალის მოსახლეობას ემსახურება. არადა, სულ იმედი გვაქვს, რომ სადაც არის, სანატრელი ვაგონი გამოჩნდება და ვდგავართ... ლამის საათი გადის, ვიდრე დავრწმუნდებით, რომ ისევ დენი არ არის, ისევ რაღაც პრობლემაა.

ავტობუსის და სამარშრუტო ტაქსის ფასი, მოგეხსენებათ, მიუწვდომელია იმისთვის, ვინც სიმბოლურ ხელფასზე ცხოვრობს და დღეში ორჯერ მაინც უხდება ქალაქის ცენტრსა და პერიფერიას შორის მგზავრობა.

ვინმემ ხომ უნდა გაარკვიოს, რა ემართება ტრამვაის ხაზს ავჭალაში. იქნებ, ვინმეს გულს უხარებს მისი ხშირ-ხშირი გამორთვა?

ასმათ ცაგარეილი

+ + +

...უპატრონო ძაღლების პრობლემაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ მის მოგვარებას არაფრით დაადგა საშველი. განსაკუთრებით აუტანელი ვითარებაა ღამით, როდესაც დაგვიანებული ადამიანი ადვილად შეიძლება თავისი ოთხფეხა მეგობრის მსხვერპლიც კი გახდეს. მაგალითად, თუ ზაფხულის ხვატით შეწუხებულმა, ღამით, ვერის ბაღის სიგრილეში მოინდომეთ თავის შეფარება, იქიდან გამოსულს, უკეთეს შემთხვევაში ახალი შარვლის ყიდვა მოგიწევთ.

ვ.ბერიძე

+ + +

გთხოვთ გაზეთის საშუალებით გამცეთ პასუხი, მოეთხოვება თუ არა საქართველოს 'ტელევიზიას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა? „ალიონში", „მაცნეში", „ქვიშის საათში" და სხვა საინფორმაციო გადაცემებში გამუდმებით გვესმის „საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება...", „საქმიან ვიზიტად ჩამოვიდა..." და ა.შ. ცხადია, ტექსტის დამწერს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობაზე. ხდება თუ არა გადმოსაცემი ტექსტის რედაქტირება და ვის მიერ?

ენის სიწმინდის დაცვა ხომ ყველა ჩვენთაგანის ვალია, მით უმეტეს, ეხება ეს საინფორმაციო საშუალებების მუშაკებს.

ლიანა ხერხეულიძე
პედაგოგი

+ + +

ვფიქრობთ, რომ პრობლემა, რომელზეც ვწერთ, მარტო ჩვენ არ გვაწუხებს. ბოლო დროს ძალზე მომრავლდნენ ვირთხები, რომლებიც სარდაფებში ბინადრობენ, მაგრამ, ვინაიდან, სარდაფში შესანახი პროდუქტების მარაგს თითქმის ველარავინ აკეთებს, ისინი უკვე ბინებში ძვრებიან. არის შემთხვევები, როცა ისინი ღრღნიან ბეტონს და იატაკიდან ძვრებიან ან, თუ კარი ღია რჩება, პირდაპირ დერეფნიდან შემორბიან, ვინაიდან, დღის განმავლობაში თავისუფლად დაჯლიგინებენ სადარბაზოებში, კიბეზე ამხვლელ-ჩამსვლელებს ფეხებზე ახტებიან. არის მოქალაქეთა დაკბენის შემთხვევებიც. პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში ამზადებენ და ჰყიდიან ვირთხების საწამლავს. ჩვენი სახლის მაცხოვრებლებმა არაერთხელ დავყარეთ ეს წამალი, მაგრამ ერთ კორპუსში ან ერთ ეზოში დაყრილი წამალი პრობლემას ვერ გადაჭრის. ცნობილია, რომ ვირთხები ძალიან სწრაფად მრავლდებიან და საწამლავსაც ეგუებიან. რომელ სამსახურს ეხება ამ პრობლემის გადაჭრა?

ყაზბეგის პროსპექტი,
№ 55 სახლის მცხოვრებლები

ВСЕ ПРОЖЕКТЫ ЗЕЛО ИСПРАВНЫ БЫТЬ ДОЛЖНЫ, ДАБЫ КАЗНУ ЗРЯШНО НЕ РАЗОРЯТЬ И ОТЕЧЕСТВУ УЩЕРБА НЕ ЧИНИТЬ, КТО СТАНЕТ АБЫ КАК ЛЯПАТЬ, ТОГО ЧИНА ЛИШУ И КНУТОМ ДРАТЬ ВЕЛЮ.

ПЕТР

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა სოციალურად უაღრესად გაჭირვებულ დღეშია. ადამიანი ნებისმიერ გაჭირვებას გაუძლებს, თუ იცის, რატომ ითმენს... თუ უკეთესის იმედი აქვს. ხოლო როცა გაჭირვებას უსამართლობის განცდა ემატება, ცხოვრება გაუსაძლისი ხდება.

მერამდენე წელიწადია ერთი და იგივე სურათის მოწმენი ვართ პურთან დაკავშირებით. მაღალი ხარისხის ხორბლის ფასად შემოაქვთ საფურაჟე ხორბალი და მოსახლეობას მისგან გამომცხვარ პურს სთავაზობენ. ამ მაქინაციის ტექნოლოგია მარტივია და მასში ლამის ყოველი ბავშვი გაერკვა, მაგრამ ვითარების გამოსწორებას საშველი არ ადგება. ასე ხდებოდა ოთხი წლის წინ, სამი წლის წინ, ორი წლის წინ და იგივე მეორდება დღესაც. პრესა ახმაურდება, ვითომ დაიწყება ძიება, ვითომ... და მეტი არაფერი. თათბირებზე და სხდომებზე პასუხისმგებელი პირები პრინციპული გამოსვლებით თვალში ნაცარს შეაყრიან მოსახლეობას, არ იტყვიან კონკრეტულს არაფერს, არ დაასახელებენ არც ერთ გვარს. უკვე ყველა მივეჩვიეთ, რომ ფქვილი დაავადებული უნდა იყოს, ამ ბოლო დროს თურმე კუს ბაღლინჯოც კი სჭირს (შეიძლება კუს ბაღლინჯო ჯანმრთელობისთვის საშიში მართლაც არ არის, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში ჯერჯერობით პურს მაინც უბაღლინჯოოდ ამჯობინებენ), ამის გამო, ერთნი შიმშილობენ, ზოგი კი კანში ველარ ეტევა.

დამნაშავის ძიება თვითმიზანი არ არის, როცა იქნება ვილაცას კი ჩასვამენ ციხეში, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს არაფერი ეშველება. მთავარი ის გახლავთ, რომ ხალხმა მძაღე პურით არ გაიხვრიტოს კუჭი, თორემ მერე ვილაცის დასჯა საქმეს არ უშველის. ბოროტი ცინიზმის ყველა საზღვარს გასცდა ის ფაქტი, რომ წლე-

# ტროტუ...

## გაუმარჯო...

დღემდე ყველაფრის პრივატიზაცია და იჯარით აღება (თუ მითვისება) გაგვიგია, ტროტუარის — არა.

როგორც ნავთლუღის ბაზრის დირექციაში და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეებმა გვითხრეს, ის უზარმაზარი ტერიტორია ტროტუარზე, რომელზეც მიმდინარეობს განუკითხავი ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით, იჯარით აქვს აღებული მავანს, რომელსაც, ალბათ, ქალაქში ასფალტის იჯარით აღება, მისი სრული მონოპოლიზება ბაირამობა ჰგონია, რადგან შექმნილი ანტისანიტარია და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ადგილების მოვაჭრეებით დაკავება მისი მაღალი ყურადღების მიღმა რჩება.



საბაზრო ეკონომიკა, მართლაც, რომ ბევრ მოულოდნელობებს გვთავაზობს. კონკურენციის გაწევის ქართული ფორმაც კარგად შევისწავლეთ — მთავარია, ჩვენ გავმდიდრდეთ და გამდიდრების ფორმებს და მეთოდებს ვინლა დაეძებს.

# ...ᲚᲝᲑᲘᲡ ...ᲢᲘᲘᲡ ...ᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

## ...ᲜᲐᲨᲔᲠᲧᲔᲣᲚᲘ ...ᲕᲔᲠ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ!

...რომ მართო და ხალხი ...ა არ უნდა მოაკლოო. ...ო განებივრებულები, ...ა. ეს მერამდენე წელია, ...აჭმევენ.

...რება სჭირდება, იგი ერთი არ ...მისნაირები ათასები არიან და ...ქრობენ არა იმიტომ, რომ და... შეგნებით გამოირჩევიან, არა... მიტომ, რომ თავს მოტყუებუ... გრძნობენ, გული აქვთ გატეხი... სახელმწიფოში მდიდარი და ლა... ...ველითვის იქნება, მაგრამ რო... ...ჯგუფი განუწყვეტლივ მდი... ...ბა ქურდობით და აფიორებით, ...ჩენებს უქრებათ ამ სახელმწი... ...ერთგულების გრძნობა. სწო... ...ლებს სათავეს ნიჰილიზმი ...ული სახელმწიფოებრიობი... რასაც შეიძლება გამოუსწო... ...ო შედეგები მოჰყვეს.

...კონომიკური საზღვრები თი... ...გვაქვს. მაგრამ დაუბრკოლებ... შემოდის მოწამლული საჭმე... სასმელი, ათასგვარი კონტრა... პატარა ჯგუფი მდიდრდება, ...ღატაკდება. კორუფცია მძვი... ...ბს ყველა სფეროში, რომელ... ...ულთან აქვს შეხება. საბაზრო ...მიკასთან დაკავშირებით ...ებით თეატრების დახურვას ...ებოდა ადამიანი, დროებით ...ებდა უწამლობასაც და უპუ... ...საც. შეეგუებოდა იმას, ფასდა... ...ელი განძი რომ გვიოხრდება ...ის მუზეუმში, რადგან ...ლარი ვერ გვიშოვია მის გა... ...რად. გაუძლებდა აფხაზეთის ...ვას და კიდევ ათას უბედუ... ...მაგრამ, როცა ვილაც ნაბიჭ-

ვარი (!) ერთ წუთში მილიონობით დოლარს იჯიბავს, მოსახლეობისთვის დამპალი ფქვილის ჭმევის ხარჯზე, ეს ყველაფერი აბსურდის თეატრს ემსგავსება.

თითქოს გეგმაზომიერად ხდება სახელმწიფოებრიობის, საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის დისკრედიტაცია, ისინი, ვინც მატლებივით ფესვებს უჭამენ ქვეყანას და ისინიც, ვინც ამაზე თვალს ხუჭავენ, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ანგრევენ, რადგან რწმენას უკლავენ მოქალაქეებს. რწმენადაკარგული მოქალაქეები ვერც აშენებენ რამეს, ვერც შეინარჩუნებენ და მათი ცხოვრებაც მხოლოდ არსებობად გადაიქცევა.

საჭიროა და აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შექმნა და, თავისთავად, მისასალმებელია პარლამენტის მოღვაწეობა ამ მხრივ, მაგრამ თუ კანონის ამუშავების მექანიზმი არ შეიქმნა, არც კანონი დასჭირდება ვინმეს და არც პარლამენტი.

საუკუნეების მანძილზე ელოდა საქართველოს მოსახლეობა ქართული სახელმწიფოს შექმნას და დღეს ლამის არის მუჭში გამოგვჭამონ იგი, საქართველოს დამოუკიდებლობას იმდენად გარედან არ ემუქრება საფრთხე, რამდენადაც შინაური მტრისგან და მათი ნებაზე მიშვება უპატიებელი დანაშაული იქნება ღმერთის და ისტორიის წინაშე.

კორუფციას და ჩინოვნიკთა წამხდარობას ყველა ეპოქაში სხვადასხვაგვარად ებრძოდნენ — თავებს აჭრიდნენ, ცხენის კუდზე აბამდნენ, მაგრამ ყველაზე ეფექტური მეთოდები მაინც დემოკრატიულ სახელმწიფოებში შეიმუშავეს — კანონის დიქტატურა! თუ გადარჩენა გვინდა! ჩვენც ამ გზით უნდა წავიდეთ. თუმცა, პეტრე დიდის ბრძანებას რომ წაიკითხავ, არ შეიძლება, არ იფიქრო, ჩვენი ქვეყნისთვის ხომ არ წერდა ის მამაცხონებულიო?

### ინტერპრეტაცია

მოხელეებმა თავ კანტროლი გაუწიეთ, ხაზინის ქურდობას შაეშვით, ხალხს სისხლს ნუ სწოვთ, სამშობლოს ნუ ათახსირებთ. ვინც ამას არ შაისმენს და ისევ გააგრძელებს თქვლეფასა, მოვსხნი, და რტყმაში და შიმშილში ამოვხდი სულსა.

# ...ᲙᲔᲜᲓᲘᲗ (?!)

...Ვ...

## ...ᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ

საინტერესო ერთია მხოლოდ — ვინ გასცა იჯარით ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, სადაც, მიუხედავად მერიის და მთავრობის ათასი ბრძანებულებისა, აიკრძალოს გარე ვაჭრობა ქალაქში, მავანს უფლება აქვს, თავისი ნებისამებრ გამოიყენოს კანონი.

დღეს, ალბათ, აღარაფერი უნდა გაუკვირდეს ადამიანს, თუმცა... ვინც ტროტუარი იჯარით გასცა, გასაგებია, მანქანით დაბრძანდება, მაგრამ რა უნდა ვქნათ ფეხით მოსიარულეებმა, თუ ასე გაგრძელდა, მალე სახლამდეც ვეღარ მივაღწევთ, ან თუ მივაღწევთ, უკან ვეღარ გამოვალთ. ერთადერთი იმედიღა გვრჩება — იქნება უფასო-უიჯაროდ გაგვიბან თოკები. არჩილ სულაკაურის სალამურასავით ჩვენც ვისწავლით თოკებზე სიარულს, ალბათ ჯამბაზების კურსებსაც გაგვიხსნიან და „ალეჰოპის" ძახილით გადმოვხედავთ ტროტუარებზე გამართულ ბაზრობას.




# ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲧᲕᲔᲚᲐᲡ

## ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ!

თქვენს გაზეთში სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაციები უხარისხო ფქვილისა და პურის თაობაზე. ნუთუ არ შეიძლება დაინტერესდეთ და დაადგინოთ, კერძოდ, ვის, რომელ პიროვნებას და რომელ ფირმას შემოაქვს საწამლავი საკუთარი ხალხისთვის?!

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგეს ის დრო, როცა კანონის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისრება მაღალი რანგის ჩინოვნიკებსაც. მათი სანქციებისა და ხელშეწყობის გარეშე ხომ შეუძლებელია ასეთი გრანდიოზული, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი აფიორების მოწყობა!

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ

\+ + +

გწერთ მრავალშვილიანი დედა. გთხოვთ მიპასუხოთ, რატომ მოეხსნათ ბავშვებს დახმარება? ადრე თითოეულ ბავშვზე ვიღებდით დახმარებას. ახლა მნიშვნელობა არა აქვს რამდენი შვილი გყავს, ათიც რომ გყავდეს, დახმარებას მხოლოდ მეორე ბავშვი იღებს, ისიც მიზერული ოდენობით.

ᲛᲐᲠᲐᲜᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

## ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ?

როცა პურის ფასების ლიბერალიზაციის განხორციელებისთვის მთავრობამ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები დაასრულა და მოსახლეობას „პატაკი" ჩააბარა — ყველაფერი კარგად იქნება და სოციალური საფრთხე არ გვემუქრებაო, სიმართლე გითხრათ, იმედიც კი ჩამესახა, მაგრამ ახლაღა მივხვდი, რომ ათასგზის განბილებულს, მაცდური ხელისუფლებისთვის მიამიტურად არც მაშინ უნდა მერწმუნა.

ჯერ იყო და, ხალხის თვალის ასახვევად, ერთი კვირის მანძილზე საკვებად ვარგისი პურის გვაჭამეს, მერე ხარისხმა თანდათან იკლო და ბოლოს, საფურაჟედაც კი გამოუსადეგარი ხორბლისგან დამზადებული პური შემოგვაპარეს. ეს, ვითომდაც არაფერიო და, მთავრობა კვლავ დაურიდებლად პურის რეფორმის წარმატებით ჩატარებას ქადაგებს.

ახლა იქნება ისიც გვითხრან: თუ მაღაზიაში (№19) პურის ხარისხი არ გაკმაყოფილებთ, წადით და აგერ, ბაზრობებზე ჩარჩვაჭრები რომ პურს ყიდიან, იმათგან იყიდეთო. კი მაგრამ, პურში თითო ლარის მიცემის საშუალება რომ არ მაქვს, იმას რატომ აღარ კითხულობენ?!

სრულიად ობიექტურად მექმნება ეჭვი: უვარგის პროდუქტს იმიტომ გვაჭმევენ, რომ კუჭ-ნაწლავი დაგვიავადდეს, მოსახლეობამ ცალკე სამკურნალო თანხები გაიღოს და ამით დაცარიელებული საავადმყოფოები შეავსოს, სახელმწიფომ კი ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭიროს: პურის რეფორმითაც ხელი მოითბოს და ჯანდაცვის რეფორმაც სრულყოფილად განახორციელოს. თუკი ამას სრულყოფილად განხორციელება ჰქვია!

საბურთალოს მაცხოვრებლებს პურთან დაკავშირებით, ორი დღის წინ, კიდევ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს: მე-6 პურის ქარხანას უმაღლესი ხარისხის ფქვილისგან [illegible] ცხვია 500-გრამიანი პური და მაღაზიაში 55 თეთრად იყიდება.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, თეთრი პური მივირთვა, მაგრამ რა ვქნა, ოთხსულიანი ოჯახის ბიუჯეტი რომ ვერ სწვდება ასეთ მაღალ ფასს?!

საინტერესოა, როგორ ხასიათზე დადგებოდა ჩვენი მთავრობა, ტელევიზორიდან ისევ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს რომ ისვრიან, ჩვენს დღეში რომ იყოს?

ვინაიდან თქვენი გაზეთი ყოველთვის გულისყურით ეკიდება სოციალურ პრობლემებს, ვფიქრობ, არც ამჯერად იქნება გულგრილი ჩვენი სატკივარის მიმართ და, ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვევს — საქმე გაუმჯობესდება თუ გაუარესებისკენ წავა!

ᲜᲔᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

## ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ

აბა რას წარმოიდგენდა
„ერი გულადი პურადი",
მისი მდიდარი მენიუ
თუ დავიდოდა პურამდი,
ნამდვილი გამოდგებოდა
ქორად მოსული ყურამდი,
უკუღმა თუ იბრუნებდა
„ეკონომიკის" ბორბალი
და ექნებოდა საკვებად
ძროხის საჭმელი ხორბალი.
კითხვა მაქვს: რატომ გრძელდება
„პურში" ვირთხების ფხაკური,
რატომ არ აფრთხობს იმ ვირთხებს
მინისტრის ფეხის ბაკუნი?
და კიდევ ერთი კითხვაც მაქვს
ალალი არ ეშმაკური,
არ მიბეჭდავენ, მოყვება
ჩივილ-სარჩელი, ფაფხური,
რადგან იმ კითხვას ბლომად აქვს
საკმაზი მამა-პაპური.
P.S. უკვირთ, ქართველი გახდაო
ქცევით ავი და აჯამი,
მა, რა ჭკუაზე იქნება
კუსბალლინჯოებნაჭამი.

ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲛᲘᲫᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

რედაქტორ-გამომცემლები
ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲚᲚᲐᲨᲔᲠᲘᲫᲔ და ᲙᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲙᲘᲫᲔ
გენერალური დირექტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲚᲘᲐ
პასუხისმგებელი რედაქტორი ᲖᲐᲖᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ
პასუხისმგებელი მდივანი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
მორიგე რედაქტორი ᲕᲐᲛᲔᲙᲐ ᲐᲚᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-06; ფაქსი: 23-52-12.

წერილი მესამე

# ერაყი და სპარსეთის ყურის ქვეყნები «უდაბნოს ქარიშხლიდან» ხუთი წლის შემდეგ



ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი

## ერაყი

ხუთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დასრულდა ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციით გამოწვეული სპარსეთის ყურის კრიზისი. აშშ-სა და მოკავშირეების სამხედრო ოპერაციამ, რომლის კოდური სახელწოდებაც იყო „ქარიშხალი უდაბნოში“, გააცამტვერა ერაყის პრეზიდენტის ამბიციური გეგმები. 1991 წ. 28 თებერვალს პრეზიდენტმა ბუშმა მსოფლიოს აუწყა ერაყის დამარცხება. ქუვეითის სუვერენიტეტი აღდგა, სამართალმა პური ჭამა, მაგრამ ბუშმა ბოლომდე არ მიიყვანა საქმე და არ გაანადგურა სადამ ჰუსეინის რეჟიმი, მისი ყოფნა-არყოფნა თავად ერაყელებს მიანდო. გაერო-ს მიერ ერაყზე დაწესებული მკაცრი ეკონომიკური სანქციები, ძლიერი ოპოზიცია ქვეყანაში — შიიტებისა სამხრეთში და ქურთებისა ჩრდილოეთში, — იმის იმედს იძლეოდა, რომ სადამ ჰუსეინის დღეები დათვლილი იყო. მაგრამ მან შეძლო ის, რასაც თითქმის არავინ ელოდა, მარცხიდან 5 წლის შემდეგაც ხელისუფლების სათავეშია. 1995 წ. 15 ოქტომბერს ჩატარებულ რეფერენდუმზე მან ერაყელთა ხმების 94,6 პროცენტი მიიღო და თუ დააცალეს, კიდევ 7 წელი იქნება პრეზიდენტად.

სადამ ჰუსეინმა არნახული ძალაუფლება მოიპოვა და [illegible] პიროვნების კულტი შექმნა. ის და მისი ოჯახის უახლოესი წევრები აკონტროლებენ მთელ სახელმწიფო აპარატს. სადამი ადვილად უსწორდება ოპოზიციურ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ მისი დამხობის სურვილი, მაგრამ არ გააჩნიათ საამისო რეალური გეგმა და შემდგომი მოქმედების პროგრამა. ის ერთი მცირერიცხოვანი თანამედროვე ლიდერთაგანია, რომლის მთელი მოღვაწეობა პრეზიდენტად გახდომამდე, კონცენტრირებული იყო უშიშროების სამსახურზე. ამან მისცა საშუალება გამოავლინოს და ძირშივე აღმოფხვრას ნებისმიერი მუქარა, რომელიც საფრთხეს უქმნის რეჟიმს — ოპონენტებისა და მეტოქეების განეიტრალებას ის მარტივი მეთოდით — მკვლელობით წყვეტს. არც ახლობლებს ინდობს. გასული წლის აგვისტოში იორდანიაში გაქცეული მისი ორი სიძე, რომლებიც შემდეგ ვითომდაც შეიწყნარა, უკან დააბრუნა და მოაკვლევინა.

სადამ ჰუსეინმა დიდი უბედურება მოუტანა საკუთარ ხალხს. სასტიკი სამხედრო მარცხის შემდეგ ერთი პირობა, ის ენერგიულად შეუდგა აღდგენით სამუშაოებს, მაგრამ აღმშენებლობითი ეიფორია 1992 წ. ბოლოს შენელდა და 1993 წ. შეწყდა. ამის მიზეზი იყო გაერო-ს ეკონომიკური სანქციები, რომლებიც ერაყზე დააწესეს და მათგან გამომდინარე პრობლემები. მსოფლიო თანამეგობრობის მიზანია, ხელი აალებინოს ერაყს ბირთვულ და ქიმიურ შეიარაღებაზე, ადამიანის უფლებების შელახვაზე. ერაყს არა აქვს უფლება გაყიდოს ნავთობი, რაც ადრე წლიურად 15 მილიარდი დოლარის შემოსავალს აძლევდა. ამის გარეშე ქვეყანას არ შეუძლია საჭირო ნედლეულის, მანქანა-იარაღებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, სასუქების, ფურაჟისა და სურსათის იმპორტი. მრეწველობის დონე შემცირდა. მოიშალა სარიგაციო და სადრენაჟო სისტემები და დაქვეითდა სოფლის მეურნეობა. ქვეყანა შიმშილობს. თუ 5 წლის წინათ ერაყელი იღებდა 3 ათას კალორიას, ახლა ათასს იღებს. საკვების ნაკლებობა იწვევს მრავალ ავადმყოფობას, განსაკუთრებით 5 წლამდე ასაკის ბავშვებსა (გაერო-ს ანგარიშით მათი 25 პროცენტი შიმშილობს) და 50 წლის ასაკზე უფროს ადამიანებში. ერაყის ქურთისტანის 2,2 მილიონიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარს აკლია საკვები. სამხრეთ ერაყში მოშლილი საკანალიზაციო სისტემის გამო დაბინძურდა სასმელი წყალი, ხშირია კუჭ-ნაწლავის და სხვა დაავადებები. განსაკუთრებული დარტყმა მიიღო საშუალო კლასმა, რომელმაც უკვე გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეეძლო და ახლა ხელისუფლების წყალობაზეა. ამ კლასის სახელმწიფო სექტორის მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი 5-15 ათასი დინარი, ანუ ოფიციალური კურსით 2,5-7,5 დოლარია. ხელისუფლებაში გაიზარდა კორუფცია. დაქვეითდა სოციალური მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემები. გაიზარდა პროსტიტუცია. არმიიდან ათასობით დემობილიზებული, რომელთაც არ გააჩნიათ პროფესია, ქურდობითა და ყაჩაღობით ირჩენს თავს, თუმცა ერაყის კანონები ამ მხრივ მკაცრია და დამნაშავეთა კიდურების ამპუტაციას ითვალისწინებს.

6 თებერვალს ერაყმა და გაერომ დაიწყეს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ ერაყს მიეღო №986 რეზოლუცია, რომელსაც სადამ ჰუსეინი დიდი ხნის მანძილზე უარყოფდა. ეს რეზოლუცია ნებას აძლევს ერაყს ყოველ 6 თვეში გაყიდოს 2 მილიარდი დოლარის ნავთობი, რათა მისცეს კომპენსაცია (შემოსავლის 1/3) ერაყის აგრესიის მსხვერპლთ, შეიძინოს სურსათი და მედიკამენტები. ამის თაობაზე ერაყმა და გაერო-მ 20 მაისს ხელი მოაწერეს მემორანდუმს. ერაყის ნავთობი თურქეთის ნავთობსადენს გაივლის და ჯეიჰანის პორტით შევა ხმელთაშუა ზღვის აუზში. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები უკვე შიშობენ, რომ ერაყის დაბრუნება ნავთობის ბაზარზე გამოიწვევს შავი ოქროს ფასის დაცემას.



ამირა აბდალაჰი, საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე, მომავალი მეფე?

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ერაყის ნავთობზე სრული ემბარგო რამდენიმე წლის შემდეგ გაუქმდება. სასურველია, რომ ეს გადაიდოს მანამდე, ვიდრე სადამი ხელისუფლების სათავეშია. უმძიმეს ეკონომიკურ პირობებშიც კი ერაყის პრეზიდენტი შეიარაღებაზე ოცნებობს. ივნისში ბაღდადმა, ერთი პირობა, კატეგორიულად აუკრძალა გაერო-ს ექსპერტებს განიარაღების სფეროში ბაღდადის დასავლეთით 24 კმ-ზე მდებარე ქაბუ-ღარიბის გასაიდუმლოებულ სამხედრო ობიექტებში შესვლა. აქ ადრე იყო ბირთვული პროგრამის სარეალიზაციო მოწყობილობები და სადამს, ჩანს, სურდა ყოველგვარი კვალის დაფარვა. შემდეგ ერაყის პრეზიდენტის სიჯიუტე გატყდა. გაერო-ს სპეცკომისიის მეთაურთან როლფ ეკეუსთან 19-22 ივნისს მიღწეული შეთანხმების თანახმად, კომისიას „შეიარაღების ყველა საეჭვო ადგილებში დაუყოვნებლივ, სრული და უპირობო შესვლის უფლება ეძლევა“. ეკეუსი, რომელიც ერაყის პრესამ ტირანად და აშშ-ს აგენტად მონათლა, დარწმუნებულია, რომ ერაყს აქვს ბალისტიკური რაკეტები და უწინდებურად საშიშია რეგიონისთვის.

## სპარსეთის ყურის ქვეყნები



მარცხნიდან მარჯვნივ: კატარის ამირა ჰამად იბნ ხალიფა ალ სანი, ქუვეითის ამირა ჯაბირ ალ-აჰმად ას-საბაჰი, ომანის სულთანი კაბუს იბნ საიდი, ბაჰრეინის ამირა ისა იბნ სალმან ალ ხალიფა, საუდის არაბეთის მეფე ფაჰდი, გაერთიანებული არაბული საამიროების პრეზიდენტი ზაიდ იბნ სულტან ალ ნაჰაიანი.

საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი და კატარი ქმნიან სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს. საბჭოს ქვეყნების განკარგულებაშია უდიდესი სიმდიდრე — მსოფლიო ნავთობის დაზვერილი მარაგის 40 და ბუნებრივი გაზის 15 პროცენტი. ნავთობი და გაზი სჭირდება ყველას — დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც. ნავთობის იმპორტიორები დაინტერესებული არიან ამ რაიონის ქვეყნების უსაფრთხოებითა და სტაბილურობით. ეს უკანასკნელნიც ერაყის აგრესიის მწარე გამოცდილების შემდეგ დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ უსაფრთხოებას, რომლის უზრუნველსაყოფადაც, შეიარაღება-გადაიარაღებაზე უახლოეს წლებში განზრახული აქვთ 55 მილიარდი დოლარი დახარჯონ.

**ქუვეითი** იშუშებს აგრესიის ჭრილობებს. ოპეკ-ის მიერ გამოყოფილი კვოტებით ქუვეითი ყოველდღიურად აწარმოებს 2 მილიონ ბარელ (159 ლ) ნავთობს. განზრახულია, რომ ადგილზე ნავთობის გადამუშავება 839 ათასიდან 1 მილიონ ბარელზე ავიდეს. ნავთობის ექსპორტი წლიურად 9 მილიარდ დოლარზე მეტს იძლევა და ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება ქუვეითის ახლანდელი პარლამენტის უფლებამოსილების ვადა. განვლილ 4 წელიწადში მას უნდა შეემუშავებინა საპარლამენტო ფუნქციების მქონე კოლეგიური საკანონმდებლო ორგანოს მექანიზმი, სტრუქტურა და უფლებები. მაგრამ ეს არ მოხერხდა და, ალბათ, პარლამენტს დარჩება საკონსულტაციო ორგანოს როლი.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ქუვეითი აშშ-ს იმედზეა. ამავე დროს ცდილობს შეინარჩუნოს ნორმალური ურთიერთობა ირანთან. ქუვეითი მიესალმა ერაყისა და გაეროს 20 მაისის მემორანდუმს, მაგრამ ამ ქვეყანასთან, ისევე როგორც იემენთან, იორდანიასთან, სუდანთან და პალესტინასთან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ერაყის აგრესიას, ურთიერთობა არა აქვს.

— ჩვენ ერთმანეთისგან სისხლის ზღვა გვაცილებსო — განაცხადა ქუვეითის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ხოლო კაიროში არაბთა სამიტზე (21-23 ივნისი) გამგზავრების წინ ტახტის მემკვიდრემ შეიხმა სად ალ-აბდალაჰ ას-საბაჰმა განაცხადა, რომ ხელს არ ჩამოართმევდა აღნიშნული ქვეყნების ლიდერებს, ვიდრე ისინი არ აღიარებდნენ ქუვეითის წინაშე დაშვებულ შეცდომებს.

საშინაო ვითარება ქუვეითში სტაბილურია. ასევეა **ომანში**, რომელიც სულტან კაბუს იბნ საიდის ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივ სოციალურ და ეკონომიკურ აღორძინებას განიცდის. სტაბილური ვითარებაა გაერთიანებულ არაბულ საამიროებშიც (გას), რომლის პრეზიდენტია ზაიდ იბნ სულტანი ნაჰაიანთა საგვარეულოდან. აქ 18 ივნისს ფედერალურმა ეროვნულმა საბჭომ მოიწონა პროექტი 1971 წ. მიღებული დროებითი კონსტიტუციისა. გას-ის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში მთავარი პრობლემაა 1971 წ. სპარსეთის ყურეში ირანის მიერ ოკუპირებული აბუ მუსას, დიდი და პატარა ტუმბის კუნძულების ოკუპაცია. ირანი აცხადებს, რომ ეს კუნძულები სამარადისოდ მისია, თუმცა არ გამორიცხავს გას-თან მათ შესახებ პირდაპირ მოლაპარაკებას.

17 თებერვალს სპარსეთის ყურის კიდევ ერთ ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში **კატარში** იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდა. შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების განცხადებით 7 ოფიცრისა და 40 ჯარისკაცისგან შემდგარ რაზმს ცეცხლი უნდა გაეხსნა ამირა ჰამად იბნ ხალიფა ალ სანის სასახლისთვის. გადატრიალების მცდელობა, რომელიც წარუმატებლად დასრულდა, თითქოსდა ამირას მამისგან შეიხ ხალიფასგან



ამირა სულთანი, საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრი, მოსალოდნელი ტახტის მემკვიდრე

მოდიოდა, რომელიც ამ დროს საამიროებში იმყოფებოდა. ჰამადმა მამა გასული წლის 27 ივნისს ჩამოაგდო ტახტიდან. მამა-შვილს შორის კონფლიქტის მიზეზი საგარეო პოლიტიკა იყო. ახლა კატარს ნორმალური ურთიერთობები აქვს ისრაელთან, ერაყთან, პალესტინასთან, მაგრამ სასაზღვრო დავაა ბაჰრეინთან. კატარი ოფიციალურად



კატარის ყოფილი ამირა ხალიფა იბნ ჰამად ალ სანი

აძლევს ეთერს ოპოზიციონერებს ბაჰრეინიდან.

**ბაჰრეინში** 1994 წ. დეკემბრიდან არ წყდება მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. ხშირია ტერორისტული აქტებიც, რომლებსაც 18 თვეში 21 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. არეულობა გამოიწვიეს შიიტებმა, რომელთა რაოდენობა აქ სხვადასხვა მონაცემებით, 35-60 პროცენტია. შიიტთა მოძრაობის [illegible] სულისჩამდგმელია, [illegible] მოქმედი პროირანული ორგანიზაციის „ჰიზბალლაჰის“ ხელმძღვანელობის წევრი და ოპოზიციური „ბაჰრეინის გათავისუფლების ისლამური ფრონტის“ გენერალური მდივანი ალი მაჰფუზი. ფრონტს აქვს ოფისები ლონდონსა და ბეირუთში და შტაბბინა — თეირანში. ფრონტი გამოდის შიიტების დისკრიმინაციის წინააღმდეგ და 1975 წ. დათხოვნილი პარლამენტის აღდგენის მოთხოვნით. ბაჰრეინის ამირა ისა იბნ სალმან ალ ხალიფა არეულობებში ბრალს სდებს ირანს (რომლის შემადგენლობაშიც ბაჰრეინი 1861 წლამდე შედიოდა). თეირანი, ცხადია, უარყოფს ამ ბრალდებას და ბაჰრეინის [illegible] ამ ქვეყნის საშინაო პრობლემებს უკავშირებს.

**საუდის არაბეთში** მიმდინარე წელი იმით დაიწყო, რომ 74 წლის მეფე ფაჰდმა, რომელიც დიაბეტით და ართრიტით არის დაავადებული და ბებრული ჭკუასუსტობა აწუხებს, 7 კვირით დაუთმო ძალაუფლება თავის ნახევარძმას, პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს, ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელს, ტახტის მემკვიდრეს 72 წლის აბდალლაჰს. სარწმუნო ხმები ამტკიცებენ, რომ ფაჰდი მალე დათმობს ტახტს აბდალლაჰის სასარგებლოდ და დატოვებს ქვეყანას. ტახტის მემკვიდრე ამ შემთხვევაში მისი კიდევ ერთი ძმა, თავდაცვის მინისტრი, 71 წლის სულტანი გახდება.

ფაჰდის ავადმყოფობამ (რაც გასული წლის ნოემბრიდან გაიწელა) და ისლამური ფუნდამენტალიზმის ზრდამ დაძაბულობა შექმნა ერთ დროს არაბეთის ნახევარკუნძულის ყველაზე სტაბილურ ქვეყანაში. ფუნდამენტალისტები სულ უფრო და [illegible] ენებით მოითხოვენ, რომ შეიზღუდოს კავშირები აშშ-სა და დასავლეთთან, ბოლო მოეღოს კორუფციას, რომელშიც ჩაფლულია სამეფო ოჯახი და სახელმწიფოს მართვაში ხალხს უფრო მეტი [illegible] ჩაებას.

ოპოზიციონერთა რიცხვი გაიზარდა სპარსეთის ყურის კრიზისის დროს, როცა არაბეთში ამერიკელი სარდლობით დაიბანაკა მოკავშირეთა 800 ათასმა ჯარისკაცმა. მათი ნაწილი აქ დარჩა ერაყის დამარცხების შემდეგ. ისლამისტ ფუნდამენტალისტებს უკავშირებენ გასული წლის 13 ნოემბერს ერ-რიადში ეროვნული გვარდიის საზოგადოებრივი კავშირების ცენტრთან, ტყვიაწამლით დატვირთული ავტომანქანის აფეთქებას, რომელსაც 5 ამერიკელი ექსპერტი იმსხვერპლა. წლეულს, 31 მაისს, ამ ტერორისტული აქტის 4 მონაწილეს ერ-რიადში თავები დააყრევინეს. მცირე ხნის შემდეგ, 25 ივნისს, დილით, ალ-ხობარში, ზაჰრანის მახლობლად მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზასთან, რომელსაც აშშ-ს გარდა დასავლეთის რამდენიმე სახელმწიფო იყენებს, ახალი ძლიერი აფეთქება მოხდა. ამ ტერორისტული აქტის შედეგად, რამაც მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია, დაიღუპა [illegible] და დაიჭრა 345 ადამიანი. ზოგიერთ ტერორისტს, ალბათ, დაიჭერენ და კუდლით დასჯიან. მაგრამ ტერორიზმის ტალღას, რომელიც მთელ ისლამურ სამყაროშია აგორებული, ჩანს, რეპრესიების ჯებირები ადვილად ვერ შეაჩერებენ.

ბოჩა ჯაფარიძე

**გაზეთი «კავკასიონი» ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით იწყებს ტურისტული ფირმების მიერ შემოთავაზებული მარშრუტების გამოქვეყნებას. რეკლამით დაინტერესებული ტურისტული ფირმები, ავია კომპანიები და სხვა ორგანიზაციები დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონზე: 29-48-05, ფაქსი: 23-52-12.**

| ქვეყანა, ქალაქი | მარშრუტი | ტურის სახე | დღეთა რაოდენობა, ვადები | ტრანსპორტის სახე | ცხოვრება, სასტუმროს კატეგორია | კვება, პროგრამა, მომსახურება | გასვლა | ფასი | შეღავათი ბავშვებზე | ფირმის დასახელება ტელეფონი-ფაქსი, მისამართი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრინავი | — | — | ყოველი კვირის ხუთ-შაბათს | 560 ლ. | — | „გზა" (ჭავჭავაძის პრ. 80), ტელ.: 23-07-20, 29-40-32, | |
| „—" | ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | „—" | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ | 560 ლ. | — | | |
| „—" | კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | „ორბელი" (ალმაშენებლის 123), ტელ.: 96-86-77. | |
| „—" | ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | „—" | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| „—" | კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | „ჩებე" (თავისუფლების მო-ედ. 7), ტელ.: 99-79-35. | |
| „—" | ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | „—" | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| „—" | კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | „ტვირილა" (ჭავჭავაძის 80). ტელ.: 23-42-17, 29-06-32. | |
| „—" | ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | „—" | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| „—" | კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | „რეა" (ალმაშენებლის 193), ტელ.: 34-39-70. | |
| „—" | ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | „—" | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| „—" | კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | აფხაზეთის ტურ. დეპარტამენტი. (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 22-75-14. | |
| საფრანგეთი | პარიზი | ექსკურსია | 8 | თვითმფრ. | 2*-3* | 2-ჯერადი | ჩარტერული რეისი | 1095 ლ-დან | 12 წლამდე 20 პროცენტი | „ტურისტრემშენი" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 29-40-56, 29-28-72, 22-23-63. | |
| „—" | პარიზი-ნიცა | დასვენებით | 14 | თვითმფრ-მატარ. | 2*-3* | 2-ჯერადი. | ჩარტერული რეისი | 2370 ლ.-დან | 12 წლამდე 20% | | |
| ბულგარეთი | ოქროს ქვიშა | დასვენებით | 14 | თვითმფრინავი | 2* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 925 ლ. | 12 წლამდე | საქ.-ავსტრიის ერთ.საწარმო „მეტეხი" (ალმაშენებლის 67), ტელ.: 95-11-62, 95-11-62. | ინდივიდ. ჯგუფური |
| „—" | ვარნა" | დასვენებით | 14 | თვითმფრინავი | 3* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 900 ლ. | 12 წლამდე | „ორბელი" (ალმაშენებლის 123), ტელ.: 96-86-77. | ინდივიდუალ. ჯგუფური. |
| „—" | ვარნა | დასვენებით | 15 | თვითმფრ.-ავტობუსი | 3* | 1-ჯერადი | ყოველ კვირას | თვითმფ.775 ლ. ავტობუს. 521 ლ. | 12 წლამდე | „ტვირილა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-42-17, 29-06-32 | ინდივიდუალური, ჯგუფური |
| „—" | ვარნა | დასვენებით | 11-15 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 950 ლ. | 12 წლამდე | „გზა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-07-20 29-40-32. | |
| თურქეთი | ანტალია | დასვენებით | 7-14 | თვითმფრ. ავტობუსი | 2,3,4,5* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 290 ლ.-დან ტრანსპორტის გარეშე | 6 წლამდე უფასო, 12 წლამდე ფასდაკლებით | „ორბელი" (ალმაშენებლის 123). ტელ.: 96-86-77. | |
| „—" | პრინცის კუნძ. | დასვენება | 11-14 | თვითმფრ. | 5* | სრული პანსიონი | ყოველ კვირას | 1161 ლ-დან | 12 წლამდე | „გზა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-07-20, 29-40-32, 23-15-49. | |
| „—" | კილიოსის კუნძ. | დასვენება | 11-14 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 830 ლ-დან | 12-წლამდე | | |
| ირანი | თეირანი | შოპტური | 7 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ყოველ პარასკევს | 600 ლ. | — | „ორბელი" (ალმაშენებლის 123), ტელ.: 96-86-77. | |
| ეგვიპტე | კაირო-ალექსანდრია | შემეცნებითი, შოპ-ტური | 6 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ჩარტერ.რეისი. | 910 ლ. | 12 წლამდე | | |
| ისრაელი | თელ-ავივი ან იერუსალიმი | შემეცნებითი, დასვენებითი | 8 | თვითმფრ. | 3*-4* | 2-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 1187 ლ-დან | — | „ტვირილა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-42-17, 29-06-32 | ჯგუფური |
| ხმელთაშუა ზღვის აუზი | უკრაინა (ოდესა)-იტალია-ესპანეთი-მალტა-საბერძნეთი-თურქეთი | კრუიზი | 16 | თვითმფრ. თბომავალი „შოსტაკოვიჩი" | — | 5-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 1125 ლ-3125 ლ-მდე | — | | კაიუტის კლასის მიხედვით. ინდივიდ., ჯგუფური |
| „—" | უკრაინა (ოდესა)-იტალია-საბერძნეთი-თურქეთი | კრუიზი | 12 | თვითმფრ. თბომავალი „აივაზოვსკი" | — | 5-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 1000 ლ-2750 ლ-მდე | — | | კაიუტის კლასის მიხედვით, ინდივიდ., ჯგუფური. |
| საქართველო | ქობულეთი | დასვენებით | 15 | — | ინტურისტი, კერძო სექტორი | 2-ჯერადი, 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 435 ლ-დან 240 ლარი | — | | ჯგუფური, ინდივიდ. |
| „—" | ბორჯომი | დასვენებით | 15 | — | ტურბაზა „პლატო" | 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 150 ლ-დან-225 ლ-მდე | — | | ჯგუფური, ინდივიდ. |
| „—" | ბორჯომი | დასვენებით | 14 | — | ტურბაზა „პლატო" | 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 252 ლ. | — | „გზა" (ჭავჭავაძის 80). ტელ.: 23-07-20, 29-40-32. | ჯგუფური, ინდივიდ. |
| „—" | ქობულეთი | დასვენებით | 14 | — | „ინტურისტი | 2-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 406 ლ. | — | | ინდივიდ. |
| „—" | ქობულეთი | დასვენებით | 12 | — | კერძო სექტ. | 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 230 ლ. | — | | ჯგუფური |

# საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი «მანა-96»-ის დებულება

## ორგანიზატორები

საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „მანა-96"-ის ორგანიზატორია საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი, რომელიც ფესტივალის ჩასატარებლად ქმნის დირექტორატსა და საორგანიზაციო კომიტეტს.

საორგანიზაციო კომიტეტში შედიან ტელეკომპანიების, ტელესტუდიების, შემოქმედებითი გაერთიანებების, საავტორო ჯგუფებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

## ფესტივალის მიზანი

საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალ „მანა-96"-ის მიზანია ტელევიზიის შემდგომი განვითარებისთვის ხელის შეწყობა, ტელევიზიის მუშაკთა საქმიანობის წარმოჩენა და სტიმულირება, საუკეთესოთა გამოვლინება და წარმოჩენა.

## ფესტივალის ვადები

საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „მანა-96" ჩატარდება 1996 წლის მაის-ნოემბერში სამ ეტაპად:

I ეტაპი — მაისიდან აგვისტომდე „წინასწარი";

II ეტაპი — ივლისიდან ნოემბრამდე „საკონკურსო";

III ეტაპი — 9 ნოემბრიდან „დასკვნითი".

„წინასწარ" ეტაპზე მოხდება საკონკურსოდ წარმოდგენილი გადაცემებისა და პრეტენდენტების განაცხადების წარმოდგენა და მათი წინასწარი განთესვა. „საკონკურსო" ეტაპზე მოხდება ნომინაციებზე წარმოდგენილი გადაცემების ჩვენება საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით, ხოლო 9 ნოემბერს, „დასკვნით" ეტაპზე, ფილარმონიაში შედგება გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

## კონკურსის პირობები

საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალ „მანა-96"-ში მონაწილეობა შეუძლიათ ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი ტელეკომპანიების, ტელესტუდიების, შემოქმედებითი გაერთიანებების, საავტორო ჯგუფების წარმომადგენლებს, აგრეთვე, ინდივიდუალურ პრეტენდენტებს.

კონკურსზე დაიშვება ის პროგრამა, რომელიც ეთერში გავიდა 1995 წლის 20 ივლისიდან 1996 წლის 20 ივლისამდე. ნამუშევარი საორგანიზაციო კომიტეტში წარდგენილი უნდა იყოს 1996 წლის 25 ივლისამდე VHS (PAL) სისტემის ვიდეოკასეტაზე. თან უნდა ახლდეს ავტორობის დამადასტურებელი დოკუმენტი მაუწყებელი ორგანიზაციის წერილის სახით და საკონკურსო ჩვენებაში მონაწილეობის ოფიციალური განაცხადი. განაცხადში მიეთითება სამუშაოს დასახელება, ქრონომეტრაჟი, ეთერში გასვლის დრო, შემოქმედებითი ჯგუფის შემადგენლობა, პროგრამის მოკლე შინაარსი.

თითოეულ ტელეკომპანიას, ტელესტუდიას, შემოქმედებით გაერთიანებას, საავტორო ჯგუფს უფლება აქვს თითოეულ ნომინაციაზე წარმოადგინოს მაქსიმუმ 3 (სამი) პრეტენდენტი. პრეტენდენტის მონაწილეობა სხვადასხვა ნომინაციაში შეზღუდული არ არის. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს გამონაკლისის სახით კონკურსზე დაუშვას ცალკეული გადაცემა და ინდივიდუალური პრეტენდენტი. ჟიური, თავის მხრივ, იტოვებს პრეტენდენტების ნომინაციების შეცვლის უფლებას.

საკონკურსო გადაცემებისა და ინდივიდუალური პრეტენდენტების წინასწარ განთესვას მოახდენს ჟიური, რომელიც შერჩეული იქნება ორგკომიტეტის მიერ კონკურსში მონაწილე ტელეკომპანიების, ტელესტუდიების და შემოქმედებითი გაერთიანებების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. ნომინაციაში გასული გადაცემები ნაჩვენები იქნება საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით, ხოლო გამარჯვებულები გამოვლინდებიან საფესტივალო ჟიურის დახურულ სხდომაზე 5-ქულიანი შეფასების სისტემით. გამარჯვებულთა ვინაობა დასახელდება მხოლოდ დასკვნით ცერემონიალზე, რომელთაც საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები გადასცემენ საფესტივალო პრიზს „მანა" (სამახსოვრო ტვიფრით), ხოლო „გრან-პრის" ლაურეატი ("გრან-პრის" მოიპოვებს გადაცემა (პროგრამა), შემოქმედებითი გაერთიანება ან ინდივიდუალური პრეტენდენტი, რომელიც ყველაზე მეტ ნომინაციაში გაიმარჯვებს), პრიზთან ერთად მიიღებს ფულად პრემიას 5000 ლარს.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტისა და დირექტორატის მისამართია:

ქ.თბილისი, ი.ნიკოლაძის ქუჩა 6.

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი

ფონდის პრეზიდენტი
გიორგი კალანდაძე 29-10-59

ფესტივალის ვიცე-პრეზიდენტი
ვაჟა დურმიშიძე 29-12-57

ფესტივალის ვიცე-პრეზიდენტი
ზურაბ გეგენავა 93-26-22

ფესტივალის გენერალური დირექტორი
თამაზ კაპანაძე 29-14-02, 93-26-22

## „მანა-96"-ის ნომინაციები

1. საუკეთესო სატელევიზიო დიქტორი;
2. საუკეთესო ტელეწამყვანი;
3. საუკეთესო საინფორმაციო პროგრამის ტელეწამყვანი;
4. საუკეთესო ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა;
5. საუკეთესო საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა;
6. საუკეთესო პუბლიცისტური პროგრამა;
7. საუკეთესო ეკონომიკური პროგრამა;
8. საუკეთესო შემეცნებითი პროგრამა;
9. საუკეთესო გასართობი პროგრამა;
10. საუკეთესო მუსიკალური პროგრამა;
11. საუკეთესო სპორტული გადაცემა;
12. საუკეთესო საბავშვო-საყმაწვილო პროგრამა;
13. საუკეთესო სატელევიზიო ფილმი;
14. საუკეთესო სატელევიზიო რეკლამა;
15. საუკეთესო მუსიკალური კლიპი;
16. საუკეთესო სატელევიზიო ქუდი;
17. საუკეთესო სატელევიზიო რეჟისორი;
18. საუკეთესო სატელევიზიო მონტაჟი;
19. საუკეთესო სატელევიზიო ოპერატორული ნამუშევარი;
20. საუკეთესო მხატვრული გაფორმება;
21. საუკეთესო მუსიკალური გაფორმება;
22. საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟი;
23. საუკეთესო რადიო დისკ-ჟოკეი;
24. ყველაზე პოპულარული უცხოური გადაცემა;
25. მაყურებელთა სიმპატიის პრიზი;
26, 27, 28. ორგკომიტეტის სპეციალური პრიზი;
29. გრან-პრი — მას მოიპოვებს გადაცემა (პროგრამა), შემოქმედებითი გაერთიანება ან ინდივიდუალური პრეტენდენტი, რომელიც გაიმარჯვებს ყველაზე მეტ ნომინაციაში.

## იყიდება

- 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სამსართულიანი სახლის პროექტით, აშენებული პირველი სართულით. ამბროლაურის რ-ნის სოფ. ხოდევი. ტელ.: 37-62-56, 72-09-62.
- სამოთახიანი იზოლირებული ბინა მეორე სართულზე ორთაჭალაში სამშობიარო სახლთან. სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, მიწის პატარა ნაკვეთით, ტელ.: 37-62-56.
- სამოთახიანი ლოჯიანი ბინა 8-სართულიანი სახლის მესამე სართულზე მიშენებით (42 კვ.მ.), ჭერი 2,75 სმ. გოგირდის ცხელი წყლით, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, სარდაფით. საბურთალოზე იპოდრომთან. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ.: 38-45-32.
- საბურთალოზე სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა იოსებიძის ქ. 65. რემონტით, ტელეფონით, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-34-36. იკითხეთ პირადად ლუღუ.
- კერძო სახლი ნაძალადევის რაიონის სამხედრო კომისარიატთან ახლოს. საცხოვრებელი ფართობი 110 კვ.მ., ეზოს ფართობი 400 კვ.მ. ყველანაირი ხილით და ვაზის ხეივნით. აქვს კაპიტალური გარაჟი და სარდაფები ბუხრით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-33-53.
- დასავლეთ საქართველოში, ოზურგეთის რ-ნის სოფ.ვაკიჯვარში (საკურორტო ზონაა) ორსართულიანი კაპიტალური სახლი მიწის ნაკვეთით (3000 კვ.მ.), ხეხილის ბაღი. ფასი შეთანხმებით. ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ბათუმში, პუშკინის ქ. 67. ბ. 21. ტელ.: 2-47-93 (ბათუმი).
- კუტუზოვის ქუჩაზე მაღალჭერიანი, არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა, მესამე სართული, 2 აივნით, მანქანის სადგომით, სარდაფით, ტელეფონით. 130 კვ.მ. საერთო ფართობით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-58-49.
- ბათუმში სამოთახიანი კუთხის ბინა, ზღვასთან ახლოს. ფარნავაზ მეფის (ყოფილი ტელმანის) 172, მე-4 სართული, ბინა 27. კაპიტალურად გარემონტებული, ავტოფარეხით ან მის გარეშე. ფასი შეთანხმებით. შესაძლებელია გაცვლაც თბილისის ბინაზე. ტელ.: 7-37-19, 7-18-51 (ბათუმში); 38-36-18 (სამუშაო საათებში), ჯამბული, 99-93-00 (20 საათის შემდეგ) გივი.
- სამოთახიანი, ნახევრადგარემონტებული (შავი სამუშაოები დასრულებულია), კარგი პროექტის ბინა 16-სართულიანი სახლის მე-14 სართულზე, ვარკეთილში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-61-72, ანა.
- ოროთახიანი სუფთა ბინა იტალიურ ეზოში, სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე ავეჯით, კედელში ჩასმული ხუთი კარადით, ჭერის სიმაღლე 4,80 სმ ოთახები (19+10+11), სამზარეულოთი და აბაზანით, ტელეფონით, მანქანის სადგომით, ორი სარდაფით. საწყისი ფასი 22 ათასი ლარი. მისამართი ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაია) 14. ტელ.: 51-42-31, საღამოს საათებში იკითხეთ თემური ან ლეილა, 39-64-52, ავთო.
- კარგად გარემონტებული კეთილმოწყობილი სახლი ავტოსადგომით, გლდანის მასივის ბოლოში საერთო ფართით 120 კვ.მ., სახლი შემოღობილია რკინის მესერით. ტელ.: 39-15-11.
- ერთოთახიანი, ამხანაგური ბინა, გარემონტებული, სარდაფით და ავტოფარეხით, რომელსაც გვერდზე აქვს მიშენებული ერთი ოთახი — 16 კვ.მ. დაბლა მარნით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 62-46-63, იკითხეთ ზაირა.
- კაპიტალური ნაგებობის სახლი სოფელ კრასნოგორკაში, სართიჭალიდან 14 კმ-ში, სამი ოთახი, სამზარეულო, შუშაბანდი, სარდაფი, სხვენი, სამეურნეო ნაგებობები. მიწის ნაკვეთი 27000 კვ.მ. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 73-59-36.
- კეთილმოწყობილი სააგარაკე სახლი ახატანში. მუხისა და წიფლის ტყის პირას, 600 კვ.მ. ხეხილიანი ეზო შემოღობილია ორმეტრიანი ფუანგავი მავთულის ბადით და დეკორატიული მცენარეებით. აქვს აბაზანა, სამზარეულო, მანსარდი, მარანი ბუხრით. ვერანდებით. მოპირკეთებულია იმპორტული მასალებით. ფასი 18 ათასი ლარი. ტელ.: 22-43-28, თემური.
- წყნეთში კიროვის ქუჩაზე ერთოთახიანი (22 კვ.მ.) იზოლირებული ბინა შემინული ლოჯით (12 კვ.მ.), სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, აივნით მეორე სართულზე. ფასი 18 ათასი ლარი. ტელ.: 22-43-28, თემური.
- სახლი სოფ. ბურიანში (მცხეთასთან 2000 კვ.მ., ხეხილიანი ბაღით. წყალი მუდმივად. ელ. ენერგიით, კანალიზაციით, 160 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 68-00-56, რომანი ან ნელი.
- ბორჯომის რაიონში, სოფელ ახალდაბაში, სახლი ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-83-22, 93-23-46, საღამოს: 98-63-62.
- ფირმა მუხიანის მეორე მიკრო რაიონში, ნონეშვილის გამზირზე, საშუალოდ გარემონტებული 200 კვ.მ.-მდე ძირითადი ფართითა და 100 კვ.მ. მაღალჭერიანი მშრალი სუფთა სარდაფით, რკინის კარითა და გისოსებით, მოსახერხებელი ნებისმიერი საკომერციო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ოფისისთვის, ფასი შეთანხმებით. ტელ: 64-25-25.
- მუხიანის დასაწყისში, მეტრო „ახმეტელთან“ ერთ გაჩერებაზე, ჩეხური 9-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე, მაღალჭერიანი, იზოლირებული ოთხოთახიანი ბინა, დიდი ლოჯით, ინდივიდუალური კონსტრუქციის ავეჯით, ძალიან კარგი რემონტით, დიდი, კეთილმოწყობილი სარდაფით, გალია-ავტოფარეხით, ტელეფონით (ოჯახისთვის აუცილებელი და საინტერესო ზოგიერთი სხვა კომპონენტით). ფასი 25000 დოლარი. ტელ.: დილით 9 სთ-მდე და საღამოს 8 სთ-ის შემდეგ: 63-66-13.
- 3-ოთახიანი კუთხის ბინა, ლოჯით და გადახურული აივნით. სარდაფით და მანქანის სადგომით, დიღმის მასივში. ფასი 25000 დოლარი. ან იცვლება კერძო სახლზე ეზოთი. ტელ.: 95-89-13.
- ერთოთახიანი, პრივატიზებული, არასტანდარტული, ტელეფონიანი ბინა ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე (ლვინის ქარხანასთან 10-15 მეტრში) ფართი 25 კვ.მ. (სათავსოებით) საწყისი ფასი 15000 ლარი. დარეკეთ საღამოს 6 საათის შემდეგ. ტელ.: 29-40-94.
- 22 კვ.მ. ფართის ირთოთახიანი იზოლირებული ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, ვაკეში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-88.
- ერთოთახიანი სტანდარტული ბინა ბუკიას ბაღთან, მერვე სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-59-27, 38-22-82.
- ვაკეში წყნეთის ქუჩაზე ოროთახიანი სუფთა ბინა მიშენებით, მესამე სართული. ტელ.: 23-03-17, ფასი 25000 დოლარი.
- ხუთოთახიანი ბინა მუხიანში, ცხრა სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, საერთო ფართი 100 კვ.მ., გარაჟით ორი მანქანისთვის და სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 63-27-57.
- ინდივიდუალური პროექტის ერთოთახიანი ბინა საერთო ფართით 52 კვ.მ. ნუცუბიძის პლატო, მეოთხე მ/რ, კორპ. 12, 11-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ტელ.: 23-56-53.
- არასტანდარტული ბინა ვაკის პარკთან, თამარაშვილის ქუჩა 5. ბელეტაჟზე, ლოჯით, მიშენებით. ორი სარდაფით, ტელეფონით. გადაკეთებულია ორ ოთახად. გამოდგება ოფისისთვის და კომერციული საქმიანობისთვის. ტელ.: 23-56-53.
- ან ქირავდება ოროთახიანი კერძო სახლი ვაკის პარკთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-81-62.
- ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მეორე კვ-ში, 30 კორპ. მესამე სად. მესამე სართული, ერთოთახიანი ბინა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-21-33 (თამარი).
- ერთოთახიანი სუფთა ბინა დოლიძეზე, მეორე სართული, ტელეფონით. ფასი 11500 დოლარი. ტელ.: 36-44-57.
- სასწრაფოდ საკუთარი სახლი ბელეტაჟზე. ორთაჭალაში კეთილმოწყობილი იზოლირებული საცხოვრებელი ფართი 70 კვ.მ. ეზო და გარაჟი 80 კვ.მ. ტელეფონით და დიდი სარდაფით. ტელ.: 72-26-31.
- სასწრაფოდ მუხიანში ფირმა ოფისით 200 კვ.მ., აქვს კაპიტალური საწყობი 230 კვ.მ. თავისი ლიფტით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-26-31.
- მიწის ნაკვეთი 700 კვ.მ. სახლით ბელეტაჟზე ოთხი ოთახით, ყველანაირი მრავალწლიანი ხეხილით, კარგად მსხმოიარე ვაზის ხეივნით. სოფ. გლდანის ტერიტორიაზე. საწყისი ფასი 2400 დოლარი. ტელ.: 96-93-01.
- ერთოთახიანი ბინა. მისამართი: ქინძმარაულის შესახვ. კორპ. 7. ბინა 14. (31-ე ქარხნის დასახლება). ტელ.: 98-40-35. დილის 9-დან 17 საათამდე.
- აგარაკი კასპის რაიონის სოფ. ნაბში. სახლი ოროთახიანია, აქვს ვერანდა, აივანი და 800 კვ. მ. ფართობის ხეხილის ბაღი. ტელ.: 95-44-79.
- ჭავჭავაძის გამზირზე 3-ოთახიანი იზოლირებული გარემონტებული ბინა, საერთო ფართი 100 კვ.მ., საწყისი ფასი 100000 დოლარი. ტელ.: 39-90-66.
- ღრმაღელის მეტროსთან ერთოთახიანი იზოლირებული ტელეფონიანი ბინა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-47-57, 51-40-80.
- ოროთახიანი იზოლირებული ბინა დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-00-63.
- სასწრაფოდ არასტანდარტული 3-ოთახიანი ულოჯო იზოლირებული სუფთა ბინა ტელეფონით. ალ ყაზბეგის პროსპექტზე, მეტრო „დელისთან“ სამსართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ფასი 17000 დოლარი. ტელ.: 39-69-57, 98-95-43 (დღე).
- ხუთოთახიანი ნახევრადგარემონტებული საკუთარი კაპიტ. სახლი ბელეტაჟზე ეზოთი. საერთო ფართი 100 კვ.მ., ჭერი — 2,80. დიდი ჰოლით, ორი სამზარეულოთი, ორი ქარხანა-ტუალეტით, ორი სარდაფით. მანსარდით, დაშენების პერსპექტივით. ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ჩუღურეთის რ-ნი. მისამართი: ბუხაიძის 34. გიორგობიანი.
- ერთოთახიანი ბინა საბურთალოზე. ტაშკენტის ქ. 25, ბ. 44. ტელ.: 38-53-20.
- ნაძალადევის რაიონში კერძო ორსართულიანი სახლის მეორე და პირველ სართულებზე ოთხოთახიანი და სამოთახიანი ბინები ცალ-ცალკე. მისამართი: ჩხიკვაძის ქუჩა 5. გადასასვლელ ხიდთან ახლოს. ოთხოთახიანის საცხოვრებელი ფართი 55 კვ.მ., ღია აივნით, სარდაფით. ფასი შეთანხმებით. სამოთახიანის ფართი 50 კვ.მ., აივნით, დიდი სარდაფით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-35-36.
- დოლიძის დასაწყისში 128 კვ.მ. ბინა 17-სართულიანი სახლის მე-15 სართულზე. ფასი 40000 დოლარი. ტელ.: 39-90-66, 36-02-41.
- გაგარინის მოედანზე 4-ოთახიანი პრივატიზებული არატიპიური გაურემონტებელი ბინა ლოჯით. საერთო ფართი 130 კვ.მ. 4-სართულიანი აგურის სახლის მე-4 სართულზე. სარდაფით, აივნებით, მანსარდით, დაშენების პერსპექტივით. შესაძლებელია გაცვლის ვარიანტით ნაკლები ფართის გარემონტებულ ბინაზე. ტელ.: 23-26-05, 37-59-08.
- მთაწმინდაზე კაპიტალურად შესაკეთებელი საკუთარი სახლი. ტელეფონით. ტელ.: 22-62-87, იკითხეთ ბადრი.
- ბინა გლდანის მასივში ოროთახნახევრიანი მოსკოვის პროექტით, მე-4 მ/რ. ეკლესიასთან. პირველ სართულზე, ტელეფონით, რკინის კარით, გისოსებით, ორი სარდაფით, პატარა ბაღით. ფასი 8000 დოლარი. ტელ.: 67-47-09.
- ან ქირავდება უცხოელებისთვის კერძო სახლი ბელეტაჟზე. ყველა კეთილმოწყობით. შესაძლებელია გამოყენებული იქნას სასწავლებლისთვის. სახლი მდებარეობს საბურთალოზე. ყოფილი გაგარინის მოედანთან. ონიაშვილი 26. ტელ.: 37-31-59. ნახვა დილის საათებში.
- ვაშლიჯვარში ოროთახიანი ბინა ლოჯით. საერთო ფართი 61 კვ.მ., ცხრასართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ტელ.: 93-55-69, იკითხეთ ციცო.
- სამოთახიანი იზოლირებული ბინა ნაძალადევის რაიონში, კინო „საქართველოს“ წინ, გვაზაურის 3 ბ კორპუსი. პირველი სადარბაზო, პირველი სართული, ბინა 3. ლოჯის ქვეშ არის სარდაფი. საძინებლების მხრიდან აქვს 100 კვ.მ. მანქანის სადგომი. ტელ.: 61-26-77, კაშია.
- სახლი მცხეთის რაიონის სოფ.ბიწმენდაში, საგურამოდან 3 კმ-ში. ცენტრში, მაღაზიის უკან 2000 კვ.მ. მსხმოიარე ხეხილით. ბინა ახალი აშენებულია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-26-77.
- ერთოთახიანი ბინა დიღმის მასივში, ბაზართან ახლოს. მეოთხე კვარტალი, მეორე სართული ხუთსართულიან სახლში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-75-25.
- 2-სართულიანი გარემონტებული აგარაკი სოფ. დიღომთან 800 კვ.მ. ნაკვეთით, ხეხილით, მდინარე დიღმულასთან, 20 მეტრში ჩანჩქერით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-12-15.

## ვიყიდი

- ბახტრიონის ან ფანასკერტელის ქუჩაზე, ოროთახიან, არატიპიურ, გარემონტებულ ბინას 20 ათასი დოლარის ფარგლებში. სასურველია ავტოფარეხით ან მანქანის სადგომით. თექვსმეტსართულიან, მაღლივ კორპუსებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-58-52.
- ორ ან სამოთახიან ბინას საბურთალოზე. პირველ და ბოლო სართულს ნუ შემოგვთავაზებთ — 15-დან 22 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 37-35-00.
- იზოლირებულ ოროთახიან პატარა ბინას ან იზოლირებულ კარგ ოთახს ლოჯით, ტელეფონით, მარჯანიშვილის ქუჩის მიდამოებში. გთხოვთ დამირეკოთ საღამოს საათებში. ტელ.: 66-80-64.
- საბურთალოს ცენტრში ოროთახიან ბინას 25000 ლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით, 22-00-46, საღამოს.
- ვარკეთილის, ახმეტელის ან სარაჯიშვილის მეტროსთან ახლოს არასტანდარტულ სამოთახიან სუფთა ბინას ტელეფონით, მანქანის სადგომით (პირველი და მაღალი სართულების გარდა), 8700 ლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით.
- საბურთალოს ცენტრში 4-ოთახიან არასტანდარტულ მაღალჭერიან ბინას მე-2, მე-5 სართულებზე, 50000 დოლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით, 23-35-53, საღამოს, თამრიკო.
- კომპაქტურ (პატარა) მექანიკურ საბეჭდ მანქანას. ქართული შრიფტით. შეღავათიან ფასებში. ტელ.: 51-53-29.
- მუშა მდგომარეობაში მყოფ ავტომანქანას 500 ლარის ფარგლებში. ტელ.: 61-33-45. იკითხეთ ლორინა.
- ერთოთახიან ბინას საბურთალოზე, მეტროსთან ახლოს, 11000 ლარის ფარგლებში. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემომთავაზებთ. ტელ.: 38-18-06, ლია.
- როიალს. ტელ.: 22-46-49.
- ერთოთახიან ბინას დიღმის მასივში. ტელ.: 51-21-90, 51-25-01, იკითხეთ რუსიკო ან გია.

## ვცვლი

- ოთხოთახიან ბინას ორ ოროთახიან ან (2+1) ბინაზე. დიღმის მასივში 14-სართულიანი სახლის მე-13 სართულზე (მუდმივად არის დენი, წყალი და ლიფტი). ორი ლოჯით, სათავსოებით, ავტო სადგომით, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-82-24, 29-06-60.
- ოროთახიან ბინას აბასთუმნიდან თბილისში ერთოთახიანზე. ტელ.: 23-51-81.
- სამოთახიან ბინაში ან ვყიდი ოთხოთახიან ბინას ვაკეში, შატბერაშვილის ქ. 4-ში, შვიდსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ტელ.: 29-06-11.
- აგარაკს ოროთახიან ბინაზე თბილისში. აგარაკი იმყოფება თბილისის ზღვის თავზე. ოთხოთახიანი ბინა ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ცალკე მიწის ნაკვეთით. ეზოში სხვა დამხმარე ნაგებობები დგას. შემოღობილია ქართული აგურით. შესაძლებელია აგარაკის გაყიდვაც. ტელ.: 96-65-42.
- ერთ და ოროთახიან ტელეფონიან იზოლირებულ ბინებზე ან ვყიდით ოთხოთახიან არასტანდარტულ ბინას ვერაზე პეტრიაშვილის ქუჩაზე (ფართი 70 კვ.მ.) ლვინის ქარხანასთან 10-15 მეტრში, 2 ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ საღამოს 6 სთ-ის შემდეგ: 29-40-94, 23-50-86.
- სამოთახიან ბინას, აგურის სახლის პირველ სართულზე, მოსკოვის გარეუბნიდან (25 წთ. სავალი კურსკის ვაგზლიდან) თბილისში ოთხოთახიან ბინაზე. მახივებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 35-12-46, 93-14-31.
- ერთოთახიან პრივატიზებულ ბინას სამგორის რ-ში ქიქინაძის ქ. №1, 9-სართულიან კორპუსის მე-5 სართულზე. ბინა გარემონტებულია. ოთახის ფართი 21 კვ.მ. ლოჯი 8 კვ.მ., სამზარეულო 8 კვ.მ., იატაკი პარკეტის, ვანაში და სამზარეულოში კაფელი, ტელეფონი, ასევე გარემონტებული სარდაფი. ვთხოულობ: ერთოთახიან ბინას იზოლირებულს კორპუსში საბურთალოს რაიონში. ტელ.: 95-66-52, ჟანა.

## ვაქირავებ

- საბურთალოზე, მეტროსადგურ „ტეცირიძესთან“ ახლომდებარე რვასართულიანი სახლის მე-5 სართულზე 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას, საჭირო ავეჯითურთ, თვეში 100 ლარად. ტელ.: 74-48-92.
- ოროთახიან ბინას, ლოჯით, 8-სართულიან სახლში მე-6 სართულზე, ავეჯით, ტელეფონით. ხინათლე მუდმივადაა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-10-60.
- სამოთახიან, ტელეფონიან ბინას, დიღმის მასივში, ხიდთან, პირველივე თოთხმეტსართულიანი სახლის ბოლო სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-25-63.
- ერთ ოთახს ქალისთვის ოთხოთახიან ბინაში ვერისუბანში ფილარმონიასთან. ფასი შეთანხმებით. ფართი 30 კვ.მ. მეორე სართული. ტელ.: 99-67-76, 22-43-50.
- მაღლა წყნეთში ორსართულიან, კაპიტალურ აგარაკს. ტელ.: 22-80-55.
- ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით ვაკეში, არაყიშვილის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-29-41, 38-35-52.
- ოროთახიან ბინას ლოჯით, ტელეფონით, ნაწილობრივ ავეჯით. ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე მაღალი ბელეტაჟით, მანქანის სადგომით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-38, 37-20-73.
- გეპატიჟებით შავ ზღვაზე: ქობულეთში, ეზოიანი სახლის მეორე სართულზე შეღავათიან ფასებში ქირავდება საძინებელი ოთახები, პირველ სართულზე სასადილო, ხუთი წუთის სავალზე ზღვა, სადგური, ბაზარი. ტელ.: 63-67-34.
- ოროთახიან ტელეფონიან სუფთა ბინას მანქანის დასაყენებელი ადგილით პირველ სართულზე, მაღალ ბელეტაჟზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“. ტელ.: 37-23-78.
- ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ერთი ან ორი გოგონასთვის, გამსახურდიას გამზირზე მეტრო „პოლიტექნიკურთან“ 8-სართულიანი სახლის მე-[illegible] სართულზე. პირველი აგვისტოდან. ტელ.: 38-43-79.
- დოლიძის ქუჩაზე ერთოთახიან, გარემონტებულ იზოლირებულ ბინას [illegible]-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 36-23-00, წულუკიძე ეთერი.
- არაგვისპირელის ქუჩაზე, ჩუღურეთის რაიონში პატარა კერძო იზოლირებულ ბინას. ფასი 50 დოლარი. ტელ.: 36-23-00.
- უცხოელებზე ოროთახნახევრიან გარემონტებულ ბინას ორსართულიანი კერძო სახლის პირველ სართულზე მაღალი ბელეტაჟით, უცხოური [illegible], ფერადი ტელევიზორით, კონდიციონერით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ.: 95-04-46.
- ერთ ოთახს ვერაზე ტელეფონით [illegible] საჭირო სათავსოებით. მხოლოდ [illegible] დენტ გოგონაზე. ფასი 100 [illegible] თვეში. ტელ.: 98-77-73.
- ოროთახიან, არასტანდარტულ [illegible] ოფისად. ალმაშენებლის გამზირზე ფილარმონიასთან. პირველ სართულზე ავეჯით და ტელეფონით. თვეში 300 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- საბურთალოზე სამ ან ორ ოთახს [illegible] სოებით, ტელეფონით, გარაჟით [illegible] სახლის პირველ სართულს იზოლირებულად. გურიელის ქუჩაზე (ნუცუბიძის ქუჩის პარალელური, საბაგიროსთან ახლოს). ფასი 150 დოლარი. ტელ.: 31-44-22.
- ოთხნახევრიან იზოლირებულ ბინას რკინის კარით, საჭირო ავეჯით, [illegible] ლოშში (16 სართულიანის მე-12 სართულზე), ფასი 65 ლარი. ტელ.: 51-53-29, 38-64-69.
- 2-ოთახიან ავეჯიან ბინას, ფასი 50 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის მესამე მ/რ, მესამე კვ. ტელ.: 31-65-60, 36-46-47, 23-41-02.
- ერთოთახიან ბინას ვერაზე მაღალი ბელეტაჟით. ტელეფონი: 98-69-47, 23-07-23.
- მუხაძის 29-ში ვაკის პარკთან ახლოს 3 პატარა ოთახს, ავეჯით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. პირველ სართულზე. ტელ.: 23-17-31, დარეკეთ დილით ადრე.

## ვიქირავებ

- ქართული პურის საცხობ თონეს ან თონესთვის გამოსადეგ სათავსოს. ტელ: 39-86-39.
- ერთოთახიან ბინას მეტრო „ნაძალადევთან" ახლოს ტელ: 37-23-78, იკითხეთ ეკა.
- უცხოელს სურს სასწრაფოდ იქირაოს 5-6 ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯის გარეშე, გარაჟით ქალაქის ცენტრში, 2-3 წლით. ტელ: 95-30-35 (დღისით), 23-35-53, 38-00-66 (საღამოს), იკითხეთ თამრიკო.
- 30 კვ.მ. ფართობის გასტრონომს ან შესაბამისი ფართის შენობას ქალაქის ცენტრში კომერციული საქმიანობისთვის. ტელ: 29-28-77 (ბინა), 93-19-93 (სამსახ.) გოგი.
- ერთ ან ოროთახიან ბინას ვერა-ვაკის მიდამოებში, 100 დოლარის ფარგლებში ვარ ერთი სტუდენტი გოგონა. ტელ: 23-20-11 ან 23-38-96 (იკითხეთ ნანა ან მაიკო).
- ორგანიზაცია იქირავებს მსუბუქ ავტომანქანას მძღოლის გარეშე. ტელ: 93-66-28.



## ავტობირჟა

- ვყიდი სატვირთო თვითმცლელ ავტომანქანას „ზილ 130", ფასი შეთანხმებით. ტელ: 73-59-36.
- ვყიდი მანქანა — 09-ის პარპრიზს, ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-36-54, კარლო.
- ვყიდი სასწრაფოდ სატვირთო მანქანას გაზ-66. 1991 წელს გამოშვებული, საუკეთესო მდგომარეობაში, ფასი 2600 ლარი. ტელ: 95-78-90, 10-16 სთ-მდე.
- ვყიდი თეთრი ფერის ავტომანქანას „ვოლგა" გაზ-21, მუშა მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-21-33, ბორისი.
- ვყიდი რუმინულ ორხიდიან მანქანას „არო" 1990 წლის გამოშვება, ბენზინზე, ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-45-74.
- ვყიდი ყავისფერ პერლამოტრ „ოპელ-ვექტორს" — ავტომატიკით, 1987 წლის გამოშვება. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-46-03.
- ვყიდი „გაზ-53" მარკის ავტომანქანას, გამოშვებული 1990 წელს. გარბენილი აქვს 25000 კმ. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ მისამართზე: აკ.წერეთლის გამზ. 77ბ, მეორე სადარბაზო, ბინა 27. ტელ: 35-04-25, არჩილი.
- ვყიდი სასწრაფოდ 1981 წლის თეთრ მერსედესს ავტომატიკა. კარგ მდგომარეობაში. ფასი 4500 ლარი. ნაღდი ან გადარიცხვით. ტელ: 34-72-36.
- შევიძენ ყველა სახის ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს. ტელ: 37-38-64, გვიან. 34-39-68, ნოდარი.
- ვყიდი თეთრი ფერის ვოლგას გაზ-21, ფასი 700 დოლარი. ტელ: 37-21-33, იკითხეთ ბორისი.
- ვყიდი „ბმვ"-ს 1985 წლის გამოშვება. ძალიან კარგ მდგომარეობაში. 5 დამატებითი საბურავით და დისკებით. საწყისი ფასი 6000 ლარი. ტელ: 36-38-55, 36-07-08.
- ვაქირავებ ლითონის გარაჟს ორმოთი პეკინის ქუჩაზე „ორბიტასთან". ფასი 30 ლარი თვეში. ტელ: 37--38-49.
- შევიძენთ ყველა სახის ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს. ტელ: 37-38-64, გვიან, 34-39-68, ნოდარი.
- ვყიდი ავტომანქანა ვაზ 21-21, გამოშვებული 1990 წელს, თეთრი ფერის, კარგ მდგომარეობაში (ვყიდით როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით). ტელ: 51-45-52.
- ვყიდი მანქანას მაზდა-626, კარგ მდგომარეობაში. გამოშვებულია 1986 წელს, ევროპული ვარიანტი. ტელ: 39-12-90, იკითხეთ გია, საღამოს.
- ვყიდი 06 მარკის ავტომანქანას, თავისივე მატორით, 12 წლის, კარგ მდგომარეობაში. ტელ: 95-13-13, ფასი შეთანხმებით.
- ვყიდი თეთრი ფერის 6 წლის ავტომანქანა „ტავრია" (კარგ მდგომარეობაში). ფასი 1200 დოლარი. ტელ: 93-14-66, იკითხეთ თემური.
- ვყიდი 1985 წელს გამოშვებულ ავტომობილს „ოპელ-კადეტს" ფურგონით, (დიზელზე), კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით ტელ: 39-17-25, 39-43-85.
- ვყიდი 1983 წელს გამოშვებულ ვაზ-2106 03-ის ძრავით. მუშა მდგომარეობაში. ფასი 1600 ლარი. ტელ: 23-54-54.
- ვყიდი ავტომანქანა „მაზდას". შვიდნახევარი წლის, ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-55-78.
- ვყიდი ძარას (კუზავი) „მოსკვიჩ-2141". ტელ: 22-17-33, ოთარი.
- ვყიდი შეღავათიან ფასში ვაზ-06, ვაზ-07, ვაზ-08 მანქანის სათადარიგო ნაწილებს. ტელ: 66-02-01.
- ვყიდი სასწრაფოდ ა/მანქანას „ფორდ სკორპიო" 1986 წ. გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში, ფერი ცისფერი პერლამუტი, საწყისი ფასი 5800 დოლარი. შეიძლება გაცვლაც. ტელ: 22-38-52, იკითხეთ დათო.
- ვყიდი მსუბუქ ა/მანქანის მისაბმელს და მოტობლოკის მისაბმელს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-02-33.
- ვაქირავებ რკინის გარაჟს ორმოთი პეკინის ქუჩაზე თვეში 25 ლარად. ტელ: 37-38-49.
- ვყიდი ა/მანქანა ვოლგას ГАЗ-21. ფასი 900 დოლარი. ტელ: 37-21-33. იკითხეთ გია.
- ვყიდი ხუთსიჩქარიან კოლოფს, ქარხნული, ახალი, ვაზ 09, ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-44-65, 93-47-66, იკითხეთ კახა.
- ვყიდი ძრავს „იჟ-56" თავისი „ისპარიტელებით", კარგ მდგომარეობაში. ფასი 350 ლარი. ტელ: 31-31-79, 93-55-14.
- ვყიდი უაზ-452 სატვირთო, 1990 წელს გამოშვებული. გავლილი აქვს 36000 კმ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-89-62, იკითხეთ კაკო.
- ვყიდი ან ვცვლი სასწრაფოდ ბინაზე ავტომანქანას „Маз-504". კარგ მუშა მდგომარეობაში. ავტომანქანის ნახვა შეიძლება ყოველდღე გლდანის გადასახვევთან სატვირთო ავტომანქანების ბაზრობაზე 8-დან 22 საათამდე. ავტომანქანის ნომერი 73-73 ГАУ. ტელ: 38-52-06.
- ვყიდი ავტომანქანა „ზილს". ასაწყობ მდგომარეობაში, ყველა ნაწილით. საწყისი ფასი 700 დოლარი. ტელ: 34-43-83.
- ვყიდი სატვირთო ავტომანქანა-გამწევს (საწევარი) „კამაზ-5410", ჩეხური წარმოების „ალკ-12" მარკის მისაბმელი მაცივრით. ავტომანქანა წარმოებულია 1982 წელს, ხოლო მისაბმელი მაცივარი 1979 წელს. ორივე ერთად სამუშაო მდგომარეობაშია. საორიენტაციო ფასია 15000 აშშ დოლარი. მისამართი: ქალაქი თელავი, ზუზუმბოს ქ. 13 (ამ უბანს ჰქვია „მაწანწარა"). იკითხეთ გიორგი გლახოშვილი.
- ვყიდი TOYOTA 1995 წლის აგვისტოს გამოშვება, გავლილი აქვს 14600 კმ. 100 ცხენის ძალით, 1300 კუბური მოცულობით, ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე ხარჯავს 5 ლიტრ ბენზინს. საწყისი ფასი 17000 ლარი. ტელ: 39-38-36, ვაჟა ფშაველას 28. მანქანის ნახვა შეგიძლიათ მაღაზია „სუპერელექტრონიკში".
- ვყიდი ავტომანქანას მაზდა, ევროპული სტანდარტის, 1988 წელს გამოშვებული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-55-78.
- ვყიდი იაპონურ ავტომანქანას „მაზდა"-626. საჭე მარცხნივ, შვიდნახევარი წლის. ფასი 6000 ლარი. ტელ: 38-55-78.
- ვყიდი „ზილ-ММЗ-45-02" თვითმცლელს, ექვსცილინდრიანს. 1987 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში. ესაჭიროება მხოლოდ აკუმულატორი. ფასი — 1600 დოლარი. ტელ: 22-50-07 (ზურა, საღამოს საათებში).
- ვყიდი გაზ-21 მარკის მანქანას. 1964 წელს გამოშვებული. ფასი 1000 ლარი. ტელ: 22-41-06.
- ვყიდი ვაზ 2106 თავისი ძრავით, 12 წლის, კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-13-13, კარტოზია.
- შევიძენთ ავტომანქანა ზაპოროჟეცს კარგ მდგომარეობაში, 700 ლარის ფარგლებში. ტელ: 39-75-68, შალვა.
- ვყიდი ვაზ-21-07 მარკის ავტომანქანას ბეჟი ფერის. 1992 წელს გამოშვებული. ნადგომი. გავლილი აქვს 4500 კმ, საუკეთესო მდგომარეობაში. პრაქტიკულად სულ ახალი. ტელ: 37-09-82. ფასი შეთანხმებით.

## სხვადასხვა

- ვყიდი საქსოვ მანქანას „ნევა-7", ფასი 200 ლარი. ტელ: 95-31-74.
- ვყიდი წავკის ვულკანური წარმოშობის სამშენებლო წიდა-პემზას, ფასი ადგილზე 6 ლარი. ტელ: 22-82-24, 29-06-60.
- ვყიდი გერმანულ პიანინოს „როინიში". ახალი, ფასი 1000 ლარი; გერმანულ სამზარეულოს, ნახმარს, კარგ მდგომარეობაში. რვა ნაჭერი. ფასი 350 ლარი; ავტომანქანაზე დასამონტაჟებელ კარავს, ფასი 250 ლარი; ანტიკვარულ ჩიბუხს, ფასი 60 ლარი. ტელ: 62-33-08, იკითხეთ დათო.
- ვყიდი ანტიკვარულ ავეჯს: წითელი ხის მაკაგონის მაგიდას 6 პერსონისთვის სავარძლით, წითელი ხის მაკაგონის ვიტრინას, კაკლის ხის გასაშლელ მაგიდას 40 პერსონისთვის და „ზინგერის" ფირმის ხელით საკერავ მანქანას. ტელ: 36-56-42, 6 სთ-ის შემდეგ.
- ვყიდი გერმანულ ორლულიან (ვერტიკალურ) სანადირო თოფს. გამოშვებულია „ზაუერის" ქარხანაში. კარგ მდგომარეობაში. მოხატული, რეგისტრირებული, გილზების ამომგდები ეჟექტორით. ფასი 1800 დოლარი. შეიძლება გაცვლა ნახმარ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ „ჟიგულში". ტელ: 23-19-62 (დილის 8-დან 11 სთ-მდე).
- ვყიდი როიალს „ბეკერი". ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-36-54. იკითხეთ კარლო.
- ვყიდი კამერა-მაცივარს „მინსკი", ტევადობა 5 ტ. 1991 წელს გამოშვებული, თითქმის უხმარი. ფასი 1500 ლარი. ტელ: 23-51-81.
- უნივერსიტეტის ლექტორი ამზადებს ნებისმიერ მსურველს 14 წლის ზევით, ინგლისურ ენაში არასტანდარტული მეთოდით. ბინაში მისვლით, ფასი ხელმისაწვდომია. ტელ: 63-67-34.
- ვყიდი სამრეწველო დანიშნულების კამერა-მაცივარს. ტელ: 23-51-81.
- ვყიდი სარეცხ მანქანას „ვიატკა" — ავტომატი 14 — ახალი, შეფუთული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-10-60.
- შეღავათიან ფასებში ვამონტაჟებ ელექტრო გაყვანილობას და წყლის გამაცხელებლებს. ტელ: 38-33-46, იკითხეთ გოგა.
- ვყიდი წიფელის ДСП-სგან დამზადებულ მასიურ კომოდს — ანტრესოლი (ლოგინის ჩასაწყობი და ა.შ.) ზომა 23X1 მ (სიმაღლე)X55 სმ (სიგრძე). ფასი 300 ლარი, სეკრეტერი (დასახური საწერი მაგიდა თაროებით). ფასი 300 ლარი. და საკერავი მანქანა „ზინგერი". ფასი 140 ლარი. ტელ: 36-10-52, 98-28-46.
- ვყიდი დიზელ-გენერატორს 250-დან 300 კილოვატამდე, ტელ: 34-33-75.
- ვყიდი გერმანულ პლედებს ორ ცალს. ტელ: 95-44-79.
- ვყიდი ყურძნის ელექტრო საწურს თავისი წნეხით. იწურება ხელითაც. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-41-85.
- ვყიდი ფინურ დანადგარზე დამზადებული უმაღლესი ხარისხის წიფლის პარკეტს. ზომები 30X65 და 40X5, ტელ: 98-70-07.
- ვამეცადინებ გონებრივად ჩამორჩენილ, სმენადაზიანებულ, ყრუ და უმეტყველო ბავშვებს. ტელ: 98-22-94, 60-69-18, 78-24-86.
- ვყიდი გერმანულ პიანინოს „როინიში", 1000 ლარი; გერმანულ სამზარეულოს, ნახმარი, 8 ნაჭერი. ფასი 350 ლარი. ტელ: 62-33-08.
- ვყიდი მანქანას „მალიუტკა", ფასი 37 ლარი. ტელ: 60-70-79. იკითხეთ ჟუჟუნა, დილით ან საღამოს.
- ვყიდი კარავს (პალატკას) 6 კაცზე, ხელსაყრელ ფასში; მავთულის ბადეებიან გალიებს (ქათმებისა და კურდღლებისთვის), ზომით 2X1,2X0,6; ფასი ხელსაყრელი. ტელ: 23-32-26.
- ვყიდი პიანინოს „ვაინბახი", ფასი შათანხმებით. ტელ: 31-47-83.
- ვყიდი გერმანული წარმოების ანტიკვარული წარმოების თოფს „ზაუერი", კალიბრი 16, ფასი 500 დოლარი. ტელ: 95-89-13.
- ვყიდი ახალ პიანინოს „პეტროვი", ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-81-60, თენგიზი.
- ყურის ბიბილოების გახვრეტა ამერიკული პისტოლეტით და ამერიკული საყურეებით, უმტკივნეულოდ მიღება ყოველ დღე 2-დან 5 სთ-მდე. მის: მეტრო „დიდუბე" დიღმის მასივი, მეორე კვარტალი, მეთექვსმეტე კორპ. პირველი სართული (მედეა). ტელ: 51-53-29.
- ვყიდი ფერად ტელევიზორს „ელექტრონ-ბალსეკა-61 СВ", დისტანციური პულტით. ფასი 250 ლარი. ტელ: 60-67-59.
- ვყიდი ფერად კინოფირს 8 მლ და ველოტრენაჟორს, ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-62-29.
- ვყიდი პიანინოს „როინიში", ფასი 1350 ლარი; ყინულის გენერატორს, ლ-50, ფასი 300 ლარი; ხორცის საკეპ მანქანას (ელექტრო) ММ-300, ფასი 400 ლარი; საბურავს 240-508 ორი კომპლექტი, კამერით, 130 ლარი; რკინის გასაშლელ მაგიდას 1,40X60, 1 ცალის ფასი 35 ლარი. ტელ: 95-73-37, 95-94-70, მიშა.
- ვყიდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის გემოვნებით გაფორმებულ აბაჟურებს, ლამფებზე, ჭერზე, ტორშერზე ჩამოსაკიდს. ტელ: 99-02-73.
- ვყიდი მუსიკალურ ინსტრუმენტს ჩეხური წარმოების საყვირს „სუპერ არიოზო", ფასი 300 ლარი. ტელ: 99-02-73.
- ვყიდი კონდიციონერს БК-2000, ფასი 120 ლარი. ტელ: 95-48-62, მარინა.
- ვყიდი სასადილო გარნიტურს, ბეჟი ფერის, ახალს, ვიტრინას, დესადს, მაგიდას და 8 სკამს, ფასი 12000 ლარი. ტელ: 22-71-80.
- ვყიდი ნატურალურ თაფლს (აკაციის და ცაცხვის), ფასი 8 ლარი. ტელ: 22-42-99 (იკითხეთ რამაზი).
- ვასწავლი გიტარაზე დაკვრას. სწავლების გარანტიით. მოკლე ვადებში პოპულარულ ქართულ სიმღერებს და კლასიკას. ტელ: 96-34-51, 96-22-33.
- ვყიდი სასწრაფოდ ავეჯს — სამზარეულო „ნონა", რუმინული ვიდეო მაგნიტოფონი „პანასონიკი" — ჟ 50", ტელევიზორი „პანასონიკი" ეკრანი 72 სმ., ტელევიზორი „რადუგა 716" დეციმეტრული, ფერადი. ტელევიზორი „იუნოსტი" შავთეთრი მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. კონდიციონერი „БК-1500", სარეცხ მანქანას „ვოლნა", საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით, ფეხის საკერ მანქანას „ჩაიკა 2М". წყლის გამაცხელებელს ატმორს ისრაელის გამოშვება. ტელ: 72-26-31.
- ვყიდი იაპონური წარმოების მტვერსასრუტს „ნაციონალი"; წვენების საწურ „მულინექსს"; იაპონურ ჩაის მუსიკალურ სერვიზს 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-84-45.
- ფირმა იყიდის უცხოურ ჭურჭელს. ტელ: 95-94-70.
- ვყიდი პიანინოს „როინიში", ფასი 1000 დოლარი. ტელ: 95-73-37.
- ვყიდი ახალ მაცივარს „სნაიგე 117", წარმოებული ლიტვაში, მსოფლიო სტანდარტების დონეზე, დიდი გასაყინი კამერით, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-04-05.
- ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს (ნიჟარა კომპლექტში) და სამზარეულოს მაგიდას თავისი ოთხი სკამით. ტელ: 98-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური), მაია.
- ვყიდი ახალ სარეცხ მანქანას, ფასი 200 დოლარი. ტელ: 98-29-11.
- ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს, ნიჟარას, სამზარეულოს მაგიდა-სკამებით და შვიდეული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-05-33 (დღისით), 98-40-35, 98-57-67 (საღამოს).
- ვასრულებ ელექტროშეკეთებით სამუშაოს. ტელ: 37-58-27, საღამოს საათებში.
- ვყიდი ფერად კინოფირებს 8-მილიმეტრიანი, სუპერი და ახალი ველოტრენაჟორს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-35-36, 29-27-67.
- ვყიდი ინგლისური ჯიშის კოკერ-სპანიელის ლეკვებს შავი ფერის. ფასი 150 დოლარი. ტელ: 51-19-12.
- ვამზადებ მოსწავლეებს რუსულ ენაში. ვასწავლი სალაპარაკო ენას. ხარისხი უზრუნველყოფილია. ტელ: 71-81-93.
- ვყიდი პიანინოს „კრასნი ოკტიაბრი" 39 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-46-60, თინა.
- ვყიდი შალის გერმანულ ხალიჩას „სუპერი" 3,5-2,5. ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-45-39, გოცირიძე.
- ვყიდი საქსოვ მანქანას „ნევა-3". საწყისი ფასი 200 დოლარი. ტელ: 71-70-05.
- ვთარგმნი ნებისმიერ ტექსტს ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. 1 გვერდის ფასია 2 ლარი. ტელ: 23-24-73.
- ვყიდი მაცივარს „ტ-125": ექვსკარებიანი, ახალი. ზომა: სიმაღლე — 2,10 სმ, სიგანე — 1,70 სმ. ფასი 1250 ლარი. ტელ: 22-79-66.
- ვყიდი გერმანულ კედელს „კლოტზნერი", ხუთნაჭრიანი. ზომა 4,40 სმX2,10 სმ. ჟურნალის მაგიდას და ორ სავარძელს, კარგ მდგომარეობაში, ფასი 1000 ლარი. ტელ: 22-79-66.
- ვყიდი გასაშლელ დივანს ორსაწოლიანს, უნგრული წარმოების თეთრეულის ჩასაწყობით, 2 სავარძლით და ჟურნალის მაგიდით. ფასი 250 ლარი. ტელ: 22-79-66.
- ვყიდი 1,7 ტონა ტევადობის რკინის კასრს, იაფად. ტელ: 66-37-41, 23-26-47, 34-47-61.
- ვყიდი კაპიტალურ გარაჟს ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე 56 (მეცხრე საავადმყოფოსთან). ტელ: 22-37-09.
- მოვამზადებ აბიტურიენტს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში. აჩქარებული ტემპით (შეიძლება ბინაზე მისვლითაც). ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-13-53.
- ვყიდი ავეჯს: გერმანულ საძინებელს, პიანინოს „ბელარუსი", ვენურ სკამებს, ტელევიზორს, „საიუნგი", გასაშლელ დივანს. ტელ: 96-46-01.
- ვყიდი „ქართულ მწერლობას", 8 ტომი, „ქართულ პროზას" — 19 ტომი, საბავშვო ბიბლიას ინგლისურ ენაზე, ამერიკაში გამოცემულს, ილუსტრირებულს, ვებსტერის დიდ ლექსიკონს (ილუსტრირებულს — 20000 გვერდი). ტელ: 23-40-32.
- ვყიდი პირველი გამოშვების პიანინოს „საქართველო", შავი ფერის. ფასი სკამით 250 ლარი. ტელ: 95-26-85.
- ვყიდი გერმანულ სალონის პიანინოს „ბლიუტნერი" (1912) საუკეთესო მდგომარეობაში, ყოველგვარი ნაკლის გარეშე. მიღებული აქვს მედლები. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-64-69.
- ინგლისური ენის თარჯიმანი თარგმნის ნებისმიერ ტექსტსა და ლიტერატურას. ერთი გვერდის ფასი 3 ლარი (ბეჭდვის გარეშე), 5 ლარი (ბეჭდვით). ტელ: 34-66-02, დღის საათებში.
- ვყიდი ქართულ მწერლობას 9 ტომი, 45 ლარი; გრიშაშვილის ხუთი ტომი, 20 ლარი; გამსახურდიას 10 ტომი, 45 ლარი. საბავშვო ბიბლიოთეკას 8 ტომი, 45 ლარი. ი.ჭავჭავაძის 20-ტომეულის 6 ტომს, 20 ლარი. ტელ: 23-18-15



### იაშა ჯანელიძის ხსოვნას

მალემსრბოლთა სისწრაფით გარბიან დღეები. დრო ამაოდ ცდილობს, გააქარვოს სევდა. შენზე დარდში უძილობით დაღლილ თვალებს ჯერაც არ შეშრობია ცრემლი. „ორმოცი" კი დამდგარა უკვე...

შენი დალუპვით დედა-ბოძი გამოეცალა დიდ ოჯახს, წაექცა ბურჯი ძლიერი.

ბრძოლითა და შრომით მოღალულმა გულმა მხოლოდ ათ თვეს გაუძლო საყვარელი შვილის სიკვდილით გამოწვეულ ელდას. უნუგეშოდ გაღრმავდა იარა პირგახსნილი.

კეთილი, პატიოსანი და მართალი კაცის სახელით იცხოვრე ცისქვეშეთში, ამიტომაც ტიროდა იმ დღეს დიდიც და პატარაც. გულნრფელი, ალალი ცრემლი გაიყოლე საუკუნო გზაზე.

ღირსეული მამისა და ბაბუის სახელს შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ შეუბღალავად. უფალს შევავედრებთ შენი და ნანას სულების უკვდავებას.

ვილოცებთ თქვენთვის!

ოჯახი

# პირველი მედალი საქართველოსთვის

78 კგ. წონითი კატეგორიის ძიუდოისტი, 25 წლის სოსო ლიპარტელიანი გახდა პირველი სპორტსმენი, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოს ოლიმპიური მედალი მოუპოვა. ეს ერთი და სხვა მრავალი! საშაბათ ღამეს, ლიპარტელიანმა, რომლის იმედი ძიუდოისტთა შორის, რა დასამალია,



და სხვებთან შედარებით ნაკლები გვქონდა, დიდებულად იჭიდავა, მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში წმინდა გამარჯვებასაც მიაღწია და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ წონით კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს ფრანგი ბურა და იაპონელი ვეტერანი კოგა შეხვდნენ. იაპონელებმა კვლავ ვერ შეძლეს ოქროს მედლის მოპოვება, გაიმარჯვა ბურამ და საფრანგეთის ძიუდოისტთა ნაკრებს მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

წარუმატებელი და გამაოგნებელი სტარტის შემდეგ ქართველი სპორტსმენები თანდათან გაცილებით უკეთ ირჯებიან. კარგად იასპარეზა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 62 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენელმა კობა გულიაშვილმა, რომელიც წინასწარ შეხვედრებში მხოლოდ მომავალ ჩემპიონთან, პოლონელ ზავადსკისთან დამარცხდა და ისიც, არც თუ მთლად მსაჯების დაუხმარებლად და უფლება მოიპოვა, რომ ბრინჯაოს მედლისთვის ეჭიდავა. აქ იგი ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონს, თურქ აჰმედ ქირიმს შეხვდა და დამარცხდა. საბოლოოდ კობამ მეოთხე ადგილი დაიკავა. ასე რომ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოთხმა ქართველმა მოჭიდავემ, მართალია, მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ ერთი მე-4 და ერთი მე-6 ადგილი დაიკავეს, რაც დებიუტანტებისთვის არც მთლად ურიგო შედეგია.

წარმატებით ასპარეზობენ ჩვენი მოკრივეები. კობა გოგოლაძისა და გიორგი კანდელაკის დარად პირველი შეხვედრა მოიგო აკაკი კაკაურიძემ. სამწუხაროდ, ძალზე ცოტა დააკლდა ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძეს, რომ მრავალჭიდელთა ფინალში ესპარეზა. ჩვენ სამწუხაროდ, არ ვიცით, მოიპოვა თუ არა ივეთ რომელიმე იარაღის ფინალში ასპარეზობის უფლება, ისევე, რიგორც არა გვაქვს ცნობა ავროსარია შეჯიბრების შესახებ, სადაც ასპარეზობენ გურამ ბიგანიშვილი და ვლადიმერ გრუზდევი.

...იმედი ვიქონიოთ, რომ ლიპარტელიანის ბრინჯაოს ჩვენი ათლეტები მალე ვერცხლს და ოქროსაც დაამატებენ და კიდევ ბევრჯერ გაგვახარებენ.

შპს „ვესტ-ტური“
გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას შეღავათიან ფასებში:
ქ.ფრანკფურტი (კვირაში ოთხჯერ),
ქ.ბერლინი, ქ.ამსტერდამი.
დუბაი (მანქანების ჩამოყვანით და ტვირთის ჩამოტანით).
ბულგარეთი — დასვენებით. ესპანეთი — დასვენებით.
„ვესტ-ტურ“-ის ავია სალაროში შეგიძლიათ შეიძინოთ ჯგუფური ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.
აგრეთვე, ინდივიდუალური ავია ბილეთები თელ-ავივის, პარიზის, ვენის, პრაღის, მოსკოვის და სხვა მიმართულებით.
ცენტრალური ოფისი: ჭანტურიას ქ. 6. (სასტუმრო თბილისის ქვემოთ).
ტელ.: 99-05-38, 90-81-62, 99-83-20.




# ისევ დაკარგულ მედლებს მივტირი

ისევ იმის შესახებ, მედალი რომ დავკარგეთ, ალბათ, ოქროსი. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო; ისიც უთქვამთ, ჩხუბის მერე მუშტებს არ იქნევენო და ისიც, უბედურება რომ მოხდება, თავში ხელების წაშენა გვიან არისო. მუშტების ქნევას არც მე ვაპირებ და არც დავით ხახალეიშვილს დაუნიშნავენ ხელახლა შეჯიბრებას. აი, ძველი დრო რომ იყოს, ძიუდოისტთა ოლიმპიურ ტურნირში აბსოლიტურშიც რომ ჭიდაობენ ხოლმე, იცოცხლე, კარგია-ჩვენს ფალავანს თავის გამოჩენის საშუალება მიეცემოდა, თუმცა, იმ დაკარგულ მედალს მაინც არა ეშველებოდა რა. მაგრამ აბსოლუტური წონითი კატეგორია უკვე სამი თამაშებია, რაც პროგრამიდან ამოიღეს და ნამდვილად თავში საცემად გვაქვს საქმე, რადგანაც ურემი გადაბრუნდა და გზა მაინც არ გამოჩნდა, არავინ არის იმაში დარწმუნებული, ამისთანა ამბავი კიდევ რომ არ განმეორდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დაიწყო ძველებური ქართული ამბავი — ყველაფრის ვიღაცისთვის, ანდა ერთმანეთისთვის გადაბრალება: ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენელი თარჯიმანს ადანაშაულებს, თარჯიმანი — ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა — ამათ ყველას ერთად ალებულს და ა.შ. ერთი ხახალეიშვილის პირადი მწვრთნელი, ომარ მერაბიშვილია, რომელსაც უთქვამს — მომხდარს ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებო. ეს იქ, ატლანტაში, აქ კი, ჩვენთან, თბილისში, საქართველოში, უამრავ ვერსიას გაიგონებთ — ერთი ჩემი მეგობარი ჟურნალისტი საერთოდ შორს წავიდა — ზოგადად ამერიკელებს ადანაშაულებს, კერძოდ კი, იმ პოლიციელებს, რომელთაც ჩვენი გზაკვალაბნეული ძიუდოისტი შეაფერხეს — ბიჭო, ხახალეიშვილი რამდენი ნელია) სროლასა და თავიდან ბოლომდე დანაღმულ ქვეყანაში ცხოვრობს, ერთი რაღაც ვითომ ბომბი რას დააკლებდა, აბა აქ მომხდარიყო მსგავსი ამბავი, ჩვენი კეთილშობილი მილიციელ-პროლიციელები გაატარებდნენ კი არა, თავისი მანქანით მიყვანდნენ ადგილზე, ვთქვათ, ვინმე ბრიუს ბაუმგარტნერსო. ალბათ, მართლაც ასე იქნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ამერიკელები, ანდა, თუნდაც, ნებისმიერი სხვა ვინმე, დარწმუნებული ვარ ასე უთავბოლოდ ბოდიალს არ დაიწყებდნენ და მეორეც, მართლა რომ აფეთქებულიყო ის ოხერი ბომბი, მერე ჩვენ ვუშველიდით ხახალეიშვილს (ჯვარი სწერია!) და ჩვენ ვუპატრონებდით სამსახურიდან გამოგდებულ ამერიკელი პოლიციელის ოჯახს?! თუმცა, შევეშვათ ამერიკელებს. აქ ზოგიერთებმა რუსეთის სპეცსამსახურები გარიეს საქმეში — მაგათი გაკეთებული იქნება ყველაფერიო. კარგად მახსოვს, იმ, პირველ პრეზიდენტს რომ აუჯანყდნენ, ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ისიც იყო, ყველგან სუკ-ი და მისი აგენტები ელანდებაო. ის ხელისუფლება კარგა ხანია აღარ არსებობს, რუსეთის სპეცსამსახურის თემა, კი, მე მგონი, დღეს უფრო აქტუალურია, ზოგიერთს მათ გარეშე საერთოდ აღარაფრისა სჯერა და ცხოვრება აღარ შეუძლია. თუმცა, თემას გადავუხვიე, მე ხომ ისევ იმ დაკარგულ მედალს მივტირი... თბილისში გავრცელებულ ჭორებს შორის ერთი ყველაზე საშინელია — ამბობენ, მავანი და მავანი მხოლოდ იმიტომ წავიდა ატლანტაში, რომ ფულიც გააკეთოს და კარგადაც გაერთოს, და ამ მიზნით ხახალეიშვილის ოქრო მშვენივრად იქნა დახურდავებულიო. საშინელებაა, როდესაც ასეთი აზრი ჩნდება, მე სხვა რამ ვიცი და სხვა რამეზე მწყდება გული-იმაზე, რაც აგრეთვე ჩვენი ორგანული თვისება გამხდარა — ქართულ დაუდევრობაზე. და რომ არა დაუდევრობა, დარწმუნებული ვარ, მსგავსი აბსურდული უბედურება არ მოხდებოდა. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები ძიუდოს ფედერაციასა და მწვრთნელებს ადანაშაულებენ — ეგენი მოწესრიგებული ხალხი გვეგონა და ეს რა მოუვიდათო. მე რომ მათ ადგილზე ვიყო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს გავამტყუნებდი — პირველად ზაფხულის ოლიმპიადების ისტორიაში საქართველოს ნაკრები დამოუკიდებელი გუნდით ასპარეზობდა; და თამაშების პირველივე დღეს თამაშდებოდა მედლების პირველი კომპლექტი, სადაც იყო რეალური შანსი იმისა, რომ საქართველოს პირველი ოლიმპიური ოქრო მოეპოვებინა; დავით ხახალეიშვილს მეორე ოლიმპიადა უნდა მოეგო, — ასეთი რამ ლეგენდარულმა მძიმე წონებმა გეეზინკამ, რუსკამ და თვით იამასიტამაც კი ვერ მოახერხეს. ვერც ხახალეიშვილმა შეძლო. ჰოდა, საქართველოს ეოკის ხელმძღვანელთა ადგილზე მთელი ღამის მანძილზე არ მოვცილდებოდი ხახალეიშვილს და მთელ ძიუდოისტთა გუნდს, ემანდ, რამე არ შეემთხვეთო, — რა ბევრი ოქროს მედლის კანდიდატი კიდევ ჩვენა გვყავს..

ასე არ გააკეთეს, ალბათ ფიქრობდნენ დაჯილდოვების ცერემონიალზე სჯობია მისვლაო..

ზემოთ ბაუმგარტნერი ვახსენეთ. 35 წლის მოჭიდავე ატლანტაში აშშ-ის ნაკრების მედროშე იყო. მისი კბილა და ძველისძველი მეტოქე დავით გობეჯიშვილი კი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ფუნქციონერია. მთელი ათი წელი გრძელდებოდა მათი ტიტანური მეტოქეობა და ცოტა მეტი მონდომება რომ გამოგვეჩინა, ალბათ, ატლანტის ფინალშიც ბაუმგარტნერი და გობეჯიშვილი იჭიდავებდნენ. ამერიკა ამხელა ქვეყანაა და მაქსიმალურად უფრთხილდებოდნენ თავიანთ ფალავანს, რომ მას კიდევ ერთ ოლიმპიადაში მიეღო მონაწილეობა. ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, ვერ მოვახერხეთ, რომ დაგვეთანხმებინა გობეჯიშვილი, თუნდაც ერთი წლის წინ დაეწყო ვარჯიში; დარწმუნებული ვარ, სრულიად საკმარისი იქნებოდა. გასაგებია, რომ ჩვენთან სხვა პრობლემებია, ათასი გაჭირვება, რომლებიც ამერიკელებს არც კი მოლანდებიათ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღესდღეობით მსოფლიო კლასის ათლეტები თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს და მათ მეტი ყურადღება სჭირდებოდათ, თუმცა ამავინლა ჩივის, ატლანტაში ჩასულს ვერ გავუფრთხილდით და დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევის წყალობით მარტო ერთი მედალი არ დავკარგეთ — ხახალეიშვილის შემთხვევა უარყოფითად იმოქმედებდა არა თუ ძიუდოისტთა გუნდზე, არამედ მთელ ოლიმპიურ ნაკრებზე. ალბათ, ამიტომაც იყო, ასე მძიმედ რომ დაიწყო ჩვენი სპორტსმენებისთვის თამაშები და ასე დიდხანს მოგვიწია პირველი მედლის ცდამ.

გიორგი ბერიკაშვილი

# ოლიმპიადის დღიური

## [ო]რშაბათი, 22 ივლისი

ამ დღეს მედლების 12 კომ[პ]ლექტი გათამაშდა. მათგან 5 [მ]ოცურავეებმა გაინაწილეს. ირ[ლ]ანდიელმა ქალმა მიშელ სმითმა [კ]იდევ ერთი სენსაცია მოახდინა [დ]ა კომპლექსური სტილით 400 [მ]-ზე მოგებულ ოქროს ამავე [დ]ისტანციაზე, თავისუფალი სტი[ლ]ით ცურვაში მოპოვებული გა[მა]რჯვებაც დაამატა. მეორე ად[გი]ლზე გერმანელი დაგმარ ჰაზე



[და]იდა, ხოლო მესამეზე პოლა[ნ]დიელი კირსტენ ვილჰაუსი. ქა[ლ]თა შორის 100 მ-ზე ზურგზე [ც]ურვაში მასპინძლებმა იმარჯ[ვე]ს — ბეტ ბეტფორდმა და [უ]იტნი ჰეტგრეიტმა, მესამე სა[მხ]რეთ აფრიკელი კრილო იყო. [ამე]რიკელთა გამარჯვებით დამ[თა]ვრდა 4X100 მ-ზე თავისუფა[ლ]ი სტილით ესტაფეტა ქალთა [შ]ორის. მეორე-მესამე ადგილები [ჩი]ნელებმა და გერმანელებმა [და]იკავეს. ამერიკელთა დარად, [ო]რი ოქროს მედალი მოიპოვეს [რუ]სმა მოცურავეებმაც — „ბა[ტ]ერფლაის" სტილით 200 მ-ზე [იმ]არჯვა დენის პანკრატიევმა, [ხ]ოლო 100 მ-ზე თავისუფალი [ს]ტილით ცურვაში ბადალი არ [ჰყ]ავდა ოლიმპიური თამაშებისა [და] მსოფლიოს ჩემპიონატების [მრ]ავალგზის გამარჯვებულს [ალ]ექსანდრე პოპოვს, რომელმაც [ძ]ლიერ მასპინძელთა ფავორი[ტ]ის გარი ჰილის დამარცხება.

რუსებმა ორშაბათს კიდევ [ო]რი ოქროს მედალი მოიპოვეს — ტანმოვარჯიშე ვაჟთა შორის [გუ]ნდურ პირველობაში მათმა [ბი]ჭებმა აჯობა ჩინელებსა და [უკ]რაინელებს, ხოლო პნევმატუ[რ]ი შაშხანიდან სროლაში ახალი [ო]ლიმპიური რეკორდით — [6]95,7 იმარჯვა არტემ ხაჯიბე[კ]ოვმა. მეორე-მესამე ადგილებზე [ავს]ტრიელი ვოლფრამ ვაიბელი [და] ფრანგი ჟან-პიერ ამი გავი[დ]ნენ.

ორი მედალი გათამაშდა ფა[რი]კაობაში — რაპირისტმა ქა[ლე]ბმა და ვაჟებმა გაინაწილეს [ორ]ადი პირველობის მედლები — ქალთა შორის იმარჯვა მო[უ]ლოდნელმა რუმინელმა ვადეამ, [ვე]რცხლი და ბრინჯაო იტალიე[ლე]ბს ვეზალისა და ტრილინის [ხვ]დათ. სამაგიეროდ, იტალიელ[მა] პუჩინიმ იმარჯვა ვაჟთა შო[რი]ს. მან უძნელეს ფინალურ [შე]ბრძოლაში დაამარცხა გერმანე[ლი] ბლუმენალი.

[ა]სევე ორი მედალი გათამა[შ]და ძიუდოში და ორივე ოქრო, [რო]გორც ვაჟთა შორის 86 კგ [წო]ნაში, ისე ქალთა შორის 66 [კგ] წონით კატეგორიაში სამხ[რე]თ კორეელმა ძიუდოისტებმა [მო]იპოვეს.

[და]დებული სანახაობის მოწ[მე]ნი გავხდით 64 კგ-მდე წონითი [კა]ტეგორიის ძალოსანთა ასპარე[ზ]ობისას. ოლიმპიური თამაშების [ორ]გზის და მსოფლიოს მრავალ[გზი]ს ჩემპიონს, თურქ ნაიმ სუ[ლე]იმანოღლუს სასტიკი წინააღ[მდე]გობა გაუწია ბერძენმა ვალე[რი]ოს ლეონიდისმა და მათ მე[ტო]ქეობაში რამდენიმე მსოფლიო რეკორდი იქნა დამყარებული. ატაცში სულეიმანოღლუმ 147,5 კგ. დააფიქსირა და 2,5 კგ-ით აჯობა ლეონიდისს. აკვრაში ორივე ძალოსანმა 187,5 კგ. აჩვენა და საბოლოოდ, ახალი მსოფლიო რეკორდით — 335 კგ. გაიმარჯვა თურქმა ათლეტმა და გახდა პირველი ძალოსანი, ვინც მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება.

## სამშაბათი, 23 ივლისი

სამშაბათს გათამაშდა მედლების 17 კომპლექტი. კვლავ ყურადღების ცენტრში იყო მოცურავეთა ასპარეზობა, სადაც ამ დღეს 5 ფინალური გაცურვა იყო. 400 მ-ზე თავისუფალი სტილით ვაჟთა შორის გაიმარჯვა ახალზელანდიელმა დენონ ლოუდერმა და მე-2 ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე იყო ბრიტანელი პალმერი, ხოლო მესამე — ავსტრალიელი კოვალსკი. ასევე მეორე ოქროს დაეუფლა სამხრეთ აფრიკელი მოცურავე ქალი პენი პეინსი, რომელმაც 200 მ-ზე ბრასი ახალი ოლიმპიური რეკორდით — 2.25.41 მოიგო. დანარჩენი 3 ოქრო მასპინძელთა კუთვნილება გახდა — ვაჟთა შორის 100 მ-ზე ზურგზე ცურვაში ჯეფ როუზმა აჯობა კუბელთა დუეტს — კარერასა და ბენტს, 100 მ-ზე ბატერფლაით ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა ვან დიკენს, ხოლო 400 მ-ზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ამერიკელებმა ახალი ოლიმპიური რეკორდით — 3.15.41 აჯობეს რუსებსა და გერმანელებს.

დაამთავრეს ასპარეზობა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა. ამ დღეს ხუთივე პირველი ადგილი ყოფილი სოცბანაკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. დიდ წარმატებას მიაღწიეს პოლონელმა ფალავნებმა — წინა დღეებში მოპოვებულ ორ ოქროს, მათ კიდევ ერთი დაუმატეს — ვლოძიმეჟ ზავადსკიმ ყველას აჯობა 62 კგ. წონით კატეგორიაში, კიდევ ერთი პოლონელი ბაზინსკი 90 კგ. წონის ფინალში გავიდა, მაგრამ დამარცხდა უკრაინელ ოლეინიკთან. ყველა მოუთმენლად ელოდა მძიმე წონის მოჭიდავეთა ფინალს, სადაც დაუმარცხებელი რუსი ალექსანდრე კარელინი გოლიათ ამერიკელ



— შეფერს ხვდებოდა — ციმბირელმა ფალავანმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. თითქო ოქროს მედალი წილად ხვდათ სომხებსა და კუბელებს.

ტანმოვარჯიშე ქალთა შორის გუნდური პირველობა მოიგეს მასპინძლებმა, რომელთაც უკან ჩამოიტოვეს ტრადიციული ფავორიტები — რუსეთისა და რუმინეთის ტანმოვარჯიშეები.

დაშნით მოფარიკავეთა გუნდური პირველობა იტალიელებმა მოიგეს, რომელთაც დრამატულ ფინალურ შეხვედრაში სძლიეს რუს მოფარიკავეებს. ტყვიით მსროლელთა შორის ნებისმიერი პისტოლეტით ყველას აჯობა ოდესღაც ჩვენმა თანამემამულემ, რუსმა ვეტერანმა ბორის კოკორევმა, მეორე ბელორუსი ბასინსკი იყო, ხოლო მესამე — იტალიელი დიდონა. სასტენდო სროლის ოსტატმა ქალებმა დუპლეტით სროლაში გაითამაშეს მედლები — ყველას მასპინძელთა წარმომადგენელმა კიმ როუდმა აჯობა.

მორიგი ორი მედალი გათამაშდა ძიუდოში და თუ ვაჟთა შორის ძიუდოს ფუძემდებლებს ჯერჯერობით ბედი არ სწყალობთ — მათი ფავორიტი 78 კგ წონით კატეგორიაში კოგა ფრანგ ბურასთან დამარცხდა, სამაგიეროდ, ქალთა შორის მათ როგორც იქნა მოიპოვეს ოქროს მედალი 61 კგ-მდე წონით კატეგორიაში — ეს იუკა იმოტომ გააკეთა.



მორიგი მსოფლიო რეკორდებით აღინიშნა ძალოსანთა ასპარეზობა. 70 კგ წონით კატეგორიაში ჩინელმა ჩან პიუ ფანგმა ერთბაშად სამი მიღწევა გააუმჯობესა — ატაცში — 162,5 კგ. აკვრაში — 195 კგ. და ბუნებრივია, ორჭიდში — 357,5 კგ.

გრძელდება შესარჩევი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობათა წარმომადგენლებს შორის.

ფეხბურთელთა ტურნირში გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები. — „ა" ჯგუფში მასპინძლებმა 2:0 დაამარცხეს ტუნისის გუნდი, ხოლო არგენტინელთა და პორტუგალიელთა თამაში ფრედ 1:1 დასრულდა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ტუნისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

„ბ" ჯგუფშიც ფრედ 1:1 დამთავრდა ლიდერების — ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრა. ავსტრალიელებმა 2:1 მოუგეს საუდის არაბეთის გუნდს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| საუდარაბეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

„გ" ჯგუფში მოხდა ტურნირის მთავარი სენსაცია — იტალიის ნაკრებმა კვლავ წააგო, ამჯერად „განასთან" 2:3. არადა „სკუადრა აძურა" ორჯერ იყო წინ — 1:0 და 2:1, მაგრამ მარკო ბრანკას გოლები აფრიკელებმა გაქვითეს და შემდეგ მესამეც გაუტანეს დემორალიზირებულ ჯანლუკა პალიუკას, რომლისთვისაც ეტყობა არ შეიძლება აშშ-ის სტადიონებზე თამაში (ორი წლის წინ მან წარუმატებლად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს). კორეისა და მექსიკის გუნდების თამაში ფრედ — 0:0 დამთავრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| განა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

„დ" ჯგუფში როგორც იქნა აჩვენეს მაღალი დონის თამაში ტურნირის მთავარმა ფავორიტებმა — ბრაზილიელებმა, მათ შანსი არ დაუტოვეს უნგრელებს და 3:1 დაამარცხეს მეტოქე, თუმცა საქმე ისე მიდის, იმისთვის, რომ მეოთხედფინალში გავიდნენ, ზაგალოს ბიჭებმა აუცილებლად უნდა მოუგონ მე-3 ტურში ნიგერიელებს, რაც არც თუ ისე ადვილი საქმე იქნება. მე-2 ტურში აფრიკელმა „სუპერარწივებმა" მეორე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად იაპონიასთან — 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობს წყალბურთელთა ტურნირი. „ა" ჯგუფში ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგეს ოლიმპიადების მრავალგზის ჩემპიონებმა, უნგრელმა წყალბურთელებმა. ამჯერად მათ გერმანელებს სძლიეს — 8:7. ამავე ჯგუფში იუგოსლაველებმა დაამარცხეს ესპანეთი 9:8, ხოლო რუსებმა პოლანდია 10:5. უნგრელებს 8 ქულა აქვთ, იუგოსლაველებს — 7, რუსეთს — 5, ხოლო ესპანეთს — 4. „ბ" ჯგუფში ასევე ქულების მაქსიმუმით ლიდერობენ იტალიელები, რომლებმაც მორიგ ტურში ბერძნები დაამარცხეს 10:8. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე არიან ხორვატები და აშშ-ის წყალბურთელები. მე-4 ტურში მათ შესაბამისად სძლიეს უკრაინას — 16:8 და რუმინეთს 10:5.

ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირზე 2 ტურის შემდეგ ჯგუფებში შემდეგი მდგომარეობაა:

### „ა" ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 2 | 0 | 4 |
| კუბა | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| არგენტინა | 2 | 1 | 1 | 3 |
| ბრაზილია | 2 | 0 | 2 | 2 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 2 |

### „ბ" გუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 4 |
| ტუნისი | 2 | 0 | 2 | 2 |
| კორეა | 2 | 0 | 2 | 2 |

კალათბურთელ ქალთა ასპარეზობაში ორი ტურის შემდეგ „ა" ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ ავსტრალიელები და მასპინძლები. ასევე ორი ლიდერია „ბ" ჯგუფშიც. აქ ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს ბრაზილიელებმა და იტალიელებმა.

ვაჟ კალათბურთელთა ტურნირზე მოხდა პირველი სენსაცია — ხორვატიასთან მძიმე ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ არგენტინელებთან დამარცხდნენ ლიტველი კალათბურთელები. ამ ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემა არა აქვთ №BA-ს პროფესიონალებს. მეორე ჯგუფში ასევე დამაჯერებლად ლიდერობენ იუგოსლაველი კალათბურთელები.

# ოლიმპიადის საერთო ცხრილი

### სამშაბათის შედეგების გათვალისწინებით

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 9 | 12 | 3 | 24 |
| რუსეთი | 9 | 5 | 2 | 16 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 8 |
| ჩინეთი | 4 | 5 | 3 | 12 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 6 | 13 |
| იტალია | 3 | 2 | 3 | 8 |
| სამხ. კორეა | 3 | 1 | 2 | 6 |
| თურქეთი | 3 | — | 1 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 4 |
| სამხ. აფრიკა | 2 | — | 1 | 3 |
| ირლანდია | 2 | — | — | 2 |
| ახ. ზელანდია | 2 | — | — | 2 |
| კუბა | 1 | 4 | 2 | 7 |
| იაპონია | 1 | 2 | — | 3 |
| ავსტრალია | 1 | — | 5 | 6 |
| უკრაინა | 1 | — | 2 | 3 |
| რუმინეთი | 1 | — | 1 | 2 |
| სომხეთი | 1 | — | — | 1 |
| კოსტა-რიკა | 1 | — | — | 1 |
| ყაზახეთი | 1 | — | — | 1 |
| გერმანია | — | 6 | 9 | 15 |
| ბელორუსი | — | 3 | 1 | 4 |
| საბერძნეთი | — | 2 | — | 2 |
| ბრაზილია | — | 1 | 2 | 3 |
| შვედეთი | — | 1 | 1 | 2 |
| ავსტრია | — | 1 | — | 1 |
| ფინეთი | — | 1 | — | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | — | 1 | — | 1 |
| ჩრდ. კორეა | — | 1 | — | 1 |
| ესპანეთი | — | 1 | — | 1 |
| უზბეკეთი | — | 1 | — | 1 |
| უნგრეთი | — | — | 5 | 5 |
| ბულგარეთი | — | — | 4 | 4 |
| ჰოლანდია | — | — | 4 | 4 |
| კანადა | — | — | 2 | 2 |
| საქართველო | — | — | 1 | 1 |

### გთავაზობთ რუსეთის სატელევიზიო არხების გადაცემათა ოლიმპიურ განრიგს ხუთშაბათისა და პარასკევისთვის

დრო თბილისისაა

ხუთშაბათი 25 ივლისი ORT
14.00 — 16.00 — ძალოსნობა (76 კგ), სპორტული ტანვარჯიში (მრავალჭიდი, ვაჟები, ფინალი)
18.00-19.00 — თამაშების დღიური
00.30 — 02.00 — ველოსპორტი (ტრეკი), თამაშების დღიური, ძიუდო (ფინალები)
RTR 11.25 — 11.55 — ცურვა, კრივი
12.30 — 14.55 — ფარიკაობა
19.30 — 20.55 — ცურვა, ფრენბურთი
21.35 — 22.05 — თამაშების დღიური
00.35 — 02.35 — კრივი, ძიუდო

პარასკევი, 26 ივლისი ORT
14.00 — 16.00 — ფარიკაობა, ცურვა, კრივი
18.00 — 19.00 — თამაშების დღიური
00.30 — 02.00 — თამაშების დღიური, ძიუდო
RTR 11.25 — 11.55 — სპორტული ტანვარჯიში
12.35 — 14.00 — ფარიკაობა
19.30 — 20.55 — სპ. ტანვარჯიში, მძლეოსნობა (სპორტული სიარული 20 კმ-ზე), კალათბურთი
19.30 — 20.55 — სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა (სპორტული სიარული)
21.35 — 22.05 — თამაშების დღიური
00.35 — 03.00 — ცხენოსნობა, კრივი, ძალოსნობა, ძიუდო

ჰლანეტა „ჰოლივუდი"

# კვლავ ვარსკვლავთა ჰონორარების შესახებ

სილვესტრ სტალონემ სტუდია „უნივერსალთან" მოილაპარაკა სამ ახალ ფილმში მონაწილეობის შესახებ. თითოეულში 20 ათასი დოლარი უნდა აიღოს. ბევრი სპეციალისტი აკრიტიკებს კინოკომპანიას ასეთი დიდი ჰონორარის გაცემისთვის,ვინაიდან ბოლო დროს სტალონეს რამდენიმე ფილმი თითქმის ჩაფლავდა.

საერთოდ, ვარსკვლავთა შემოსავალი გაუმართლებლად მაღალია, რასაც ჰიპერინფლაციამდე მიჰყავს ჰოლივუდი. ასე თუ ისე, ჯონ ტრავოლტას, ბრიუს უილისის და ჯიმ კერის ასტრონომიულ ჰონორარებს ყველა შეეგუა. მაგრამ რობერტ დე ნირომაც და ნიკოლას კეიჯმაც მომავალ ფილმში 15 მილიონზე მეტი დოლარი მოითხოვეს. მამაკაცებს არც შერონ სტოუნი ჩამორჩა, რომელმაც მარტინ სკორსეზეს ფილმში „კაზინო" საშუალო ჰონორარი აიღო, ახლა კი რეკორდის დამყარება გადაწყვიტა და ახალი როლისთვის 15 მილიონი მოითხოვა. კინოვარსკვლავ ქალებში, ჯერჯერობით, დემი მური ლიდერობს. „სტრიპტიზში" მას 12,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

# ოფიციანტმა დემი მურის საყურე იპოვა

დემი მურს უსიამოვნო ამბავი შეემთხვა სტუმრად ყოფნისას: უცებ შენიშნა, რომ საყურე დაჰკარგვოდა. როგორც თავად გამოუტყდა მეგობარს, ძალიან დაწყდა გული, თუმცა სამკაული სულ რაღაც 12 ათასი დოლარი ღირდა.

საბედნიეროდ, ყველაფერი ტრადიციული ამერიკული „ჰეპი-ენდით" დასრულდა: მურთან მივიდა ოფიციანტი და მიუტანა საყურე, რომელიც მას თეფშზე ეპოვნა. გულაჩუყებულმა ქალმა ოფიციანტი 350 დოლარით დააჯილდოვა.

# ჰეზერ ლოკლირს წყალზე ალერგია აქვს

ჰოლივუდში გადაღებულ ფილმებში ხშირია აკრძალული შხაობის სცენები. ამით კინემატოგრაფისტები ორ კურდღელს ერთად იჭერენ — მრავალფეროვნება შეაქვთ სიუჟეტში და მაყურებელს საშუალებას აძლევენ, მსახიობი არა მხოლოდ სალამოს კაბაში, არამედ საცურაო კოსტიუმშიც იხილოს. გარდა ამისა, ზურმუხტოვანი აუზები სამხრეთკალიფორნიული ყოფის ერთ-ერთი ატრიბუტია და რიგით ამერიკელს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ სექსუალური ჰეზერი მის აუზში ბანაობს.

სწორედ ამ ზურმუხტოვნებამ დაღუპა ჰეზერი: წყალში შეიყვანეს სპეციალური ხსნარი, რომელიც მას უცხო ფერს დიდხანს უნარჩუნებს. ამის შედეგად მსახიობს საშინელი ალერგია დაეწყო. საეჭვოა, რომ ჰეზერმა სასამართლოში იჩივლოს (სხვა მსახიობებს ალერგიის ნატამალიც კი არ ეტყობათ), მაგრამ აუზის მიმართ გაჩენილი საშინელი ზიზღი დიდხანს გაჰყვება.

მოამზადა

რუსუდან ამილახვარმა

# თანამშრომლებს არ ირჩევენ

თქვენს წინაშეა „რთულ თანამშრომელთა" ყველაზე გავრცელებული ცხრა ტიპის კლასიფიკაცია, რომელიც ამერიკელმა ანალიტიკოსებმა შეიმუშავეს.

**„წუწუნა" — სულ იმას მოთქვამს, რომ იმედები გაუცრუვდა და, თითქოს, უმწეოდ და ზედმეტად გრძნობს თავს — მისი ცუდი გუნება ყველას სევდას ჰგვრის.**

**„ჭკუის კოლოფი" — თავი ყოველთვის მართალი ჰგონია, შენიშვნა არ მისცეთ, თორემ ყველაფერში თქვენ დაგადანაშაულებთ.**

**„არც მწვადს წვავს, არც შამფურს" — ყურადღების მიპყრობას ცდილობს, თითქოს ყველაფერი იცის. ამ ტიპის ადამიანისგან ნურაფერს მოელით — ნურც კარგს, ნურც — ცუდს.**

**„ყოველთვის — დიახ!" — გეუბნებათ „დიახ!" არა იმიტომ, რომ მართლაც გეთანხმებათ, არამედ უბრალოდ წინააღმდეგობის გაწევა ეზარება.**

**„ყოველთვის — არა!" — მის ლექსიკონში ძირითადი სიტყვაა „არა". იგი ამ სიტყვას ახალი იდეების და თხოვნების ჩასაკლავად ხმარობს.**

**„შესაძლოა..." — ასეთი ადამიანი ბედსაა მინდობილი. ნებისმიერი ხერხებით ცდილობს თავი აარიდოს გადაწყვეტილების მიღებას. მას ვერ ენდობი.**

**„ყუმბარა" — მერყევია. არასდროს არ იცის, რას მოიმოქმედებს. ხშირად ფიცხია და ზოგჯერ უმიზეზოდ არის ცუდ გუნებაზე.**

**„ტანკი" — ყველაფერს ანგრევს, სულ გაბრაზებულია და მზად არის კომფრონტაციისთვის, ოღონდ საბაბი მიეცეს.**

**„სნაიპერი" — ალბათ, ყველაზე უსიამოვნო ტიპია. თუ საშუალება მიეცა, მწარედ იხუმრებს, უხეშ კომენტარს გააკეთებს. მოკლედ, ყველას ნერვებს უშლის. გესლი, როგორც ჩანს, არ ელევა.**

როგორ მოვექცეთ ასეთ ტიპებს? მათთან ურთიერთობის რამდენიმე ვარიანტს გთავაზობთ.

**1. უკვე ჩამოყალიბებულ ხასიათს კოლეგას ვერ შეუცვლით, მაგრამ შეგიძლიათ, მინიმუმამდე დაიყვანოთ მასთან დაკავშირებული განცდები. თუ იცით, რატომ იქცევა ასე, კალაპოტიდან ნუ ამოვარდებით. ჯობს, უბრალოდ თავი აარიდოთ ამგვარ კოლეგასთან ურთიერთობას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს თქვენს პირად მოვალეობაში არ შედის.**

**2. თუ ურთიერთობას თავს ვერ არიდებთ (ის თქვენი უფროსი ან ქვეშევრდომია), მკაფიოდ მოხაზეთ საკითხები, რის შესახებაც უნდა ესაუბროთ.**

**3. შეეცადეთ, საკუთარი საქციელი შეცვალოთ, მოექეცით გულისყურით, რჩევა ჰკითხეთ და მადლობა გადაუხადეთ კონსტრუქციული კრიტიკისთვის.**

**დაბოლოს, კიდევ ერთი რჩევა: დაფიქრდით, თავად ხომ არ ეკუთვნით ერთ-ერთ ზემოთნახსენებ ტიპს.**

მოამზადა

რუსუდან ამირეჯიბმა

## • მოზაიკა

**მეცნიერებმა განგაში ატეხეს — ბრაზილიის ჯუნგლებში, სადაც ტყეები გაჩეხეს და ახალ გზებს აშენებენ, თანდათან მცირდება კოლიბრის რიცხვი. თანაც ეს ხათუთი ფრინველები ვერ იტანენ ფაბრიკა-ქარხნებისა და ავტომანქანების გამონაბოლქვს. საბედნიეროდ, ჯუნგლები პერუშიც არის. იქ შეიქმნა ეროვნული პარკი, რომელიც ამაზონის ფაუნის დიდი ნაწილის გადარჩენის იმედს იძლევა. პარკს 15 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. იგი ყველაზე დიდია მთელს სამხრეთ ამერიკაში. ვინაიდან, ზონაში შესვლა აკრძალული აქვთ ტურისტებსა და მონადირეებს, შესაძლებელი გახდება კოლიბრის, იაგუარების, ნიანგების, ოცელოტების და მღრღნელების ზოგი იშვიათი ჯიშის შენარჩუნება.**

* * *

გარემოს დაბინძურებას ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი შედეგები მოჰყვება ხოლმე. ჩრდილოეთ ინგლისის ერთ-ერთ რაიონში მეთევზეებმა შენიშნეს, რომ თევზები ანკესს აღარ ეკარებოდნენ, თუმცა ამ მდინარეში თევზი ყოველთვის ბლომად იყო. იხტიოლოგებმა დაადგინეს, რომ ადგილობრივი ქარხნების მიერ წყალში ჩაშვებულმა ლითონის ჟანგმა გამოიწვია თევზების მხედველობის და მადის დაქვეითება.

* * *

ჰანოიდან ასიოდე კილომეტრის დაშორებით კუკ-ფიონგის ნაკრძალში ორი ათასზე მეტი იშვიათი მცენარეა თავმოყრილი. აქ ნახავთ ჰიმალაის წიწვოვან ხეებს, ინდონეზიის ლიანებს, იაპონურ ყვავილებს, ადგილობრივი ფლორის წარმომადგენლებს - გიგანტურ გვიმრებს, რომლებიც პლანეტის სხვა რაიონებში მრავალი მილიონი წლის წინ გადაშენდნენ. ბოტანიკოსთა დაკვირვებით, ისინი აქ თავს მშვენივრად გრძნობენ. ამ უცნაურ მცენარეთა შორის არანაკლებ უცნაური პეპლები და ხვლიკები დაფრინავენ. ჯერჯერობით ამ ნაკრძალში შესვლის უფლება მხოლოდ მეცნიერებს აქვთ. გასაკვირი არცაა. აქამდე წინათ დადგინდა, რომ მფრინავი ხვლიკები პტეროდაქტილებზე და პირველ ფრინველებზე უფრო ადრე არსებობდნენ. ისინი პირველები აფრინდნენ ცაში. ეს ჯერ კიდევ იურიულ პერიოდში მოხდა.

* * *

ინგლისის ქალაქ კოლჩესტერის ზოოპარკის მუშაკებმა მოახერხეს ზებრისა და ვირის შეჯვარება. ახალ ცხოველს ზებრასავით ზოლიანი ფეხები აქვს, სხვა მხრივ კი არაფრით განსხვავდება ვირისგან.

* * *

გაეროს ექსპერტთა შეფასებით, მსოფლიოში ამჟამად ყოველი ათი მოჭრილი ხის სანაცვლოდ მხოლოდ ერთი ირგვება.

* * *

**თუ მსოფლიოში ელექტრონული მრეწველობის განვითარების ტემპი არ დაიკლებს, 2000 წლისთვის მიკროსქემათა ქარხნები იმდენსავე ტრანზისტორს გამოუშვებს, რამდენი ნეირონიც იქნება იმ დროს მთელი კაცობრიობის ტვინში. ამგვარად, ელექტრონული ინტელექტის რაოდენობა პირველად გაუტოლდება ბუნებრივს.**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მამაკაცის საზეიმო ტანსაცმელი. 3. სურათების სახელმწიფო გალერეა ფლორენციაში. 5. ქიმიური ელემენტი. 8. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში. 10. ხის ქერქის ჭურჭელი. 11. მკვრივი ვულკანური ქანი, საშენი მასალა. 13. ეშმაკობის ჩადენა, მზაკვრობა. 15. მწვავე ინფექციური დაავადება. 16. გაუგონარი, თავნება, დაუმორჩილებელი. 18. სიმებიანი საკრავი. 19. დროის გარკვეული მონაკვეთი. 20. ხვედრი, ბედი, წილი. 22. ინდოელი მოჭადრაკე. 24. წელიწადის თვე. 26. ესპანელი კონკისტადორი. 29. სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი, მოწმობა. 32. გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკი. 33. ყაიმი, თანაბარი ანგარიში. 34. რქოსანი ცხოველი. 36. დილის სიმღერა ტრუბადურების პოეზიაში. 37. წვნიანი კერძი. 39. მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე. 41. სესხად აღებული ფული. 42. ევროპის რიგი ქვეყნების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. 44. ამერიკელი ჩოგბურთელი. 46. ძველი ბერძნული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი. 47. მოძღვრება ზნეობის, მორალის შესახებ. 48. ერთ-ერთი გავრცელებული ევროპული ცეკვა.

**შვეულად:** 1. გერმანელი ფილოსოფოსი. 2. კუდუსუნის ძვლის გაგრძელება. 3. ქალაქი და მდინარე ბაშკირეთში. 4. ერთ-ერთი ხელოვნური ენა. 6. ისტორიის მფარველი მუზა. 7. წვრილად დაჭრილი და მოხარშული ცომის ნაჭრები. 9. თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი. 10. სახელმწიფო აზიაში. 12. რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც შიშს გამოხატავს. 14. ერთგვარი კამფეტი. 15. ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე ძველ რომში. 17. შხამიანი მათრობელა მცენარე. 18. ქალაქი ჩრდილოეთ პოლონეთში. 21. საზოგადოების ზედა ფენა. 23. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. 25. შუა საუკუნეების ცნობილი ფრანგი პოეტი. 26. გერმანული გაზეთი. 27. საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მეკარე. 28. მტაცებელი ცხოველი. 29. მატერიალური დახმარება მოხუცებულთათვის, ინვალიდთათვის და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის. 30. ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც სხეულის ცალკეულ ორგანოებს აერთებს. 31. ოდისევსის სამშობლო და სამეფო. 35. მარჯნის კუნძული. 38. ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების გუნდის მცველი. 40. კილიანი ხორბალი. 41. ქართული საკალათბურთო კლუბი. 43. მნათობი. 45. ხმელეთზე არსებული ზოლი, რომელიც მიმოსვლისთვისაა განკუთვნილი.



რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.